# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 233 (12 608) 4 ოქტომბერი შაბათი 2008 ფასი 50 თეთრი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალაძე დიდი ხნით დავკარგეთ



„მილანის“ ექიმებს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ საბოლოო დასკვნა, თუ რამდენ ხანს ვერ ითამაშებს **კახა კალაძე**. თუმცა ერთი რამ უკვე ცხადია: ოქტომბრის შესარჩევ მატჩებში ის ნაკრებს ვერ დაეხმარება. ექიმების პროგნოზი შემაშფოთებელია - სავარაუდოდ, კალაძეს წლეულს მოედანზე ველარ ვიხილავთ.

ხუთშაბათს უეფას თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩის („ციურიხი“-“მილანი“) 29-ე წუთზე, ბურთისთვის ბრძოლაში, კახამ მარცხენა მუხლი იტკინა. პირველადი შეფასებით დაზიანებულია მარცხენა მუხლთან მდებარე ძვალი (ფიბულა). დაგეგმილია მეორე, უფრო დეტალური სამედიცინო შემოწმება, რის შემდეგაც ცნობილი გახდება საბოლოო პასუხი, ანუ კონკრეტული ვადა, თუ რამდენ ხანს ვერ ითამაშებს კალაძე და დასჭირდება თუ არა ქირურგიული ჩარევა. **კარლო ანჩელოტიმ** აღნიშნა, რომ შოკირებულია კალაძის ტრავმით: „ის ფორმაში შედიოდა და... უცებ ეს ტრავმა... ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ კახა მალე დაგვიბრუნდება“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კიდევ ერთი სუპერტური



»»» 4



## მახარაძემ დინამოს რეცეპტი იცის

## ოლიმპმა რაღაც უნდა იღონოს

## ორი ბომბი თასზე

მეოთხედფინალის წილისყრა »»» 3

# ძნელია, გჯეროდეს ასეთი გუნდის

### ექტორ კუპერის განმარტებანი:

## რატომ არ გამოვიძახე ასათიანი...

კვიპროსსა და ბულგარეთთან 11 და 15 ოქტომბერს გასამართი მატჩებისთვის ექტორ კუპერმა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი არ გამოიძახა. არგენტინელი მწვრთნელი პრინციპების დაცვაზე გადავიდა. ვინძლო, ის მართალია, მაგრამ მის ხელობაში ისიც შედის, რომ ხანდახან რალაც-რალაცებზე თვალი დახუჭოს. მწვრთნელს ფეხბურთელებთან ინდივიდუალური მიდგომაც ევალება. განსაკუთრებული პრივილეგიები არავის უნდა ჰქონდეს, მაგრამ ისიცაა, რომ ყველას ერთ ჭკუზე ვერ მოაქცევ.
ასათიანი ნაკრებს მიღმა რომ დარჩა, ბუნებრივია, ამან პრესაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. კუპერმაც საჭიროდ ჩათვალა, ოფიციალური განცხადება გაეკეთებინა:

*„ირლანდიის ნაკრებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შემდეგ მალხაზ ასათიანი მოვიდა ჩემთან და მითხრა: მაძლევ თუ არა გარანტიას, რომ იტალიის ნაკრების წინააღმდეგ ვითამაშებო? ვუპასუხე, რომ ასეთ გარანტიას ვერცერთ ფეხბურთელს ვერ მივცემ და მსგავს პირობას არცერთი მწვრთნელი არ იძლევა-მეთქი. მან მიპასუხა - თუ ასეა, მირჩევნია ჩემს კლუბში დავბრუნდე და იქ ვივარჯიშოო. ის ზრდასრული ადამიანია და არჩევანის უფლება გამოიყენა. ასეთ შემთხვევაში მე ვერცერთ ფეხბურთელს ვერ შევაჩერებ. მალხაზ ასათიანმა საქართველოს ნაკრები ასე დატოვა. ოფიციალურად ვაცხადებ, რომ როცა მწვრთნელი ეროვნული გუნდის შეკრებაზე იძახებს ფეხბურთელს, ის მოთამაშე, გამოძახების დღიდან შეკრების დასრულებამდე, გუნდისთვის საჭიროა. თუმცა საწვრთნელ შეკრებაზე გამოძახება ნაკრებში თამაშის გარანტია არაა - მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელი წყვეტს, ვინ ითამაშებს კონკრეტულ შეხვედრაში და ვინ - არა. მალხაზ ასათიანმა ნაკრებში დარჩენასა და ვარჯიშს კლუბში დაბრუნება ამჯობინა. სწორედ ამ ფორმით დატოვა მან საქართველოს ეროვნული ნაკრები“.*

ცხადია, კუპერი გულმოსულია. ის ყველაფერს კორექტულად, ლოგიკურად ასაბუთებს, ოღონდ, ზუსტად არ ამბობს, თუ რატომ აღარ გამოიძახა ასათიანი. მწვრთნელის ასეთი განცხადებები, ზოგადად, დიპლომატიურია და კუპერიც არ ჰგავს როყიო კაცს, მაგრამ ვერც იმ რეალობას გაექცევა, რომ საქართველო ღარიბია მაღალი კლასის ფეხბურთელებით. კუპერს არავინ სთხოვს გუნდის მუნდიალზე გაყვანას ან თუნდაც ჯგუფში მესამე ადგილზე გასვლას. რაღა კუპერი და რაღა თავისუფალი მხატვარი - თუ მთლად ასეა საქმე, არც ეს უნდა იყოს მოსაწონი. საქართველოს ეროვნულ გუნდში პირველად არ ხდება, სასტარტოში არდაყენებით გაბრაზებული ფეხბურთელი შეკრებიდან რომ მიდის. შოთა არველაძე რუსეთთან მატჩის წინ წავიდა, ზურაბ ხიზანიშვილი ლატვიასთან... თითქოს, ეს წესად იქცა ჩვენს ნაკრებში, რომელსაც სხვა თვისებების გარდა მონოლითურობა, მეგობრული სიტუაციაც აკლია. თანაგუნდელებმა ახლაც არ ურჩიეს გულმოსულ ფეხბურთელს ნაკრებთან ერთად დარჩენა, არ ან ვერ გადაათქმევინეს გადაწყვეტილება. ძნელია, გჯეროდეს ასეთი გუნდის...

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფლიქტი

# კუპერი ისე გამწარდა, გოგუას ვარჯიში დაატოვებინა



გოგიტა გოგუა

**გოგიტა გოგუა** საქართველოს ნაკრებში ვერ მოხვდა. ნალჩიკის „სპარტაკში" ის საკმაოდ კარგ სეზონს ატარებს, როგორც იტყვიან, ყაბარდოელები ხელის გულზე ატარებენ, მაგრამ... ეროვნულ გუნდში მაინც არ სწყალობენ. ასე იყო **კლაუს ტოპმიოლერის** დროს და, როგორც გვითხრეს, ასევე გაგრძელდება **ექტორ კუპერის** ზეობისას, ვიდრე თავად ფეხბურთელი ხასიათს არ შეიცვლის.

გოგუას შესაძლო იგნორირებაზე ერთი კვირის წინ ფეხბურთის ფედერაციაში შევიტყვეთ, მაგრამ ფაქტის დადასტურებას იქამდე არავინ ჩქარობდა, სანამ კუპერი სიას არ გამოაქვეყნებდა. როგორც ამტკიცებენ, არგენტინელს გოგუას საქციელი თვალში არ მოუვიდა. ირლანდიასა და იტალიასთან მატჩებამდე, ვარჯიშის დროს, გოგიტამ **ლევან ყენია** ზედიზედ სამჯერ მოცელა. პირველად ბატონ ექტორს რეაქცია არ ჰქონია, მეორედ გაბრაზდა, მესამედ კი ნალჩიკელთა ერთ-ერთ ლიდერს ვარჯიში დაატოვებინა.

როგორც ამბობენ, ტოპმიოლერის დროს გოგუამ გერმანელს სატრანსფერო ინტერესები არ დაუკმაყოფილა და ნაკრებიდან ამიტომაც დაითხოვეს. სხვათა შორის, ნახევარმცველის ცნობილ წერილში იმაზეც იყო ლაპარაკი, თითქოს კლაუსმა მას „ჰართსში" გადასვლა ჩაუშალა.

დღეს კუპერზე ამას ვერავინ იტყვის. მას აქვს მკაფიო პრინციპი, რაც ფედერაციის ხელმძღვანელებთანაც უთქვამს - მირჩევნია, შედარებით სუსტი, მაგრამ ნორმალური ხასიათის ფეხბურთელი მივიწვიო, ვიდრე ჭირვეული ვარსკვლავიო. არგენტინელმა „ჭირვეულ ვარსკვლავში" გოგუა იგულისხმა.

გოგუა დასაკარგი ფეხბურთელი არ არის, მაგრამ ყველაფერს მწვრთნელს ვერ დავაბრალებთ. იმედია, ისინი გაარკვევენ ურთიერთობას. კუპერი აუხსნის, რა ითხოვს მისგან და ბოლოს და ბოლოს, სერიალად ქცეული კონფლიქტიც ამოიწურება. სხვაგვარად, თავად გოგუაც წააგებს და ჩვენი ნაკრებიც.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# კობახიძე ძირითადს უახლოვდება

გუშინ უკრაინული ვიშა ლიგის მე-10 ტურში „დნიპრომ" კიევის „არსენალი" სტუმრად 1:0 დაამარცხა. მატჩის განაცხადში არ ყოფილან ჩვენებურები – **ჯაბა კანკავა** ტრავმირებულია, ხოლო **სანდრო კობახიძე** დუბლებში თამაშობს. მიმდინარე სეზონში პირველ გუნდში ჯერ არც კანკავასა და არც კობახიძეს არ უთამაშია. ხსენებული კლუბების დუბლების მატჩში წინა დღეს „დნიპრომ" 2:0 გაიმარჯვა. სანდრო დუბლებში ფორვარდის პოზიციაზე თამაშობს. „არსენალთან" მან შეუცვლელად ითამაშა. ბოლო წუთებზე კობახიძემ თავად შეიქმნა საგოლე მომენტი, საჯარიმოში ორი მასპინძელი მოატყუა, მაგრამ დარტყმული ცარიელი კარებიდან მცველმა გამოიტანა. მატჩის 37-ე წუთზე თამაშში ჩაერთო „დნიპროს" კიდევ ერთი ქართველი **ბექა ბერაშვილი**. უკრაინული მედია ხაზს უსვამს დუბლში კობახიძის კარგ თამაშს და მას მალე პირველი გუნდის შემადგენლობაში გადასვლას უწინასწარმეტყველებს.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის მე-7 ტურში მატჩის განაცხადში არ ყოფილა **დავით თარგამაძე**. „ფრაიბურგმა" „დუისბურგი" უქართველოდ დაამარცხა 2:0 და 16 ქულა მოაგროვა. გამარჯვების წყალობით „ფრაიბურგი" პირველ ადგილზე გადავიდა. აუტსაიდერი „აუგსბურგი" სტუმრად 1:2 დამარცხდა „როტ ვაისთან". **ოთარ ხიზანეიშვილი** მატჩის განაცხადში კვლავ არ ყოფილა. ქართველი მცველის გუნდი 3 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. „მიუნხენმა" სტუმრად 3:0 დაამარცხა „ფრანკფურტი" და ცხრილის ქვედა ნაწილს თავი დააღწია (7 ქულა, მე-10 ადგილი). საქართველოს ნაკრების მცველმა **მათე ღვინიანიძემ** „ლომების" რიგებში 90 წუთი ითამაშა.

ავსტრიის მეორე ბუნდესლიგა ძალიან ცუდად დაიწყო ლუსტენაუს „აუსტრიამ", სადაც **მირზა ბჟალავა** ირიცხება - 11 მატჩის შემდეგ გუნდი 8 ქულით ბოლო ადგილზეა. წუხელ „აუსტრია" შინ „ზანკტ პოლტენთან" დამარცხდა – 1:3. სამი ტურია ბჟალავა მოედანზე არ ჩანს.

გუშინ ბუნდესლიგის მორიგი ტური „არმინიისა" და „კარლსრუეს" მატჩით დაიწყო. სტუმართა შორის **ალექსანდრე იაშვილმა** სრულად ითამაშა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ თავი დიდად გამოიჩინა. „კარლსრუემ" კი ზედიზედ მეორე გამარჯვება (2:1) მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ წინა ტურში ბადენვიურტემბერგელებმა „ვოლფსბურგს" პირველი მარცხი (2:1) აგემეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სანდრო კობახიძე

ინტერვიუ ლევან ყენიასთან

# დებიუტით კმაყოფილმა ყენიამ ვარჯიში ტკივილით დატოვა

**გუშინწინ** უეფას თასის პირველი ეტაპის საპასუხო შეხვედრაში ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას „შალკემ" შინ კვიპროსულ აპოელ-თან 1:1 ითამაშა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. და მთავარი: 17 წლის ყენიას დებიუტი ჰქონდა „შალკეს" პირველი გუნდის ოფიციალურ შეხვედრაში. ის ქართველთაგან ყველაზე ახალგაზრდაა, ვინც ბუნდესლიგის გუნდში მოხვდა და, ალბათ, მალე გერმანიის ჩემპიონატსაც დააგემოვნებს. „შალკეს" თინეიჯერ შუახაზელს გუშინ გელზენკირხენში დავუკავშირდით.

**- პირველ რიგში დებიუტს გილოცავ! აპოელ-თან 65-ე წუთზე შეხვედი მოედანზე. რა დავალება მოგცა ფრედი რუტენმა?**

- განსაკუთრებული არაფერი. მითხრა, შედი და შენი საქმე გააკეთეო.

**- რა პოზიციაზე გაგამწესა?**

- მარჯვენა გარემარბად.

**- იქ, სადაც ნაკრებში ექტორ კუპერი გათამაშებს?**

- კი, თითქმის იმავე პოზიციაზე.

**- არა ერთი სპეციალისტის აზრით, ეს არ არის ლევან ყენიას ამპლუა, ის გაცილებით ეფექტური იქნება თავდამსხმელის უკან ან გამთამაშებლადო. ეთანხმები ამგვარ მოსაზრებას?**

- ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს მარჯვნიდან თამაში, მაგრამ მირჩევნია, თუ შუაში დამაყენებენ. ამ პოზიციაზე ხომ ბავშვობიდან ვთამაშობ.

**- დებიუტს დავუბრუნდეთ. ალბათ, თავისებურად ნერვიულობდი. საკუთარი თამაშით კმაყოფილი დარჩი?**

- საერთოდ არ მინერვიულია. ან კი რა მქონდა სანერვიულო?! რაც შეეხება იმას, როგორ გავართვი საქმეს თავი, დებიუტის კვალობაზე ურიგოდ ნამდვილად არ მითამაშია. კარგად ჩავერთე მატჩში, სახიფათო მომენტებიც შევქმენი, გოლის გატანაც შემეძლო... მოკლედ, კმაყოფილი დავრჩი.

**- ანუ, ისე ითამაშე, რომ რუტენი სერიოზულად უნდა დაფიქრდეს, გათამაშოს თუ არა მომდევნო შეხვედრაში?**

- ალბათ, ასე უნდა იყოს, ვნახოთ...

**- შეიძლება ითქვას, რომ „შალკეს" პირველ გუნდში ადაპტაციის პერიოდი უკვე დაასრულე და სიტუაციას ალღო აუღე?**

- შეგუების პერიოდი უკან მოვიტოვე. საერთოდაც, „შალკეში" არანაირი პრობლემა არ მქონია, არაფერი გამჭირვებია, გერმანულადაც უკვე დავიწყე ნორმალურად ლაპარაკი.

**- რუტენი რას გეუბნება, რაზე მიგითითებს ხოლმე?**

- ცალკე არ გვისაუბრია. მითითებებს ვარჯიშის დროს, მთელ გუნდთან ერთად მაძლევს ხოლმე.

**- „შალკე" ჩემპიონთა ლიგაში რომ ვერ მოხვდა, კლუბში რა რეაქცია მოჰყვა ამას?**

- უკმაყოფილონი კი არიან, მაგრამ დიდად არ ემჩნევათ. ახლა მთელი აქცენტი ბუნდესლიგაზეა გადატანილი.

**- „ბაიერნი" ჯერჯერობით ჯახირობს, რაც სხვა გუნდების საჩემპიონო შანსებს ზრდის. როგორ ფიქრობ, თამაშის ხარისხიდან გამომდინარე რომელ გუნდს აქვს ჩემპიონობისთვის საუკეთესო შანსი?**

- დღესდღეობით, გერმანიაში საუკეთესო ფეხბურთს „ვერდერი" თამაშობს. ბრემენელები შემტევ სტილს ანიჭებენ უპირატესობას.

**- „შალკე"?**

- ჩვენ სამი ფორვარდით კი ვთამაშობთ, მაგრამ რუტენის ტაქტიკა მაინც უფრო დაცვიდანაა აგებული.

**- ყველაზე უფრო ვის დაუახლოვდი?**

- პერუელ ჯეფერსონ ფარფანს, მის თანამემამულე კარლოს სამბრანოს, ვინც ჩემზე ერთი წლით უფროსია. მოკლედ, უფრო ლათინოსებთან მომწონს ურთიერთობა.

**- ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „ვოლფსბურგს" ხვდებით. რამდენია იმის შანსი, რომ შენი ბუნდესლიგური დებიუტიც შედგეს?**

- სამწუხაროდ, ამის შანსი ძალიან მცირეა. ჯერ კიდევ აპოელ-თან მატჩამდე კოჭი ვიტკინე. დღევანდელ (პარასკევის - ავტ) ვარჯიშზე კი ისე ამტკივდა, მოედანი დავტოვე. ექიმები ჯერ გადაჭრით ვერაფერს მეუბნებიან.

**- 11 და 15 ოქტომბრის სანაკრებო მატჩებშიც სათუოა შენი თამაში?**

- არა მგონია, ტრავმა ასეთი სერიოზული იყოს.

**დავით თავართქილაძე**



# ჯელაძეები უგუნდოდ დარჩნენ

## ლორიას ქართველობა ახლა გაახსენდა

**ზვიად და გიზო ჯელაძეების** კლუბი, უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკი" ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციამ ჯერ მოკვეთა პრემიერლიგიდან, შემდეგ ისევ დააბრუნა და ბოლოს მაინც მკაცრად დასაჯა – ფედერაციის სააპელაციო კომისიამ საბოლოოდ დაადგინა, რომ აგვისტოს ბოლოს გამართული ყარაღანდის „შახტიორისა" და „ვოსტოკის" მატჩი, რომელიც **ლაშა ნოზაძის** გუნდმა 2:1 მოიგო, ჩაწყობილი იყო. ალსანიშნავია, რომ გუნდები არათანაბრად დაისაჯნენ. კომისიამ „ვოსტოკი" გათამაშებიდან მოკვეთა, ხოლო „შახტიორს" ცხრა ქულის დაკლება აკმარა. ასე რომ, ორი ქართველი ლეგიონერი უმუშევარი დარჩა.

„შახტიორის" ალმასრულებელ დირექტორ **გრიგოლ ლორიას** (ყაზახეთის ნაკრების გოლკიპერ **დავით ლორიას** მამას) ფედერაციამ 60 თვის განმავლობაში აუკრძალა ფეხბურთში მოღვაწეობა. დასჯილ ლორიას ახლაღა გაახსენდა ქართველობა: *„ძალიან დავიღალე. 2002 წლიდან მოყოლებული საშინელ სტრესში ვარ, არ გინდათ მიხილოთ ყაზახურ ფეხბურთში? აღარც ვიქნები! ძალიან ბევრი ვიბრძოლე, აქ ხალხი ასეთ რამესაც კადრულობდა: მეუბნებოდნენ რას აკეთებ, ლორია, ჩვენთან, შენ ხომ ქართველი ხარ. რა მექნა, ყაზახეთიდან როგორ წავსულიყავი? ეს ხომ ჩემი სამშობლოა. უნდოდათ ჩემი მოცილება და მიზანსაც მიაღწიეს"*. ყაზახური მედია წერს, რომ „ვოსტოკის" ფეხბურთელები ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ, მათ ხუთი თვის ხელფასი არ აუღიათ და ახლა ამ თანხას ალბათ ვერც მიიღებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის
თასის ყაზბეგის გათამაშება. მეოთხედფინალის წილისყრა

# ორი ბომბი თასზე



გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში სათასო მეოთხედფინალის წილისყრა გაიმართა. პროცედურის დაწყებამდე პროფლიგის საშეჯიბრო განყოფილების თავკაცმა **ნოდარ კაკულიამ** წილისყრის ჩატარების წესი პირდაპირ დებულებიდან წაგვიკითხა. თავიდანვე გაირკვა, რომ გუნდები დოლურიდან ბურთულებს ჩემპიონატის ცხრილში ამჟამინდელი ადგილების მიხედვით, თანმიმდევრობით ამოიღებდნენ. ბურთულებში მხოლოდ ნომრები იყო მოთავსებული - ერთიდან რვის ჩათვლით. კაკულიამ თავიდანვე განმარტა, რომ „ერთი", „ორს" შეხვდებოდა და ა.შ. კენტი ნომრის მფლობელი პირველ მატჩში მასპინძელი იქნებოდა. ერთი სიტყვით, წილისყრამ ასეთი შედეგი მოგვცა:

ლოკომოტივი (თბილისი)-სიონი (ბოლნისი)
ვიტ ჯორჯია (თბილისი)-მერანი (მარტვილი)
ზესტაფონი (ზესტაფონი)-დინამო (თბილისი)
ოლიმპი (რუსთავი)-ამერი (თბილისი)

მეოთხედფინალის პირველი მატჩები 12 ნოემბერს გაიმართება (დასაწყისი 14 საათზე), ხოლო საპასუხო ორი კვირის შემდეგ, 26 ნოემბერს (დასაწყისი 14 საათზე ან ნახევარი საათით ადრე).

ამ ოთხი წყვილიდან ყველაზე დიდ ინტერესს, ცხადია, „ზესტაფონი"-"დინამოსა" და „ლოკომოტივი"-"სიონის" დაპირისპირებები იწვევს. გავიხსენოთ, რომ „დინამო" და „ზესტაფონი" თასის წინა გათამაშებაში ნახევარფინალურ სტადიაზე შეხვდნენ ერთმანეთს, ფინალში კი იმერლები გავიდნენ.

### ვლადიმერ პანოვი
**ზესტაფონი, გუნდის უფროსი**

- ორივე მატჩი ძალიან რთული იქნება. ჩვენ წინა გათამაშებაშიც შევხვდით ერთმანეთს. მართალია, ამჯერად სტუმრად მოგვიწევს საპასუხო მატჩის გამართვა, მაგრამ „დინამოს" კარგად ვიცნობთ და ვფიქრობ, საშინაო და გასვლითი მატჩების თანმიმდევრობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება.

### ამირან ლიბრაძე
**დინამო, ტექნიკური დირექტორი**

- ორივე გუნდი ძლიერი და კარგად მომზადებულია. ვფიქრობ, შანსები თანაბარია. მატჩები დაძაბული და საინტერესო იქნება, ისეთი, როგორიც გულშემატკივარს მოეწონება. საპასუხო თამაში საკუთარ მოედანზე გვაქვს და ჩემი აზრით, ეს ჩვენთვის მცირე უპირატესობაა. მაგრამ საერთოდ, სათასო მატჩების სპეციფიკა სხვაა და აქ უფრო ხშირია მოულოდნელობები... და კიდევ ერთს დავამატებდი: შესაძლოა, ზოგ გუნდს დღეს შედარებით სუსტ მოწინააღმდეგესთან სურდა შეხვედრა, თუმც მე ასე მიმაჩნია: კარგია, რომ სწორედ ძლიერი მეტოქე გვერგო. ეს მოდუნების უფლებას არ მოგვცემს, როგორც თასზე, ისე ჩემპიონატშიც.

### გიორგი კიკნაძე
**ლოკომოტივი, მთავარი მწვრთნელი**

- „სიონს" კარგი კონტინგენტი ჰყავს. მაგრამ ჩვენ ყველანაირად შევეცდებით, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეთ. მეოთხედფინალებამდე თვეზე მეტია და ვეცდებით, ამ დროისთვის ჩვენი გუნდი უკეთეს კონდიციაში იყოს. შანსები? ვფიქრობ, შანსები თანაბარია. მთავარია, ვინ როგორ გამოიყენებს საკუთარ შესაძლებლობებს.

### ოთარ კორღალიძე
**სიონი, მთავარი მწვრთნელი**

- მიმაჩნია, რომ ყველაზე კარგი გუნდი ჩვენ გვერგო მეტოქედ. „ლოკომოტივს" მაღალი კლასის შემსრულებლები ჰყავს - ცქიტიშვილი, ალექსიძე, დარასელია, სამხარაძე... თუმცა ჩვენც კარგი შემადგენლობა გვყავს. ასე რომ, ორივე მატჩში უკომპრომისო ბრძოლა იქნება. შანსებს კი თანაბრად გავანაწილებდი.

**დავით ცაბაძე**

ოლიმპი. ინტერვიუ ხვიჩა ქასრაშვილთან

# ვნერვიულობთ, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდება

ერთწლიანი ჩავარდნის შემდეგ რუსთავის „ოლიმპი" საამსეზონოდ ისე მოლონიერდა, წესით, ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი უნდა გამხდარიყო. კლუბმა დაიმატა გამოცდილი, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ჭიპმოჭრილი ფეხბურთელები, ისეთებიც, უცხოეთშიც რომ უთამაშიათ. რა თქმა უნდა, სათანადო დაფინანსების გარეშე „ოლიმპი" ამას ვერ მოახერხებდა. ერთი სიტყვით, რუსთავული გუნდი სეზონს ყველანაირად მომზადებული შეხვდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უცხოური შეკრება არ გაუვლია...

მაგრამ დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი და რა ხდება? „ოლიმპი" ბოლოდან მეორე ადგილზეა. გუნდმა სამი თამაშიდან ერთიც ვერ მოიგო. რისი ბრალი უნდა იყოს ასეთი შედეგი? „ლელოს" კითხვებს „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი პასუხობს:



**- მაინც რას დააბრალებდით ასეთ უხეირო სტარტს?**

- გარკვეულწილად, კალენდარსაც. რაც ჩემპიონატი დაიწყო, სულ ძლიერ გუნდებთან მოგვიწია თამაშმა. ისიცაა, რომ „ოლიმპი" დაახლოებით თვენახევარია, ამ შემადგენლობით ჩამოყალიბდა და შეთამაშება გვაკლია.

**- კლუბის ხელმძღვანელობის პოზიცია როგორია? გრძნობთ, რომ დროის კრედიტი გაქვთ, თუ ზეწოლის ქვეშ ხართ?**

- არავის არაფერი უთქვამს... ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

**- ალბათ, არცთუ მშვიდ სიტუაციაში გიწევთ მუშაობა...**

- მშვიდი სიტუაცია როგორ იქნება, როცა სამი თამაშიდან მხოლოდ ორი ქულა გვაქვს?! ვნერვიულობთ, მაგრამ მჯერა, ყველაფერი გამოსწორდება.

**- მიგაჩნიათ, რომ მოსამზადებელ პერიოდში „ოლიმპმა" საკონტროლო მატჩები საკმარისი რაოდენობით ჩაატარა? ეს ხომ არ არის ცუდი სტარტის მიზეზი?**

- საკონტროლო მატჩები საკმარისი იყო, თუმცა უკეთესი იქნებოდა, უფრო ძლიერ გუნდებთან გვეთამაშა. აზერბაიჯანიდან ჩამოსულ ორ გუნდს კი გავეჯიბრეთ, მაგრამ მეტწილად საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდებთან მოგვიწია სპარინგმა.

**- მაშ, რაშია საქმე? იქნებ, გუნდის დაკომპლექტებით ხართ უკმაყოფილო?**

- „ოლიმპის" დაკომპლექტებით კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ საერთო ჯამში ურიგო ფეხბურთელები ნამდვილად არ გვყავს.

**- ეტყობა, „ოლომპი" კარგად არ არის დაბალანსებული...**

- არა, კარგად დაბალანსებული გუნდი გვყავს, უბრალოდ, ჯერ შეთამაშება და ილბალი გვაკლია.

**- ყველაფერი რომ გამოვრიცხოთ, სავარჯიშო პირობებზეც გკითხავთ. სად ემზადება გუნდი?**

- თბილისში ვვარჯიშობთ, ხან „ნორჩი დინამოელის" მოედანზე, ხან „მერანის" სტადიონზე... უკვე ერთი კვირაა, „მერანზე" ვემზადებით და თუ ამინდებმა ხელი შეგვიწყო, მომავალშიც იქ ვივარჯიშებთ.

**- ერთი სიტყვით, ყველანაირი პირობები რომ გავითვალისწინოთ, „ოლიმპი" დანარჩენ გუნდებს არაფრით ჩამორჩება...**

- ასეა, ნორმალური პირობები გვაქვს. ამ მხრივ, პრობლემებს არ ვუჩივით.

**- ბოლოს „დინამოს" შეხვდით და 1:2 წააგეთ. თამაშის ხარისხითაც ვერ გქონდათ საქმე კარგად. ამ მატჩიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ალბათ, უკეთ აანალიზებთ ყველაფერს...**

- „დინამოსთან" ზედმეტად ვნერვიულობდით და შეცდომებიც ამის გამო მოგვდიოდა. თანაც, სამი საკვანძო ფეხბურთელი გვაკლდა - გიორგი ფეიქრიშვილი, გიორგი ონიანი და ნოდარ მაჭავარიანი. ეს სამეული ჩვენთვის დიდი ძალაა, გუნდში სულ 16 ფეხბურთელი გვყავს და სამი წამყვანი მოთამაშე რომ მოგაკლდება...

**- სამი თამაშიდან „ოლიმპმა" მხოლოდ 2 გოლი გაიტანა, არადა, გუნდს თითქოს არ უნდა ჰქონდეს პრობლემები თავდასხმაში...**

- „დინამოსთან" გია მეგრელაძეს ფეხი სტკიოდა, გოგი ფიფია 8-თვიანი შესვენების შემდეგ ოპტიმალურ ფორმაში არ არის, გაგა ჩხეტიანსაც მცირე ტრავმა აწუხებდა... ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგი ფეხბურთელი გვიან შემოგვიერთდა - გიორგი დეკანოსიძე, თენგიზ ჩიკვილაძე, აკუასაგა...

**- და როდის მოერევა „ოლიმპი" შეუთამაშებლობის პრობლემას?**

- 5 ოქტომბერს „ვიტ ჯორჯიას" ვეთამაშებით. თუ რა ძალის მეტოქე გვყავს, მშვენივრად იცით. ყველანაირად ვეცდებით, ამ ჩემპიონატში პირველი 3 ქულა მოვიპოვოთ. „ვიტ ჯორჯიის" შემდეგ ნაკრების თამაშებით გამოწვეული ორკვირიანი შესვენებაა და მერე, ალბათ, აღარ გვექნება პრობლემები, ყველაფერი დალაგდება.

**- „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩისთვის ყველა მოთამაშე ჯანმრთელია?**

- მაჭავარიანი ვერ დაგვეხმარება, ონიანის თამაში კი სათუოა.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

# ქართველები „ანჟის" თეთრაძესთან ერთად დატოვებენ?

## იუბილარის საფიქრალი: იტალია ან გერმანია

ერთ კვირაში **რევაზ ბარაბაძე** ევროპას მიაშურებს და მენისკის ოპერაციას გაიკეთებს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და მახაჩყალის „ანჟის" თავდამსხმელმა ყავარჯნები უკვე გადააგდო, მაგრამ ვარჯიში ჯერ აკრძალული აქვს და თან ქირურგიული ჩარევაც სჭირდება. თავდაპირველად, რეზო გერმანიაში გამგზავრებას გეგმავდა, მაგრამ არაა გამორიცხული, სხვა ქვეყანაში აღმოჩნდეს.

*„ზურაბ ხიზანიშვილმა მენისკის ოპერაცია იტალიაში, კერძოდ ბოლონიაში გაიკეთა და მეც იქ მირჩია ჩასვლა. თურმე, ბოლონიაში საუკეთესო სპეციალისტები მუშაობენ. მაინც ვფიქრობ, გერმანიაში წავიდე თუ იტალიაში"* - გვითხრა ბარაბაძემ.

რაც შეეხება მომავალს, თუ სად ითამაშებს 20 წლის ბარაბაძე (დღეს იუბილარია, რასაც ვულოცავთ), ეს ჯერ უცნობია, თუმცა ერთი რამ მაინც გაგვიმხილა:

*„მახაჩყალაში ჩასვლისთანავე ხელმძღვანელობას შევუთანხმდით, რომ „ანჟიდან" ომარ თეთრაძის წასვლის შემთხვევაში გუნდს ქართველებიც დავტოვებდით. ომარს სთხოვეს და დარჩა. მიუხედავად ამისა, მაინც მგონია, რომ სეზონის დასრულების შემდეგ დაღესტანს დატოვებს და, ალბათ, ჩვენც გავყვებით. „ანჟისთან" ყველას კონტრაქტი გვაქვს, თუმცა პრეზიდენტი შეგნებული კაცია და იმედია, უპრობლემოდ გაგვიშვებს".*

შეგახსენებთ, რომ ამჟამად დაღესტნურ კლუბში 8 ქართველი ირიცხება: **ვალერი აბრამიძე, ედიკ საჯაია, გიორგი ნავალოვსკი, ზურაბ არზიანი, რევაზ ბარაბაძე, გოჩა ხოჯავა, მიხეილ აშვეთია** და **რევაზ ჯიქია**, პლუს ამათ, სპორტული დირექტორი - **მამუკა ჯულელი**.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# მელქაძე ლოკომოტივში?

## ფორვარდი დეკემბერში უკრაინულ ვარიანტს ელის

2007 წლის ბოლოს **ლევან მელქაძე** ყარალანდის „შახტიორიდან" გულნატკენი წამოვიდა. კლუბის პრეზიდენტმა **გრიგოლ ლორიამ** (გუდაუთაში დაბადებული აფხაზი) გუნდის საუკეთესო ბომბარდირს ახალი კონტრაქტი აღარ შესთავაზა, ხოლო როცა ლევანი მიზეზით დაინტერესდა, ურთიერთობის გარკვევა ჩხუბშიც კი გადაიზარდა. მოგვიანებით, ცნობილი სკანდალის გამო ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციამ ლორია და **ვლადიმირ ნიდერჰაუსი** ფეხბურთიდან 5-5 წლით მოკვეთა, „შახტიორს" კი 9 ქულა ჩამოაკლო.

მელქაძეს ლორიამ გამოუძებნა გაყალბებული კონტრაქტი, რომელიც 2008 წლის დეკემბერში იწურებოდა, გათავისუფლებისთვის კი საკომპენსაციო თანხა მოსთხოვა. სწორედ ეს გახდა ლევანის უთამაშებლობის მიზეზი. ახლა მას უკრაინაში გადასვლის იმედი გაუჩნდა. მელქაძე უკვე გასინჯეს კიდეც იქაური უმაღლესი ლიგის "ილიჩევეცში", საკონტროლო მატჩიც ჩაატარა და სამ გოლს საგოლე გადაცემაც დაუმატა. ათი დღის წინ ლევანი საქართველოში დაბრუნდა.

*„იმედი მაქვს, ზამთარში, როცა „შახტიორთან" კონტრაქტი დამიმთავრდება, „ილიჩევეცში" დავბრუნდები. იქ თავი გამოვიჩინე, პრეზიდენტსაც მოვეწონე და მწვრთნელსაც. დეკემბერში მათ ზარს ველოდები"* - გვითხრა მელქაძემ.

დეკემბრამდე მან საქართველოში დარჩენა გადაწყვიტა: *„უკვე შემომთავაზეს „სიონსა" და „ოლიმპში" თამაში, მაგრამ როგორც კი გაიგეს, რომ ყაზახებისთვის საკომპენსაციო თანხა ექნებოდათ გადასახდელი, თავი შეიკავეს. არ მინდა, კიდევ ორი თვე უთამაშებელი ვიყო. ერთი წელიწადი ისედაც ტყუილად გამიცდა და დროებით, ალბათ, საქართველოში ვითამაშებ. არ არის გამორიცხული, „ლოკომოტივში" მივიდე. გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, მაგრამ შეთავაზება უკვე მივიღე და ყველაფერი ამ დღეებში გაირკვევა. ურიგო ვარიანტი ნამდვილად არ არის. მსურს, ფორმა აღვიდგინო და უკრაინაში წავიდე. არც ისაა გამორიცხული, ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში გავაგრძელო კარიერა"* - იმედიანადაა 29 წლის ფორვარდი.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე. ჩერნოგორია

# ფილიპოვიჩმა 22 დაასახელა



ზორან ფილიპოვიჩი

15 ოქტომბერს ჩერნოგორიის ნაკრები ლეჩეში იტალიის ეროვნულ გუნდს ეთამაშება. **ზორან ფილიპოვიჩმა** საიტალიო სია გუშინ გამოაქვეყნა. „ვია დელ მარეს" მატჩისთვის მან 22 ფეხბურთელს უხმო:

მეკარეები - **ვუკაშინ პოლეკშიჩი** (დებრეცენი, უნგრეთი), **მლადენ ბოჟოვიჩი** (პარტიზანი, სერბეთი);

მცველები - **სავო პავიჩევიჩი** (კოტბუსი, გერმანია), **რადოსლავ ბატაკი** (ანკარა, თურქეთი), **იოვან ტანასიევიჩი** (დინამო მოსკოვი, რუსეთი), **მილან იოვანოვიჩი** (კლუჟი, რუმინეთი), **ვლადო იეკნიჩი** (ვეენი, გერმანია), **ელსად ზვეროტიჩი** (ლუცერნი, შვეიცარია), **ლუკა პიოვიჩი** (მოგრენი), **ვლადიმირ ბოჟოვიჩი** (რაპიდი, რუმინეთი);

ნახევარმცველები - **ბრანკო ბოშკოვიჩი** (რაპიდი, ავსტრია), **მიტარ ნოვაკოვიჩი**, **ნიკოლა დრინჩიჩი** (ორივე ამკარი, რუსეთი), **ივან დელიჩი** (ბუდუჩნოსტი), **სიმონ ვუკჩევიჩი** (სპორტინგი, პორტუგალია), **იგორ ბურჟანოვიჩი** (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), **ნიკოლა ვუიოვიჩი** (მოგრენი);

თავდამსხმელები - **მირკო ვუჩინიჩი** (რომა, იტალია), **სტეფან იოვეტიჩი** (ფიორენტინა, იტალია), **დრაგან ბოგოვაცი** (მაინცი, გერმანია), **დეიან დამიენოვიჩი** (სეული, კორეა), **რადომირ დალოვიჩი** (რაპიდი, რუმინეთი);

აღსანიშნავია, რომ ლეჩეში ჩერნოგორიელებს დისკვალიფიცირებული **მილორად პეკოვიჩი** დააკლდებათ. ფილიპოვიჩმა მის ნაცვლად „მოგრენის" ნახევარმცველ ნიკოლა ვუიოვიჩს უხმო.

**დავით ცაბაძე**

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
V ტურის წინათქმა

# სანამ შევისვენებდეთ...

...ეს, მართლაც, მეტისმეტი გამოდგა - ათ დღეში სამი ტურის ჩატარება! ეგ კი არა, ფეხბურთელებისა და მწვრთნელების არ იყოს, ჟურნალისტებიც... დავიღალეთ; ჰო, ჯერ ტურის მატჩები, მერე - მიმოხილვა, გაანალიზება თუ თავგამოჩენილ ფეხბურთელთა წინა პლანზე წამოწევა და... ისევ მატჩები! იმედია, ჩვენი მწვრთნელ-ფეხბურთელები ამ „არანორმალურ" გრაფიკს გაუძლებენ და სანაკრებო პაუზასაც ნაყოფიერად გამოიყენებენ. უფრო ზუსტად, სამოთხდღიან თამაშების ციკლს, ალბათ, მიეჩვევიან (ჩვენსავით) - მსგავსი „სიამოვნება" ხომ ოქტომბერშიც გველოდება და ნოემბერშიც...

ახლა კი ცოტა კიდევ „გავიჭირვოთ" და მეხუთე ტური როგორმე „გადავაგოროთ"; თანაც, წინასი არ იყოს, ესეც განსაკუთრებული ტურია: ორი საინტერესო დაპირისპირება გველოდება! მეხუთე ტურის ორივე ცენტრალურ მატჩზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი რამდენიმე სიტყვით სხვა შეხვედრებზეც ვთქვათ.

ჩემპიონატის ერთადერთი უდანაკარგო გუნდი თბილისის „ლოკომოტივი" ვაკეში ზუგდიდის „მგლებს" უმასპინძლებს. ამ წყვილში ფავორიტის გამოცნობა ძნელი არ არის და მასპინძლები ცხრილის სათავეში, ალბათ, მეხუთე ტურის მერეც დარჩებიან. ცნობისთვის - წინა ჩემპიონატში **ბესიკ შეროზიას** გუნდმა „ლოკომოტივთან" ოთხი ქულა მოიპოვა, თუმცა მაშინ „მგლებიც" ბევრად ძლიერი იყო და თბილისურ კლუბსაც ახლანდელისგან განსხვავებით სულ სხვა მიზნები ჰქონდა. „ლოკომოტივს" თუ ქულა არ დაუკარგავს, საპირისპირო სიტუაციაშია „სპარტაკი" - ჩემპიონატში სამივე მატჩი რომ წააგო. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდისთვის ეს ტური განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმითაც არის, რომ უშუალო კონკურენტ „ბორჯომს" ხვდება, გუნდს, რომელიც ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე... ლამის პირველ ლიგაში „გავისტუმრეთ"; თუმცა დებიუტანტი მწვრთნელის **გიორგი სუხიაშვილისა** და „ბორჯომის" ფეხბურთელთა მცდელობა - თავდადებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ამ გუნდმა ბოლო ორ შეხვედრაში ოთხი ქულა მოიპოვა. არანაკლებ ინტერესს იწვევს „გაგრა"-"სიონის" დაპირისპირება, ტურის სხვა მატჩებისგან განსხვავებით დღეს რომ გაიმართება. ახალგაზრდული „გაგრა" შინ წარმატებით ასპარეზობს (ორივე მატჩი მოიგო), მისმა მეტოქემ კი, ალბათ, უკვე დროა, რომ რეალური შესაძლებლობები წარმოაჩინოს.



2007 წლის 13 აპრილი. დინამო-ზესტაფონი 2:2

ახლა კი ტურის ორ ცენტრალურ შეხვედრაზეც; იმედია, „ოლიმპისა" და „ვიტ ჯორჯიას" ქომაგები არ გვიწყენენ, თუ უფრო მეტ ყურადღებას „ზესტაფონი"-"დინამოს" მატჩს დავუთმობთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მეოთხე წელიწადია ამ გუნდების დაპირისპირება პრინციპულ ხასიათს ატარებს. სხვანაირად ვერც იქნებოდა - ამ დროის განმავლობაში სწორედ ეს ორი გუნდი ითვლებოდა ყოველთვის ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტად. თუმცა, ისეც ყოფილა, რომ „დინამოსა" და „ზესტაფონს" ერთმანეთი „დაუჭამიათ" და ამით... სხვა გუნდს უხეირია. აი, როგორც 2006-07 წლების სეზონში იყო: ვაკეში ჩატარებული დრამატული შეხვედრა ფრედ (2:2) დასრულდა და ეს შედეგი... რუსთავის „ოლიმპისთვის" იდეალურზე მეტი იყო. საერთოდაც, ამ გუნდების ოთხწლიან დაპირისპირებათა ისტორიაში გამოკვეთილი უპირატესობა არავის აქვს და ეს გასაკვირი არც არის. ცალკე საუბრის თემაა „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის **თემურ მახარაძის** ფაქტორიც: საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე გამოცდილ მწვრთნელს რომელ გუნდშიც უმუშავია, თითქმის ყველგან... დადებითი ბალანსი ჰქონდა თბილისის „დინამოსთან". მახარაძეს ახლა პირველად მოუწევს **რაინერ ცობელთან** დაპირისპირება; ისე როგორც, ასევე პირველად უნდა ნახოს გერმანელმა მწვრთნელმა, თუ როგორია ზესტაფონელი ქომაგების წინაშე თამაში. საერთოდაც, საქართველოში ჩამოსვლის მერე ეს ცობელის პირველი შეხვედრა იქნება, თბილისის გარეთ რომ ტარდება...

ისევ ტურის ამ ცენტრალურ შეხვედრაზე ვსაუბრობთ და წინა ჩემპიონატიც გვინდა გავიხსენოთ. უფრო ზუსტად, მხოლოდ ერთი მატჩი, რომელიც პირველი წრის ბოლოს ჩატარდა და „შემოდგომის ჩემპიონის" ვინაობაც გამოარკვია. იმ შეხვედრაში „დინამომ" თავის პრინციპულ მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობა; დასამახსოვრებელი იყო **დავით დიღმელაშვილის** „ცხრიანში" თუ **მიხეილ ხუციშვილის** სოლორეიდის მერე გატანილი ეფექტური გოლებიც; აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ სწორედ იმ მატჩში შეწყდა „ზესტაფონის" წაუგებელი სერია. ის, მართლაც, სარეკორდო წაუგებელი სერია კი წელიწადსა და ოთხ თვეს გრძელდებოდა და 35 მატჩს შეადგენდა. წესითა და რიგით, მეორე წრის მატჩზეც ალმატებულ ხარისხში უნდა გვესაუბრა; მით უმეტეს, რომ „დინამომ" ჩემპიონის ტიტული სწორედ ზესტაფონში მოგებით გაიფორმა. თუმცა არც წლევანდელი 3 მაისის იმ შეხვედრის გახსენება გვინდა და არც ოთხი დღის მერე ჩატარებული თასის ნახევარფინალის განმეორებითი მატჩისა...

არანაკლებ დიდ ინტერესს იწვევს კიდევ ერთი ხვალინდელი მატჩი, სადაც „ოლიმპმა" გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს „ვიტ ჯორჯიას" უნდა უმასპინძლოს. მიუხედავად, მართლაც, კატასტროფული სტარტისა, რუსთაველებს სატურნირო მდგომარეობის გამოსწორების ჩინებული შანსი აქვთ. ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, ძლიერი მეტოქე უნდა დაამარცხონ, მერე ორ კვირას დაისვენებენ და ოთხი ისეთი მატჩიც ელოდებათ, ქულათა მაქსიმუმის მოპოვება რომ არ უნდა გაუჭირდეთ. ოღონდ, ხვალაც და მომდევნო შეხვედრებშიც თუ ისევ ისე ითამაშებენ, როგორც წინა ტურის მატჩში („დინამოსთან"), მაშინ პირველ სამეულში მოხვედრაზე არც უნდა იფიქრონ. აბსოლუტურად სწორი შეფასება მოუძებნა **ხვიჩა ქასრაშვილმა** „დინამოსთან" თავისი გუნდის ასპარეზობას - ეს, მართლაც, კატასტროფა იყო! „ოლიმპს"აქამდე ჩატარებულ სამ მატჩში გამარჯვება თუ ვერ მოუპოვებია, მისი მეტოქე პირველად მხოლოდ წინა ტურში დამარცხდა. თანაც, „ვიტ ჯორჯიას" დაკარგული ქულაც არ ჰქონდა და საკუთარ კარში გაშვებული გოლიც. დიდ ინტერესს იწვევს იმ ფეხბურთელების ასპარეზობაც, რომლებთაც ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მოუწევთ გამოსვლა: **მირზა მერლანი** და **გიორგი ფეიქრიშვილი** წლების განმავლობაში „ვიტ ჯორჯიაში" თამაშობდნენ, **გრიგოლ ბედიაშვილი** კი რუსთავის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. არანაკლებ საინტერესოა კიდევ ერთი მომენტიც: მეოთხე სეზონია **ნესტორ მუმლაძე** „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელია და ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იყო შემთხვევა, როცა ზედიზედ ორჯერ დამარცხდა...

**გია ტუხაშვილი**

### ზესტაფონი-დინამო. ყველა დაპირისპირება

| | |
|---|---|
| **2004-05** | |
| დინამო-ზესტაფონი (გონჩაროვი, შ. კაშია) | 2:0 |
| ზესტაფონი-დინამო (დვალი-2) | 0:2 |
| დინამო-ზესტაფონი (სულაკაძე) | 0:1 |
| ზესტაფონი-დინამო | 0:0 |
| **2005-06** | |
| ზესტაფონი-დინამო (ნუდნი) | 1:0 |
| დინამო-ზესტაფონი (ბობოხიძე-2; იონანიძე-2) | 2:2 |
| **2006-07** | |
| ზესტაფონი-დინამო (შ. ლონლაძე) | 1:0 |
| დინამო-ზესტაფონი (იაშვილი, ფეიქრიშვილი; გ. ჭელიძე, ბ. გოცირიძე) | 2:2 |
| **2007-08** | |
| დინამო-ზესტაფონი (დიღმელაშვილი, ხუციშვილი) | 2:0 |
| ზესტაფონი-დინამო (ვაწაძე) | 0:1 |

*მეტოქეებმა ერთმანეთში 10 მატჩი ჩაატარეს: „ზესტაფონმა" 3 მოიგო, 3 ფრედ დასრულდა და 4 წააგო. ბურთების სხვაობა: 7-11*

### ოლიმპი-ვიტ ჯორჯია. ყველა დაპირისპირება

| | |
|---|---|
| **2006-07** | |
| ოლიმპი-ვიტ ჯორჯია (ლ. ქებაძე-2, კახელიშვილი, სირბილაძე) | 4:0 |
| ვიტ ჯორჯია-ოლიმპი | 0:0 |
| **2007-08** | |
| ვიტ ჯორჯია-ოლიმპი (გელაშვილი, სახოკია; რ. ჯიქია) | 2:1 |
| ოლიმპი-ვიტ ჯორჯია (პ. დათუნაიშვილი) | 0:1 |

## საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა. V ტური

### აღმოსავლეთი

**კახეთი-დილა 0:1**

0:1 სორდია (42)

*კახეთი:* ქუფარაშვილი, ლ. აბდულაევი, მურველიშვილი, ო. აბდულაევი (75. ხამხაძე), ხუმარაშვილი, გიგაური (73. ტეტიაშვილი), მელიქიშვილი, იმერლიშვილი, ბიძინაშვილი, კობაიძე, ძამუკაშვილი

*სათადარიგოები:* ხიდეშელი, ხუციშვილი, მჭედლიშვილი, ტარულაშვილი, კობრიაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გივი კობაიძე

*დილა:* დგებუაძე, ცოცხალაშვილი, შარანგია, თარგამაძე, ჩიხრაძე, დონდოლაძე, სორდია, თოდუა, ივანაშვილი (62. იჩქითი), ფაილოძე (50. ანდღულაძე), მეტრეველი (83. ებანოიძე)

*სათადარიგოები:* კეჩხუაშვილი, სურმავა, ალთუნაშვილი, მაჭავარიანი

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა მეტრეველი

*გაფრთხილებები:* ძამუკაშვილი, შარანგია, ო. აბდულაევი, ტეტიაშვილი

*არბიტრი:* არსენ ნონიკაშვილი (თბილისი)

**სიონი 2-დინამო 2 2:2**

0:1 სიხარულიძე (7), 1:1 გიგინეიშვილი (81), 1:2 მამუჩიშვილი (83), 2:2 ოქროპირიძე (90)

*სიონი 2:* გურგენიძე, ჩხეტიანი, იობაშვილი, ოქროპირიძე, გაბიძაშვილი (86. ბრეგვაძე), უგრეხელიძე, ი. უგულავა, ბუბუტეიშვილი, ალფაიძე (81. ჯ. უგულავა), ოქროპირიძე (53. გიგინეიშვილი), ჯიქიძე

*სათადარიგოები:* ჭაველაშვილი, არღელიანი, ქობულაძე, გიორხელიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ჯონი ჯაგიდისი

*დინამო 2:* ნადირაძე, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, ჩადუნელი, დარასელია, ნემსაძე, კაკუბავა, ბოლქვაძე (77. ჯოხაძე), ჩიკვაიძე (68. მამუჩიშვილი), სიხარულიძე, ჯიშკარიანი (73. ქანთარია)

*სათადარიგოები:* ჭყონია, გუგავა, კოპაძე, ქამუშაძე

*მთავარი მწვრთნელი:* დათო კეველიშვილი

*გაფრთხილებები:* ლ. უგულავა, გაბიძაშვილი, ჩიკვაიძე

*არბიტრი:* ხვიჩა გაგნიძე (გორი)

**გაგრა 2-ჩიხურა 2:4**

0:1 ჭილლაძე (19), 1:1 აბაშიძე (23), 2:1 მესხი (24), 2:2 გულიაშვილი (57), 2:3 კობახიძე (81), 2:4 მიქაძე (90+3)

*გაგრა 2:* კოტრიკაძე, ლალიანი, ბ. ტეტუნაშვილი, კვანტალიანი, გედენიძე, კილაძე (59. ოქრიაშვილი), სუხიშვილი (46. ჩხაიძე), მეტრეველი, მესხი (68. სეფიაშვილი), აბაშიძე, სეთურიძე

*სათადარიგოები:* ნაჭყებია, ა. ტეტუნაშვილი, ხოკერაშვილი, ფილია

*მთავარი მწვრთნელი:* თეიმურაზ ჩხაიძე

*ჩიხურა:* დოლაძე, ზივზივაძე, ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ტყებუჩავა, ნოზაძე (80. ზაბახიძე), ჭილლაძე (58. ჩიკვაიძე), დოლონაძე (85. როგავა), გულიაშვილი, მიქაძე, კობახიძე

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, ცარციძე, პეტრიაშვილი, მაჭარაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

*არბიტრი:* ლევან კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ამერი-ჰერეთი 4:1**

0:1 კუპრაშვილი (2), 1:1 ჩიმაკაძე (6), 2:1 ლაფერაშვილი (52), 3:1, 4:1 ქებაძე (78, 90+2)

*ამერი:* ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, სანიკიძე, კაკაბაძე, ხუციძე (80. ჯელაძე), ლაფერაშვილი, ჩიმაკაძე (80. ცხოვრებაშვილი), ტიკურიშვილი, ბოჯგუა, ბენდელიანი

*სათადარიგოები:* გვენცაძე, ხელაძე, ჯინიკაშვილი, ფუტკარაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი ჩიხრაძე

*ჰერეთი:* ბილიხოძე, ხარაიშვილი, ლომიძე, ფარულავა, მაჭარაშვილი, თანდაშვილი (68. ვარამიშვილი), კუპრაშვილი (55. მაჭავარიანი), ყორღანაშვილი, გვარაძე (46. ნვერავა), ლობჟანიძე, თოფურია

*სათადარიგოები:* გრიგოლაშვილი, ზედგენიძე, ტყეშელაშვილი, მატვიენკო

*მთავარი მწვრთნელი:* ვლადიმერ ონიანი

*გაფრთხილებები:* სანიკიძე, მაჭავარიანი, ფარულავა

*არბიტრი:* ვასილ ელისაბედაშვილი (თბილისი)

**თბილისი-ვიტ ჯორჯია 2 0:3**

0:1 ლუჟაშვილი (50), 0:2 მაისაშვილი (61), 0:3 ვასაძე (90+2)

*თბილისი:* გიორგობიანი, სარაჯიშვილი, ამისულაშვილი, ოდიშარია, ხოხონიშვილი (86. ჭაფოძე), გურეშიძე (73. მოდებაძე), ზეიადაძე, ჯაში, კბილცეცხლაშვილი, სებისკვერაძე (65. ბელქანია), ტორონჯაძე

*სათადარიგოები:* ლობჟანიძე, მიქელაძე, სულუხია

*მთავარი მწვრთნელი:* გელა გომელაური

*ვიტ ჯორჯია 2:* მიქაბერიძე, ხურცილავა (46. ზაქრაძე), ადამაძე, კასრაძე, ვეკუა, მაისაშვილი, ლანიაშვილი, ვასაძე, ჯანელიძე, ბერიაშვილი (46. გამრეკლიძე), ლუჟაშვილი (65. ფურცელაძე)

*სათადარიგოები:* ღურბელეიშვილი, გოგიაშვილი, სვანიძე, დვალიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* მერაბ კოჭლაშვილი

*გაფრთხილებები:* ლუჟაშვილი, მაისაშვილი, სარაჯიშვილი, ოდიშარია, ამისულაშვილი, ზეიადაძე

*არბიტრი:* ირაკლი ურუშაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო 2 | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| 2. ვიტ ჯორჯ. 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 7-0 | 10 |
| 3. დილა | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 10 |
| 4. ამერი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 5. ჩიხურა | 5 | 2 | 2 | 1 | 11-6 | 8 |
| 6. სიონი 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 9-8 | 7 |
| 7. თბილისი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 8. ნ/დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| 9. კახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 10. ჰერეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-9 | 3 |
| 11. გაგრა 2 | 5 | 0 | 0 | 5 | 5-14 | 0 |

**მომდევნო ტური**

**6 ოქტომბერი, ორშაბათი**

დინამო2-კახეთი
ჩიხურა-სიონი2
ჰერეთი-გაგრა2
ვიტ ჯორჯია2-ამერი
ნორჩი დინამოელი-თბილისი

*დილა ისვენებს*

### დასავლეთი

**კოლხეთი (ფ)-მეშახტე 1:0**

1:0 დ. ნარსია (86)

*კოლხეთი:* გ. შენგელია, ლუსტა, ნარსია, ცხვიტარია, ქომეთიანი, ჩხარტიშვილი, გვიჩია (44. ციკოლია), გვალია (74. აბურჯანია), გელაჭეიშვილი, ბაკარანძე, ქანდარაძე (60. ნიქარიშვილი)

*სათადარიგოები:* ლატარია, გოგნაძე, ლემონჯავა

*მთავარი მწვრთნელი:* ზაზა ინიაშვილი

*მეშახტე:* გიორგაძე, დონაძე, ი. გვეტაძე, ბოჭორიშვილი, ჯიშიაშვილი, ლომთაძე, მაჩალაძე, გოგუა, გვენეტაძე, ბ. გვეტაძე, ავალიშვილი

*სათადარიგოები:* თორთლაძე, წერეთელი, კალანდაძე

*მთავარი მწვრთნელი:* მერაბ ბაბუხადია

*გაფრთხილებები:* ბოჭორიშვილი, ჯიშიაშვილი

*არბიტრი:* დავით ხარიტონაშვილი (თბილისი)

**გურია-ტორპედო 1:0**

1:0 რ. კუკულაძე (69)

*გურია:* აბრამიშვილი, რ. კუკულაძე, ქურიძე, ცინცაძე, იმნაძე, ბეგოიძე (19. მოდებაძე), კვერენჩხილაძე (80. სულაბერიძე), ტ. კუკულაძე, კოტრიკაძე (60. ურუშაძე), გოგიბერიძე, მგელაძე

*სათადარიგოები:* ხურციძე, ჯორბენაძე, შენირული, ჯაყელი

*მთავარი მწვრთნელი:* ავთანდილ ნარიაშვილი

*ტორპედო:* მიგინეიშვილი, შველიძე, ბიბილაშვილი, ხარებავა, ბესარაშვილი, ჭანკვეტაძე, კირკიტაძე (27. დარსაძე), კოსტავა, დანელია (75. ქობალია), კობერიძე, ტიელიძე

*სათადარიგო:* კუჭუხიძე

*მთავარი მწვრთნელი:* კახა კარანაძე

*გაფრთხილებები:* გოგიბერიძე, ურუშაძე, ბესარაშვილი

*არბიტრი:* მალხაზ ბეუქლიშვილი (ყვარელი)

**ჭიათურა-ბათუმი 3:0**

1:0, სევასტოპულო (33),2:0 სევასტოპულო (57), 3:0 ხაჭიპერაძე (80)

*ჭიათურა:* ბადურაშვილი, ბრეგვაძე, ბრუსლი, კევლიშვილი, ეგაძე (46. ცუცქირიძე), ილურიძე, ნდონი (70. ხაჩიძე), სეფერთელაძე, ვ. ტყემალაძე (83. ნ. ტყემალაძე), სევასტოპულო, ხაჭიპერაძე

*სათადარიგოები:* დარჯანია, ძაგანია, ვაშაძე, გოგბერაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გიგლა იმნაძე

*ბათუმი:* თოთლაძე, რამიშვილი (60. გალოგრე), გოგიტაური, ფარტენაძე, გოგუაძე, გოგიტიძე, მახარაძე, გორჯელაძე, მალაზონია, ზოიძე (52. ქადიძე), დემურაძე (46. კალანდაძე)

*სათადარიგოები:* მჭედლიძე, ზაქარეიშვილი, კაკალაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

*არბიტრი:* ალექსანდრე კრიჭაშვილი (თბილისი)

**სამტრედია-მერანი (მარტ.) 0:1**

0:1 ციცხვაია (30)

*სამტრედია:* ი.დ. შენგელია, გოგია, კვესეიშვილი, ნინუა, სამსეიშვილი, ჩომახიძე, ადეიშვილი, ეცადეიშვილი, ბაკურაძე (74. ი.გ. შენგელია), ოქრუაშვილი, ბოხუა (39. მახარაძე)

*სათადარიგოები:* კეკელიძე, დარჯანია, თელია, სალდაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან ჩხარტიშვილი

*მერანი:* კოდალაევი, ჩხიკვაძე, ფარცვანია, ვაშაკიძე, კვანტალიანი, პაპადოპულოსი, წოწორია, გოგოლაძე (84. თოდუა), კირკიტაძე (71. ტორაძე), ჩალაძე, ციცხვაია (79. არდაშელია)

*სათადარიგოები:* ცაგარეიშვილი, ენდელაძე, შეროზია

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

*გაფრთხილებები:* გოგოლაძე, წოწორია, ბაკურაძე, ადეიშვილი

*არბიტრი:* ლაშა სილაგავა (თბილისი)

**ბაია-ზესტაფონი 2 2:0**

1:0 ძალამიძე (61), 2:0 გუგუჩია (58)

*85-ე წუთზე კეჟაყმაძემ ვერ გამოიყენა პენალტი.*

*ბაია:* ივარდავა, გ. პაჭკორია, ჟვანია, კვეკვესკირი, ქაშაკაშვილი (ქობალია 59), ძალამიძე, ბოკუჩავა, რაფავა (89. კუტალია), ვართაგავა (81. კაკუშაძე), გუგუჩია, ქირია

*სათადარიგოები:* მაქაცარია, ეხვაია, დ. პაჭკორია, აფაქიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ჰერბერტ ცანკერი

*ზესტაფონი 2:* ძაძამია, ხიხაძე (48. სუხიაშვილი), ზ. ლობჟანიძე, ბენაშვილი, შ. ლონლაძე, მაკარიანი, ლომაშვილი, სტეფანიშვილი (67. კვირიკეიშვილი), კეჟაყმაძე, ხიდეშელი (75. ბუკია), ბერიძე

*სათადარიგოები:* კამლაძე, ხაჩიძე, ბერუაშვილი, ბოჭორიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი ნადირაძე

*გაფრთხილებები:* გუგუჩია, ლონლაძე, კეჟაყმაძე

*გაძევებები:* ლობჟანიძე

*არბიტრი:* ოთარ ხეცაძე (თბილისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 5 | 4 | 0 | 1 | 14-4 | 12 |
| 2. ბაია | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| 3. სამტრედია | 5 | 3 | 0 | 2 | 6-3 | 9 |
| 4. კოლხეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 5. მერანი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 6. ხობი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 7. გურია | 4 | 1 | 2 | 1 | 3-6 | 5 |
| 8. ზესტაფონი 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 1-5 | 4 |
| 9. ბათუმი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |
| 10. მეშახტე | 5 | 0 | 2 | 3 | 4-12 | 2 |
| 11. ტორპ. 2008 | 5 | 0 | 1 | 4 | 0-5 | 1 |

**მომდევნო ტური**

**6 ოქტომბერი, ორშაბათი**

ტორპედო 2008-კოლხეთი ფოთი
დინამო ბათუმი-გურია
მერანი-ჭიათურა
ზესტაფონი 2-სამტრედია
ხობი-ბაია

*მეშახტე ისვენებს*

# საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
თვის ნომინანტები

## თვის მწვრთნელები — გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე (ლოკომოტივი)


ზაზა ზამთარაძე


გიორგი კიკნაძე

ჩემპიონატის დაწყების წინ „ლელოში" გუნდების განაცხადები გამოვაქვეყნეთ და პირველად მაშინ მივუთითეთ, რომ „ლოკომოტივს" ორი მთავარი მწვრთნელი ჰყავდა. მერე, **მერაბ მამულაშვილმა** ეს თემა უფრო განავრცო და იმედია, ანი უკვე ყველას ეცოდინება, რომ „ლოკომოტივს" მწვრთნელთა დუეტი ხელმძღვანელობს. ასეთი პრაქტიკა იშვიათია, თუმცა ანალოგიური შემთხვევებიც ყოფილა (საქართველოსა და შვედეთის ნაკრებებში); ასეთი შესავალი კი იმიტომ დაგვჭირდა, რომ „ლოკომოტივის" ახალგაზრდა მწვრთნელებმა თანაბრად „გაინაწილონ" წარმატება - **გიორგი კიკნაძე** და **ზაზა ზამთარაძე** სექტემბრის რჩეულები არიან! იმედია, ჩვენი არჩევანი საკამათო არ იქნება - „ლოკომოტივი" ერთადერთი გუნდია, ყველა შეხვედრა რომ მოიგო. თანაც, იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, ვისთან მიაღწია გამარჯვებას: ჯერ მართლაც ყველასთვის უხერხულ მეტოქე „მესხეთს" მოუგო, მერე - „დინამოს" დაბოლოს „ვიტ ჯორჯიას". რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ „ლოკომოტივში" ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს; ისეთები, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე თამაშის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლიათ, მაგრამ დღევანდელი „ლოკომოტივი" ერთი ან ორი ფეხბურთელის გუნდი არ არის და ეს ნათლად დადასტურდა კიდეც „დინამოსთან" მოგებულ შეხვედრაშიც. იმ მატჩში „ლოკომოტივის" ზოგიერთი ფეხბურთელის საშემსრულებლო ოსტატობამ გარკვეული როლი ითამაშა, მაგრამ არც იმის დაუნახაობა იქნება, თუ როგორ დაჯაბნეს მასპინძლებმა ძლიერი მეტოქე ტაქტიკურ ჭიდილში.

კიკნაძე-ზამთარაძის დუეტი თავის გუნდში თანამედროვე ფეხბურთის ელემენტების დამკვიდრებას ცდილობს: მკაცრი პრესინგი მთელ მოედანზე, საკუთარი საჯარიმოდან ბურთის დროულად და ზუსტად ამოტანა, შეტევაში სწრაფად გადასვლა და ასე შემდეგ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდა მწვრთნელებმა ზოგიერთ ფეხბურთელს ამპლუა შეუცვალეს და ამას გუნდის შედეგზე უარყოფითად არ უმოქმედია. აი, **გიორგი კახელიშვილის** მაგალითი ავილოთ: სწრაფი და ენერგიული ახალგაზრდა ფორვარდი „დინამოსთან" მარჯვენა მცველად მოგვევლინა, „ვიტ ჯორჯიასთან" კი - მარცხენა მცველად; არც **ირაკლი სამხარაძეა** გამოკვეთილი ფლანგის ნახევარმცველი და არც - **ირაკლი ჩირიკაშვილი** (ამ ბიჭს დიდი პოტენციალი აქვს და ბევრი ჯეროვნად ვერ აფასებს); **ვიტალი დარასელია** დღეს რომ თავდასხმაში **რატი ალექსიძის** მეწყვილეა, ხვალ უკვე სიღრმიდან თამაშობს და ასე შემდეგ. ახალგაზრდა მწვრთნელები არიან და თავისზე გამოცდილი კოლეგებისგან სწავლასაც არ თაკილობენ. აი, ახლახან **ექტორ რაულ კუპერმა** საქართველოს ნაკრების „ლია ვარჯიში" რომ ჩაატარა, ზაზა ზამთარაძე (ბევრი ქართველი მწვრთნელისგან განსხვავებით) ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს არგენტინელი სპეციალისტის სამუშაო პროცესს.

და მთავარიც: გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის სამწვრთნელო საქმიანობაში არავინ ერევა და ეს, კლუბის ხელმძღვანელთა უდიდესი დამსახურებაა (უკვე, ასეთებიც გვიკვირს); ანუ მატჩამდეც ვერავინ „დაარიგებს" და შეხვედრის დროსაც ტრიბუნიდან თუ ვიპლოჟიდან ცვლილების გაკეთებასაც ვერავინ „მოსთხოვს"...

## სექტემბრის სიმბოლური ნაკრები




## თვის ფეხბურთელი — რატი ალექსიძე (ლოკომოტივი)



წინა სეზონი ახალი დასრულებული იყო, რომ მითხრეს: „სადღაც" დაუწერიათ - რა ტვინი წაილეს ამ „კაცების დაბრუნებით"; რა მიხვედრა უნდა, სად იქნებოდა; ადრესატი „ლელო" და ამ სტრიქონების ავტორი იყო - წინა ჩემპიონატის მეორე წრის დასაწყისიდან „კაცების დაბრუნებას" რომ მიესალმებოდა. პასუხი გავცე? მე არ ვაპირებ და ყველა სკეპტიკოსს პასუხს ის მართლაც კაცები სცემენ, ეროვნულ ჩემპიონატს რომ დაუბრუნდნენ! **ვიტალი დარასელია** და **ლევან ცქიტიშვილი**, **რატი ალექსიძე** და **გიორგი ლომაია** - კიდევ კარგი, რომ დაბრუნდნენ და კაცების თამაშს ვუცქერთ და არა... ლამის ჭაბუკთა ლიგად გადაქცეულ ჩემპიონატს. დარასელია, ცქიტიშვილი და ალექსიძე რომ არ ყოფილიყვნენ, „ლოკომოტივი" უმაღლესი ლიგის ერთპიროვნული ლიდერი კი არა, პირველი ლიგის ჩვეულებრივი გუნდი იქნებოდა. ახალი ჩემპიონატიც ყველამ შთამბეჭდავად დაიწყო და მაინც, რატი ალექსიძე უნდა გამოვარჩიოთ. ჯერ ის ვთქვათ, რომ ოთხი გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიას ლიდერობს; მერე ის ვახსენოთ, რომ ყველა მატჩში მაქსიმალურად იხარჯება და ტური არ გავა, „სარბიელის", „ოლიმპისა" თუ „ლელოს" სიმბოლურ ნაკრებში მოხვდეს; ეფექტური გოლების გატანაც იცის და ჩვეულებრივიც, საყვარელი ცაციათიც უყვარს მეტოქეთა დამწუხრება და თავური დარტყმებითაც, პენალტისტიც არის და საგოლე პასიც არ ავიწყდება, მოწინააღმდეგის მცველებს პოზიციის შერჩევაშიც ჯაბნის და სისწრაფეშიც, დრიბლინგიც ეხერხება და უბურთოდ მანევრირებაც; მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელია! უფრო მეტიც - სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელია!

...საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **პეტარ შეგრტის** ბოლოდროინდელ „მიღწევებს" „ლელომ" რომ შეფასება (სამართლიანი) მისცა, თურმე, ბევრს არ ესიამოვნა; ალარ გვინდა ამ თემას დავუბრუნდეთ და მხოლოდ ერთს ვიტყვით: ხორვატმა მწვრთნელმა ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა: შეგახსენებთ, რომ შეგრტი (უფროსი მეგობრისგან განსხვავებით) საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს არ აცდენდა; და როცა ალექსიძე „ლოკომოტივში" დაბრუნდა, ხორვატი მწვრთნელი მაშინვე დარწმუნებულა გამოცდილი ფორვარდის შესაძლებლობებში. ამიტომაც გამოუძახა კიდეც საქართველოს ნაკრებში ესტონეთსა და პორტუგალიასთან სათამაშოდ; მერე, უკვე **ექტორ კუპერი** რომ დაინიშნა და უელსთან მატჩში, ფაქტობრივად, შეგრტის შერჩეული ნაკრები რომ თამაშობდა, ხორვატს არც მაშინ დავიწყნია ალექსიძის გვარი. თუმცა არგენტინელ მწვრთნელს სექტემბერიც ეყოფოდა ალექსიძის შესაძლებლობების შესაფასებლად; მიზეზი კი მარტივია - ეს ხომ რატის თვე იყო...

**გია ტუხაშვილი**

*P.S. ისე, რომელი ალექსიძე უფრო ძლიერი იყო: 19 წლის ასაკში „დინამოს" კაპიტანი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი რომ გახდა, მერე ინგლისიდან რომ ჩამოვიდა და ივო შუშაკის „დინამოში" რომ „დაფრინავდა", თუ - ახლანდელი, 30 წლის დაბრძენებული და მოტივირებული?*

## საქართველოს ჩემპიონატი

### II ლიგა

**II ტური. გამოტოვებული მატჩი**

| | |
|---|---|
| ლიახვი-ლოკომოტივი 2 | 1:1 |

**III ტური**

**3 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| სამგორი-სპარტაკი 2 | 5:2 |
| ბორჯომი 2-ამერი 2 | 0:1 |

**4 ოქტომბერი**

გარეჯი-ლიახვი
ერთობა-ალგეთი
ალაზანი-არაგველები
ზოოვეტი-იმედი
ჰერეთი 2-I.B.S.U.
დუშეთი-35-ე სკოლა
ლოკომოტივი 2-ნ. დინამო 2

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი 2 | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 2. დუშეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-2 | 6 |
| 3. სპარტაკი 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 11-7 | 6 |
| 4. ბორჯომი 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 5. არაგველები | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 6. ალგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7. იმედი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 8. I.B.S.U. | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 9. ჰერეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 10. სამგორი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-7 | 3 |
| 11. ერთობა | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12. ლიახვი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 13. ლოკომოტ. 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 14. გარეჯი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 1 |
| 15. ზოოვეტი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 16. 35 ს.ს. | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |
| 17. ალაზანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |
| 18. ნ. დინამო 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 2-9 | 0 |

### ჭაბუკთა ლიგა. III ტური

**1993-1994 წწ.**

**1 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| ბორჯომი-სიონი | 2:0 |
| გაგრა-მგლები | 5:2 |
| ზესტაფონი-მესხეთი | 4:0 |
| ლოკომოტივი-დინამო | 0:1 |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| ოლიმპი-ამერი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-5 | 9 |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 9-1 | 9 |
| მგლები | 3 | 2 | 0 | 1 | 10-5 | 6 |
| ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-1 | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| ბორჯომი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-6 | 4 |
| ოლიმპი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 7-5 | 3 |
| გაგრა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-12 | 3 |
| მესხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-8 | 1 |
| სიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

**1995-1996 წწ.**

| | |
|---|---|
| ბორჯომი-სიონი | 1:1 |
| გაგრა-მგლები | 3:0 |
| ზესტაფონი-მესხეთი | 6:0 |
| ლოკომოტივი-დინამო | 3:0 |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| ოლიმპი-ამერი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-0 | 9 |
| გაგრა | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| ოლიმპი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| მგლები | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 8-3 | 4 |
| ბორჯომი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| ამერი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |
| სპარტაკი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| მესხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-15 | 0 |

**1991-1992 წწ.**

**3 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| სიონი-ბორჯომი | 0:1 |
| მგლები-გაგრა | 2:3 |
| მესხეთი-ზესტაფონი | 0:6 |
| დინამო-ლოკომოტივი | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 0:0 |
| ოლიმპი-U16 ნაკრები | 3:6 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-0 | 9 |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| ნაკრები-16 | 3 | 2 | 0 | 1 | 9-6 | 6 |
| მგლები | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| სპარტაკი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-5 | 4 |
| გაგრა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| ბორჯომი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| ოლიმპი | 3 | 0 | 1 | 2 | 5-11 | 1 |
| მესხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-9 | 1 |
| სიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. VI ტურის წინ

# აქვთ თუ არა ჩავარდნა ინტერს და იუვეს?

| დღეს | |
|---|---|
| ლაციო-ლეჩე | 20:00 |
| ინტერი-ბოლონია | 22:30 |
| **ხვალ** | |
| ატალანტა-სამპდორია | 17:00 |
| კიევო-ფიორენტინა | 17:00 |
| ჯენოა-ნაპოლი | 17:00 |
| იუვენტუსი-პალერმო | 17:00 |
| რეჯინა-კატანია | 17:00 |
| სიენა-რომა | 17:00 |
| უდინეზე-ტორინო | 17:00 |
| კალიარი-მილანი | 22:30 |





სერია A-ს მე-6 ტურში გრანდების გზები არ იკვეთება და შესაბამისად, დიდი გუნდების დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ. თუმცა, მოახლოებულ ტურს უინტერესოს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, რაც რამდენიმე ფაქტორით გახლავთ განპირობებული.

ბოლო პერიოდია ველარ ბრწყინავს „ინტერი", **მორატის** გუნდმა ჯერ იყო და დერბი წააგო, შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგაში საკუთარ კედლებში „ვერდერს" ვერაფერი მოუხერხა. ბუნებრივია, ტიფოზები **მოურინიოსგან** მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას ითხოვენ და იმედებს შაბათის მატჩზე ამყარებენ. „ინტერნაციონალე" **ჯუზეპე მეაცაზე** „ბოლონიას" უმასპინძლებს, გუნდს, რომელმაც პირველ ტურში ამავე სტადიონზე „მილანის" დამარცხება მოახერხა. ბოლონიელებმა იმ გამარჯვების შემდეგ, ოთხი მარცხი განიცადეს და გუნდის ხელმძღვანელები მწვრთნელის შეცვლის საჭიროებაზე დაფიქრდნენ - ახალ დამრიგებლად კი „იუვენტუსის" ყოფილი თავკაცი **დიდიე დეშამი** მოიაზრება. ჟოზე მოურინიო სტუმრებს ტრადიციულ 4-3-3 ტაქტიკას დაუპირისპირებს, შეტევის წინა ხაზზე კი **მანსინი, იბრაჰიმოვიჩი** და **კვარეშმა** განლაგდებიან. ძირითადში არ მოიაზრება ბრაზილიელი ფორვარდი **ადრიანო**. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სასტარტოში იქნება **მუნტარი**, ის ნახევარდაცვაში **ვიეირასთან** და **კამბიასოსთან** ერთად იმოქმედებს. რაც შეეხება სტუმრებს, მწყობრშია **მარკო დი ვაიო**, „ბოლონია" შეტევაში სწორედ მის იმედზე იქნება.

ტური ლიდერის მატჩით გაიხსნება. რომის „ლაციო" საკუთარ მოედანზე კერკეტ „ლეჩეს" უმასპინძლებს. **მარიო ბერეტას** გუნდი დაცვიდან თამაშობს და ბუნებრივია, მწვრთნელი სტრატეგიას არც ამ შაბათის შეხვედრისთვის შეცვლის. „ბიანკოჩელესტეს", სავარაუდოდ, ორ მწკრივად ჩალაგებული დაცვითი რუბიკონის გადალახვას მოუწევს და საინტერესოა, რამდენად კარგად გაართმევს თავს **დელიო როსის** შეტევის ხაზი დასახულ ამოცანას. თავდასხმაში კვლავაც **პანდევი-სარატეს** მრისხანე ტანდემი იმოქმედებს, მათ ანგარიშზე მიმდინარე ჩემპიონატში უკვე 10 გოლია. „ლაციოს" **ტომაზო როკი** დააკლდება, დანარჩენები კი მწყობრში არიან. ნახევარდაცვაში ნაცად ოთხეულს ვიხილავთ - **ბროკი, მაური, ლედესმა** და **ფოჯა** სიღრმიდან შეეცდებიან „ლეჩეს" უკანა ხაზის გარღვევას. გამოჯანმრთელდა ახალგაზრდა, პერსპექტიული ნახევარმცველი **დე სილვესტრი**, მას იტალიაში ამომავალ ვარსკვლავს უწოდებენ და შაბათს ალბათ მწვრთნელი შეცვლაზე ათამაშებს. სხვათა შორის, „ლაციოს" ასეთმა გამოცოცხლებამ გულშემატკივარზეც დადებითად იმოქმედა, კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, ბოლო დღეებში წლიური აბონემენტების რეალიზაცია ერთი-ორად გაიზარდა, „ლეჩესთან" შეხვედრაში კი წლეულს სარეკორდო დასწრებას ელოდებიან.

კვირის თამაშებიდან ყველაზე საინტერესოდ „იუვენტუსი"-„პალერმოს" ჯახი მოჩანს. ტურინული გუნდის ჩავარდნა ამ დღეებში იტალიური პრესის მთავარი სალაპარაკო თემაა - ბებერმა ქალბატონმა სერია A-ში ნათამაშებ ზედიზედ ორ ყაიმს „ბატესთან" ნაწვალები 2:2-იც დაურთო და გულშემატკივრის გვარიანი შეშფოთებაც გამოიწვია. ეგ კი არა, დღის წესრიგში **კლაუდიო რანიერის** პოსტიდან მოხსნის საკითხიც კი დადგა და ცხადია, მწვრთნელს მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორება მოუწევს. რენომეს აღსადგენად „პალერმოს" დამარცხებაა აუცილებელი, თანაც დამაჯერებლად. იტალიელთა მტკიცებით, სასტარტო შემადგენლობაში ვერ ვიხილავთ **ვინჩენცო იაკვინტას** და **სებასტიან ჯოვინკოს**. არადა, ის, რომ „იუვემ" „ბატესთან" არ წააგო, სწორედ ამ ფეხბურთელების დამსახურებაა. შეგახსენებთ, რომ ბორისოველთა კარში გატანილი გოლები იაკვინტას ანგარიშზეა, საგოლე გადაცემები კი ჯოვინკომ მიითვალა აქტივში. სიცილიელებს ბებერი ქალბატონი **დელ პიერო-ამაურის** შემტევი დუეტით შეეტოქება და ვნახოთ, რამდენად გაამართლებს ეს წყვილი. რანიერი ოთხ ნახევარმცველს გამოიყვანს, მარჯვნივ **კამორანეზი** დადგება, მარცხნივ **ნედვედი**, ცენტრს კი **პოულსენი** და **სისოკო** გაამაგრებენ. „იუვეს" მთავარი დანაკლისი კვლავაც **ბუფონია**, ჯიჯი ტრავმას მკურნალობს და დროებით ტურინელთა კარს **მანინგერი** იცავს. „პალერმოსთან" სასტარტო შემადგენლობაში სწორედ ავსტრიელი კიპერი დადგება. სიცილიელები სავარაუდოდ კონტრშეტევაზე ითამაშებენ, წინ კი **ფაბრიციო მიკოლის** იმედზე იქნებიან. მიკოლიმ სეზონი მაღალ დონეზე დაიწყო, უკვე ოთხი გოლის გატანა მოახერხა და **მარჩელო ლიპის** ყურადღებაც მიიპყრო. იტალიელი ჟურნალისტების აზრით, ფაბრიციო მოახლოებული სანაკრებო ბატალიებისთვის მაესტროს განაცხადში მოხვდება.

საინტერესო თამაში იქნება სიენაში. ადგილობრივი კლუბი დედაქალაქურ „რომას" მასპინძლობს და სამი ქულის აღებას შეეცდება. ყოველ შემთხვევაში, ასეთ განცხადებას აკეთებს გუნდის მთავარი მწვრთნელი **ჯამპაოლო**. რაც შეეხება **სპალეტის**, მას რთული დროება უდგას. „რომა" კრიზისშია და ეს მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში გასვლაზე „ბორდოს" დამარცხება შეძლო (3:1). იტალიელი ჟურნალისტების აზრით, საფრანგეთში „ჯალოროსოს" გაუმართლა და სამი ქულა ფორტუნას წყალობით აიღო. მატჩის არბიტმა „ბორდო" ჯერ კიდევ პირველ ტაიმში დატოვა ათი ფეხბურთელის ამარა, რამაც განაპირობა კიდეც სტუმართა გამარჯვება. თუმცა, არავინ უკარგავს დამსახურებას **ჟულიო ბაპტიშტას**, სწორედ მან შეძლო იმ შეხვედრაში გარდატეხის შეტანა და ორი გოლის გატანა. გასაოცარია, მაგრამ ბრაზილიელი „სიენასთან" შეხვედრაში სასტარტოში არ მოიაზრება. სპალეტის მატჩისწინა კომენტარიც ამაზე მიგვანიშნებს: „ბაპტიშტამ „ბორდოსთან" ბრწყინვალედ იასპარეზა და მისით დიდად მადლიერი ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „სიენასთან" ძირითად შემადგენლობაში იქნება. დღეს ჟულიო ფიზიკურად 100%-ით მზად არ არის და მირჩევნია სათადარიგო სკამზე დავტოვო - ამით, თამაშის გაძლიერების რესურსსაც დავიტოვებ. ფრანგებთან გამარჯვება უმნიშვნელოვანესი იყო, ვეცდებით „სიენაც" დავამარცხოთ და კრიზისის დაძლევისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ". კვლავ ვერ ითამაშებს ტრავმირებული **ფრანჩესკო ტოტი**, შეტევის წინა ხაზზე კი **მირკო ვუჩინიჩი** გაირჯება.

ტური სარდინიული შეხვედრით დასრულდება. „კალიარის" „მილანი" სტუმრობს და შეეცდება მოგებათა სერია ექვსამდე გაზარდოს. **კარლო ანჩელოტის** გუნდმა სეზონი კატასტროფულად დაიწყო, თუმცა შემდეგ ვითარება გამოასწორა და დღეს სერია A-ს მოგების უმთავრეს პრეტენდენტად ითვლება. წესით, „როსონერიმ" პირველობის აუტსაიდერი უნდა დაამარცხოს და სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაიუმჯობესოს, ამისთვის ყველა პირობაა შექმნილი. კარლეტო შეტევაში ბრაზილიურ ტრიოს დაეყრდნობა, სარდინიელებს **რონალდინიო, კაკა** და **პატო** შეუტევენ. ნახევარდაცვაში „მილანს" დანაკლისი აქვს: **პირლოს** ტრავმა ძველი ამბავია, „ციურიხთან" შეხვედრაში მცირედით დაშავდა **გატუზო** და სავარაუდოდ, მოახლოებულ შეხვედრას ისიც გამოტოვებს. სასტარტოში იქნებიან **მასიმო ამბროზინი** და **მატიო ფლამინი**, მათთან ერთად გაირჯება **კლარენს ზეედორფიც**. „ციურიხთან" დაპირისპირებისას ტრავმა მიიღო **კახა კალაძემ** და მოედანი ნაადრევად დატოვა. იტალიელთა ვარაუდით, ქართველი კვირას სასტარტოში იქნება და ვფიქრობთ, ეს **ექტორ კუპერისთვისაც** სასიამოვნო ინფორმაციაა. რაც შეეხება „კალიარის", სარდინიელებს უკანდასახევი გზა არ აქვთ და „მილანს" ბოლომდე შეაკვდებიან. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ალეგრიმ**, მატჩს უმნიშვნელოვანესი უწოდა: „ასეთ მეტოქესთან წარმატებით თამაში ჩემი ფეხბურთელებისთვის დიდი სტიმული იქნება, დღეს ქულებთან ერთად ფსიქოლოგიური მდგრადობა გვჭირდება და მოახლოებული პაექრობა ამ კუთხით შესაძლოა გარდამტეხიც გამოდგეს".

სხვა მატჩებიდან შეგვიძლია „ჯენოა"-„ნაპოლის" დაპირისპირება გამოვყოთ. ამ გუნდებმა სეზონი საკმაოდ კარგად დაიწყეს და რამდენიმე ხმაურიანი გამარჯვებაც მოიპოვეს. იტალიელთა აზრით, შეხვედრას ფავორიტი არ ჰყავს. გენუელები საკუთარ მოედანზე შესანიშნავად ასპარეზობენ, „მილანის" და „რომას" დამარცხება სახუმარო ამბავი ნამდვილად არაა - „ნაპოლი" კი შინ თუ გარეთ, ერთნაირად ძლიერია და სატურნირო ცხრილში მეორე საფეხურზეც დამსახურებულად იმყოფება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაციო | 5 | 4 | 0 | 1 | 13-6 | 12 |
| 2. ნაპოლი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-3 | 11 |
| 3. უდინეზე | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 | 10 |
| 4. ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 5. კატანია | 5 | 3 | 1 | 1 | 5-3 | 10 |
| 6. მილანი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-6 | 9 |
| 7. იუვენტუსი | 5 | 2 | 3 | 0 | 4-2 | 9 |
| 8. პალერმო | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 9. ატალანტა | 5 | 3 | 0 | 2 | 3-3 | 9 |
| 10. რომა | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 11. ლეჩე | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 12. ფიორენტინა | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 13. ჯენოა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-5 | 6 |
| 14. სიენა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 15. ტორინო | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |
| 16. კიევო | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 17. სამპდორია | 5 | 0 | 4 | 1 | 2-4 | 4 |
| 18. ბოლონია | 5 | 1 | 0 | 4 | 2-7 | 3 |
| 19. რეჯინა | 5 | 0 | 1 | 4 | 3-9 | 1 |
| 20. კალიარი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-10 | 0 |

მილანი

# გალიანი აჭიკჭიკდა...

## იბრას ერთი ნაბიჯი დააკლდა. ბრაზილია მილანს ემადლიერება

უეფას თასზე „ციურიხთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ (1:0), **ადრიანო გალიანი** იტალიელ ჟურნალისტებს კარგა ხანს ებაასა და მატჩის შეფასების გარდა, სხვა საინტერესო თემებსაც შეეხო: „მშვენიერი მატჩი იყო, გუნდებმა ბოლომდე იბრძოლეს, შემდეგ ეტაპზე კი უფრო ძლიერი გავიდა. ამ ზაფხულს განხორციელებული ტრანსფერებით ყველაზე მეტად გულშემატკივარმა გაიხარა, დღეს გაცილებით სანახაობრივ ფეხბურთს ვთამაშობთ, ვიდრე წინა წლებში. შეხედეთ რონალდინიოს, ვერ გაიგებ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს, მისი თამაში მთლიანად იმპროვიზაციაზეა აგებული. დარწმუნებული ვარ, შვეიცარიელი ქომაგი შინ ნასიამოვნები წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ მათმა საყვარელმა გუნდმა მარცხი განიცადა".

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტი წარსულში გადაიჭრა და ის დრო გაიხსენა, პირველად რომ მოისურვა გაუჩოს გადაბირება: „2006 წელს მიზნად ორი ფეხბურთელის გადაბირება დავისახეთ: საუბარი რონალდინიოსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩზეა. მაშინ გაუჩო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი იყო და „ბარსელონამ" ჩვენი ყველა წინადადება კატეგორიულად უარყო. სამაგიეროდ იბრაჰიმოვიჩის გაფორმებასთან ვიყავით ახლოს, ფეხბურთელმა თანხმობაც კი გამოგვიცხადა, მაგრამ საბოლოო შეთანხმებამდე მაინც ვერ მივედით. მაშინ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა გარანტირებული არ გვქონდა და შვედმაც უპირატესობა „ინტერს" მიანიჭა. ასე დავრჩით სერიოზული შენაძენის გარეშე".

გალიანიმ სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა: „ამ სეზონში გუნდი კიდევ უფრო შეთამაშდება და ვფიქრობ, მომავალ წელს არნახულად ძლიერ „მილანს" ვიხილავთ. „როსონერი" უმაღლესი კლასის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ერთადერთი პრობლემა, რაც დღეს გვიდგას, სწორედ შეუთამაშებლობაა. სხვათა შორის, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ რონალდინიო, პატო და კაკა ერთ გუნდში ასპარეზობენ. მუნდიალისთვის უკვე თვალდახუჭული გაუგებენ ერთმანეთს და მეტოქეთათვის კიდევ უფრო სახიფათონი იქნებიან. ამასთან არ გვავიწყდება, რომ გუნდში ფილიპო ინძაგი და მარკო ბორიელო გვყავს. ასე რომ, ანჩელოტის მწვერვალების დასაპყრობად ყველა პირობა აქვს შექმნილი".



გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ინგლისი. პრემიერლიგა. VII ტურის წინ

# ტოტენჰემი, მრისხანე ჰალ სიტის მორიგი სამიზნე

## ინსი VS სერ ალექსი: ვინ აჯობებს, მოსწავლე თუ მასწავლებელი?

| დღეს | |
|---|---|
| სანდერლენდი-არსენალი | 18:00 |
| ვესტ ბრომვიჩი-ფულჰემი | 18:00 |
| ვიგანი-მიდლსბრო | 18:00 |
| ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ | 20:30 |
| **ხვალ** | |
| ვესტ ჰემი-ბოლტონი | 16:30 |
| ჩელსი-ასტონ ვილა | 18:00 |
| მანჩესტერ სიტი-ლივერპული | 18:00 |
| პორტსმუთი-სტოკ სიტი | 18:00 |
| ტოტენჰემი-ჰალ სიტი | 18:00 |
| ევერტონი-ნიუკასლი | 19:00 |

პრემიერლიგის მრისხანე დებიუტანტი "ჰალ სიტი" "ტოტენჰემის" სტუმარია. ერთი კვირის წინ **ფილ ბრაუნის** შეგირდებმა "არსენალი" დაამარცხეს. "ტოტენჰემი" გაცილებით იოლი მეტოქეა. "მამლებს" ექვსი ტურის შემდეგ ორი ქულა აქვთ და ბოლო ადგილზე იმყოფებიან. გუნდს ასეთი სავალალო სტარტი 53 წელია, არ ჰქონია.

გუშინ ინგლისურმა ტაბლოიდებმა გაავრცელეს ცნობა იმის თაობაზე, რომ "ტოტენჰემი" **ხუანდე რამოსის** დათხოვნას აპირებს. ესპანელის ადგილზე, **მარკ ჰიუზს** ეპატიჟებიანო, ეწერა გაზეთებში. მოგვიანებით "მამლებმა" სპეკულაციები კატეგორიულად უარყვეს და რამოსს სრული ნდობა გამოუცხადეს.

სენიორ რამოსის პოზიციები საგრძნობლადაა შერყეული. თებერვალში ლიგის თასის მოგების შემდეგ, მისმა გუნდმა 18-დან მხოლოდ სამი თამაში მოიგო. თუ "ტოტენჰემი" "ჰალთან" სასურველ შედეგს მიაღწევს, მწვრთნელს ორი კვირა ექნება დაშვებულ შეცდომებზე სამუშაოდ. მოგეხსენებათ, სანაკრებო მატჩების გამო, ეროვნულ ჩემპიონატებში ორკვირიანი დასვენება ცხადდება. 19 ოქტომბერს "მამლები" "სტოკ სიტის" ესტუმრებიან.

მიმომხილველთა ერთი ნაწილი "ტოტენჰემის" პრობლემებს დაუბალანსებელ საკადრო პოლიტიკას აბრალებს. ზაფხულის ტრანსფერებისას გუნდმა სამი ლიდერი - **დიმიტარ ბერბატოვი, რობი კინი** და **ჯერმეინ დეფო** გაყიდა. სანაცვლოდ კი მხოლოდ **რომან პავლიუჩენკო** და **ლუკა მოდრიჩი** შეიძინა. ერთი წლის წინ მარტინ იოლი იმიტომ გაათავისუფლეს, რომ გუნდმა ჩემპიონატი სუსტად დაიწყო. თუმცა შარშანდელი სტარტი წლევანდელთან რა მოსატანია.

გასულ უქმეებზე, "პორტსმუთთან" ნამატჩევს (0:2) "ტოტენჰემის" მეორე მწვრთნელმა **გუს პოიეტმა** ასეთი აღმოჩენა გააკეთა: პავლიუჩენკოსა და **დარენ ბენტის** სათამაშო მანერა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ვეჭვობთ, მათ ერთად თამაში მოახერხონო.

აქვე გეტყვით, რომ "ჰალ სიტის" ცხრილში მეექვსე ადგილი უჭირავს და მეტოქის მოედანზე ჯერ არ წაუგია. "არსენალის" გარდა მან "ნიუკასლსაც" მოუგო და "ბლექბერნს" ფრე ეთამაშა.

წინა ტურის ანტიგმირი "არსენალი" სანდერლენდში ჩავა. ანტიგმირი პირობითად ვთქვით, რადგან "მეთოფეებმა" გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაცია შუა კვირაშივე მოახერხეს. „ჰალ სიტისთან" სენსაციური წაგების შემდეგ ლონდონელებმა "პორტუ" გააცამტვერეს (4:0). "არსენალს" ახალი საკადრო პრობლემები არ აქვს. **ალექს სონგი** გამოჯანმრთელდა და განაცხადში შეიყვანეს. კვლავ ლაზარეთში იმყოფებიან **ტომაშ როსიცკი, ამაური ბიშოფი** და **ედუარდო**. მცირეოდენი სტატისტიკა: "არსენალმა" სტუმრად უკვე ორი შეხვედრა მოიგო. მას "სანდერლენდი", პრემიერლიგასა და ინგლისის სათასო ტურნირებში, ზედიზედ ექვსჯერ ჰყავს დამარცხებული.

"მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგაში იოლი გამარჯვება მოიპოვა ("ოლბორგთან" სტუმრად 3:0), მაგრამ მას ეს სამი ქულა ძვირად დაუჯდა. **პოლ სქოულზმა** მძიმე ტრავმა მიიღო და შვიდი კვირა ვერ ითამაშებს. დაშავდა **უეინ რუნიც**, მაგრამ მისი მდგომარეობა სტაბილურია და წესით, "ბლექბერნთანაც" უნდა ითამაშოს.

"ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელი ის **პოლ ინსია**, რომელიც 1989-1995 წლებში **სერ ალექს ფერგიუსონის** თანაშემწე იყო. ფერგის შეუძლია, იამაყოს. პრემიერლიგაში მისი ოთხი შეგირდი მუშაობს. ინსის გარდა, ესენი არიან **მარკ ჰიუზი** („მანჩესტერ სიტი"), **როი კინი** („სანდერლენდი") და **სტივ ბრუსი** („ვიგანი"). ინსი ყოფილ მასწავლებელს პირველად შეხვდება.

"ბლექბერნმა" და "მანჩესტერმა" ბოლო სამ-სამი მატჩი მოიგეს. ამ თამაშს ინტრიგას მატებს ბოლო წლების სტატისტიკა. "იუნაიტედმა" "ივუდ პარკზე" ბოლო რვა ვიზიტისას მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა - 2006 წლის ნოემბერში **ლუის საას** ერთადერთი გოლით.

პრემიერლიგის ლიდერი "ჩელსი" მესამეადგილოსან "ასტონ ვილას" მიიღებს. ლონდონელებს **დიდიე დროგბა** ვერ დაეხმარება. კოტდივუარელი თავდამსხმელი "კლუჟთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩისას (0:0) დაშავდა. ის ორიოდ კვირას დაისვენებს. დროგბამ მუხლი იტკინა, მაგრამ მუხლის მყესების ტრავმას გადაურჩა. მას რომ მყესები გაეწყვიტა, რამდენიმე თვე ვერ დაუბრუნდებოდა მინდორს.

"არისტოკრატებს" სხვა საკადრო პრობლემები არ აქვთ. ბირმინგემელთა ბანაკიდან ინფორმაცია არ გამოსულა. "ჩელსი" პრემიერლიგაში 27-მატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებს თავს. ადრინდელი, 18-თვიანი წაუგებელი სერია გასულ სეზონში, "ასტონ ვილასთან" გასვლითი მატჩისას შეწყდა. ბირმინგემელებმა 2:0 მოიგეს. ზემოხსენებელი მიღწევის გარდა, "ჩელსის" 85-მატჩიანი საშინაო წაუგებელი სერიაც აქვს, რაც პრემიერლიგის ისტორიაში სარეკორდო შედეგია.

მეორეადგილოსანი "ლივერპული" "მანჩესტერ სიტის" ეწვევა. მასპინძელთა შემადგენლობაში საეჭვოა **რიჩარდ დანის** ასპარეზობა. ტრავმის გამო მას კვიპროსულ "ომონიასთან" უეფას თასის მატჩი გაუცდა. გამოჯანმრთელდა ნახევარმცველი **მარტინ პეტროვი** და ის სასწრაფოდ განაცხადში შეიყვანეს.

ეს იქნება მატჩი ორ გუნდს შორის, რომელსაც პრემიერლიგაში ყველაზე მრისხანე თავდასხმა ("მანჩესტერ სიტი", 16 გატანილი გოლი) და ყველაზე საიმედო დაცვა ("ლივერპული", 2 გაშვებული გოლი) ჰყავს. "მანჩესტერ სიტის" ცხრა საათია, "ლივერპულის" კარი არ დაულაშქრავს. ბოლო გოლი, რომელიც "სიტიმ" მერსისაიდელებს გაუტანა, 2005 წლის აპრილით (1:0, **კიკი მუსამპა**) თარიღდება. 1995 წლის შემდეგ, "სიტიმ" "ლივერპულთან" რვა საშინაო მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 2005 წელს მოიგო.

დაბოლოს, კრიზისში ჩაძირული "ნიუკასლი" „ევერტონს" ეწვევა. **დენი გუტერიმ** დისკვალიფიკაცია მოიხადა. გამოჯანმრთელდნენ **ხოსე ენრიკე** და **ჰაბიბ ბეიე**. შესაძლოა, **ხონას გუტიერესმაც** ითამაშოს, რომელსაც ლავიწის ძვალის მოტეხილობის გამო რამდენიმე მატჩი გაუცდა. დროებით მწვრთნელ **ჯო კინეარს** წამყვანი თავდამსხმელები, **მარკ ვიდუკა** და **ალან სმიტი** ვერ დაეხმარებიან.

**შალვა ბიბილაშვილი**



დანიელ კუზენის გამარჯვების გოლი არსენალის კარში. ჰალ სიტის ძალა მეთოფეებმა უკვე გამოცადეს, ახლა მამლების ჯერია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-3 | 14 |
| 2. ლივერპული | 6 | 4 | 2 | 0 | 7-2 | 14 |
| 3. ასტონ ვილა | 6 | 4 | 1 | 1 | 12-8 | 13 |
| 4. არსენალი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-4 | 12 |
| 5. ვესტ ჰემი | 6 | 4 | 0 | 2 | 13-10 | 12 |
| 6. ჰალ სიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-11 | 11 |
| 7. ბლექბერნი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-12 | 10 |
| 8. მანჩესტერ სიტი | 6 | 3 | 0 | 3 | 16-9 | 9 |
| 9. პორტსმუთი | 6 | 3 | 0 | 3 | 7-12 | 9 |
| 10. მანჩესტერ იუნ. | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 11. ვიგანი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-5 | 8 |
| 12. ვესტ ბრომვიჩი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-7 | 7 |
| 13. სანდერლენდი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| 14. ევერტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-13 | 7 |
| 15. ფულჰემი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 6 |
| 16. მიდლსბრო | 6 | 2 | 0 | 4 | 6-9 | 6 |
| 17. ბოლტონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-9 | 4 |
| 18. სტოკი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-12 | 4 |
| 19. ნიუკასლი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-11 | 4 |
| 20. ტოტენჰემი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-9 | 2 |

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. VI ტურის წინ

# არანაირი ეგოიზმი, მხოლოდ გუნდური სულისკვეთება

## მესიმ და აგუერომ აჟიოტაჟი ჩააცხრეს

| დღეს | |
|---|---|
| ვილიარეალი-ბეტისი | 22:00 |
| ბარსელონა-ატლეტიკო | 00:00 |
| **ხვალ** | |
| რეკრეატივო-მალაგა | 19:00 |
| ხეტაფე-ალმერია | 19:00 |
| სევილია-ბილბაო | 19:00 |
| მალიორკა-სპორტინგი | 19:00 |
| ოსასუნა-რასინგი | 19:00 |
| დეპორტივო-ნუმანსია | 19:00 |
| ვალიადოლიდი-ვალენსია | 21:00 |
| რეალი-ესპანიოლი | 23:00 |

მეექვსე ტურის ცენტრალური შეხვედრა, რა თქმა უნდა, „კამპ ნოუზე" გაიმართება. „ბარსელონისა" და „ატლეტიკოს" დაპირისპირება ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამჯერადაც ასეა. ამ კლუბების არგენტინელი ვარსკვლავები ინტრიგას ერთიორად ზრდიან. საზოგადოება **ლეო მესისა** და **სერხიო აგუეროს** დუელის მოლოდინშია. რატომღაც მიმომხილველთა დიდი ნაწილი აქცენტს სწორედ ამ მოთამაშეებზე აკეთებს და აჟიოტაჟის შექმნის მიზნით პირდაპირ აცხადებენ, რომ „ბარსა"-„ატლეტიკოს" დაპირისპირებას მხოლოდ ორი გმირი ეყოლება. სიმართლე ითქვას, ეს ოდნავ არასერიოზულ შეფასებად მიგვაჩნია. როგორ შეიძლება, ასეთი დაპირისპირება მხოლოდ და მხოლოდ ორ კაცზე იყოს დამოკიდებული. გასაგებია, რომ აგუერო და მესი უნიჭიერესი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ვარსკვლავები არც ერთ გუნდს არ აკლია. მიმომხილველთა ერთი ნაწილის სუბიექტური შეფასება მესისთვისაც გაუგებარია. აი, რა განაცხადა ლეომ საგანგებო პრესკონფერენციაზე: *„ჩემთვის ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რატომ ქმნიან ამხელა აჟიოტაჟს. იმიტომ ხომ არა, რომ მე და სერხიო არგენტინელები ვართ და შაბათს ერთმანეთის პირისპირ წარვდგებით? შესაძლოა, ეს საინტერესოდ ჟღერდეს, მაგრამ საფეხბურთო თვალსაზრისით ასეთი მსჯელობა დილეტანტიზმია და სხვა არაფერი. „ბარსელონა" არ არის ის გუნდი, მხოლოდ ჩემზე იყოს დამოკიდებული. იმავეს ვიტყოდი „ატლეტიკოზეც". შესაძლოა, მე და სერხიომ ძალიან კარგად ვითამაშოთ და ამა თუ იმ გუნდის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შევასრულოთ, თუმცა მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ აგუერო და მესი მთავარი მოქმედი პირები არიან. შეხვედრას გუნდი იგებს, ცალკეული ფეხბურთელები კი მას დიდ თუ მცირე დახმარებას უწევენ."*

აგუეროსთვის კი ასეთი შედარება სულ სხვა მიზეზის გამოა მიუღებელი სერხიო მესის მეგობრად მიიჩნევს და არ უნდა, რომ მათ დაუნდობელ დუელზე ბევრი წერონ. ატლეტიკოელის თქმით, საუკეთესო გუნდი მოედანზე გამოჩნდება. ლეოსი არ იყოს, ისიც გუნდურ სულისკვეთებაზე ამახვილებს ყურადღებას.

**ხოსეპ გვარდიოლას** მიმომხილველების მიერ ატეხილი აჟიოტაჟისთვის, რა თქმა უნდა, არ ცხელა, მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, მისმა გადაწყვეტილებამ სწორედ აჟიოტაჟის გაზრდას შეუწყო ხელი. საქმე ის არის, რომ კატალონიური გრანდის მთავარმა მწვრთნელმა ბოლოდროინდელი ტრადიცია დაარღვია და სავარაუდო შემადგენლობა არ გაამხილა. წინა ტურებში ის ერთი დღით ადრე ამბობდა ძირითად შემადგენლობაში ვის დააყენებდა. როგორც ჩანს, ახალგაზრდა სპეციალისტი „ატლეტიკოსთან" დაპირისპირებას მისთვის უპრეცედენტო პასუხისმგებლობით ეკიდება და არ სურს მოწინააღმდეგეს შემადგენლობის ნაადრევად გამოქვეყნებით თუნდაც უმცირესი უპირატესობა მიანიჭოს. გარდა ამისა, გვარდიოლამ ბოლო ორ ვარჯიშზე ჟურნალისტებს ბაზაზე ცხვირი არ შეაყოფინა. ამის გამო მასმედიის წარმომადგენლებმა ინფორმაციის მოპოვება ვერ შეძლეს. მოგეხსენებათ, ოთხშაბათს „ბარსამ" დონეცკში ჩემპიონთა ლიგის მატჩი ითამაშა და „ატლეტიკოსთან" შეხვედრის მომზადებას მეორე დღიდანვე შეუდგა. სენიორ პეპმა კი ხუთშაბათსა და პარასკევს კორესპონდენტებს კარი მოუხურა. ამიტომ, მათთვის რაიმე ხელჩასაჭიდი ინფორმაციის მოპოვება, მართლაც შეუძლებელი გახდა.

კატალონიური გრანდის მსგავსად „ატლეტიკოს" ბანაკშიც დიდი მზადებაა. **ხავიერ აგირეს** დიდი იმედი ჰქონდა, რომ მნიშვნელოვანი მატჩის წინ **მანიშე** დაუბრუნდებოდა, მაგრამ პორტუგალიელი ნახევარმცველი ტრავმისგან ვერ განიკურნა და თამაშგარეში აღმოჩნდა. მოგეხსენებათ, აგირეს ასევე ტრავმის გამო **სიმაო** ვერ ეხმარება. ამიტომ მექსიკელი სპეციალისტი იძულებული გახდა, განაცხადში სათადარიგო გუნდის ფეხბურთელები, **დომინგესი, კეკო** და **ჯოშუა** შეეყვანა. მათი სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება: **კუპე, ლეო ფრანკო, ანტონიო ლოპესი, პერნია, ჰეიტინგა, უიფალუში, პერეა, დომინგესი, რაულ გარსია, ლუის გარსია, მაქსი როდრიგესი, ასუნსაო, ბანეგა, დე ლას კუევასი, კეკო, ჯოშუა, აგუერო, სინამა.**

წესით, „სანტიაგო ბერნაბეუზეც" საინტერესო შეხვედრა უნდა გაიმართოს. „რეალი" „ესპანიოლთან" მატჩში ფავორიტად მიიჩნევა, მაგრამ სპეციალისტები კატალონიურ სიურპრიზს არ გამორიცხავენ. გუშინ **ბერნდ შუსტერს** სამედიცინო შტაბიდან სასიხარულო ინფორმაცია შეატყობინეს. გერმანელ მწვრთნელს ექიმებმა უთხრეს, რომ **გუტი, გაგო** და **სნეიდერი** გამოჯანმრთელდნენ. სამივე ფეხბურთელმა ვარჯიში განაახლა, თუმცა შუსტერი აჩქარებას არ აპირებს და ახლახან გამოჯანმრთელებულ ტრიოს „ესპანიოლთან" არ ათამაშებს. ისინი უფრო მომდევნო ტურისთვის იქნებიან გათვალისწინებული. მოგეხსენებათ, მომავალ კვირაში სანაკრებო მატჩები გაიმართება. ამიტომ, პრიმერა დივიზიონში მცირე პაუზა გამოცხადდება. ესპანეთის პირველობა 19 ოქტომბერს განახლდება. შუსტერი დარწმუნებულია, რომ იმ დროისთვის გუტი, გაგო და სნეიდერი 100 პროცენტით იქნებიან მზად.

ტრავმებისგან „ესპანიოლიც" ნელ-ნელა იკურნება. ყოველ შემთხვევაში, ლაზარეთში ტრავმირებულ ფეხბურთელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შეთხელდა. კატალონიელებს **ბარანგერი** დაუბრუნდა. მან ბოლო ვარჯიშები სრული დატვირთვით ჩაატარა და მინიმალური პრობლემაც არ შექმნია. გამორიცხული არ არის, კვირას მოედანზე გასვლა **რუფეტემ, ვალდომ, დავიდ გარსიამ** და **ტორეხონმაც** შეძლონ. თუ ესპანურ საინფორმაციო სააგენტოებს დავუჯერებთ, ეს ფეხბურთელები კარგად გრძნობენ თავს.

ამ ტურის შემდეგ „ვილიარეალი" შესაძლოა, პრიმერა დივიზიონის ლიდერი გახდეს. „ბეტისი" კი მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვების მოპოვებას შეეცდება. ფავორიტი, რა თქმა უნდა, **მანუელ პელეგრინის** გუნდია, თუმცა „ყვითლებს" ანდალუსიელებთან მატჩის წინ საკადრო პრობლემა შეექმნათ. საქმე ის არის, რომ წინა ტურის დაპირისპირებაში **ნიჰათმა** ტრავმა მიიღო და ექიმების გარემოცვაში ამოყო თავი. სამედიცინო შტაბის თანამშრომლები იმედოვნებდნენ, რომ რამდენიმედღიანი დასვენება თურქ ფორვარდს რეაბილიტაციისთვის თავისუფლად ეყოფოდა და ბოლო ვარჯიშებს სრული დატვირთვით ჩაატარებდა, თუმცა ვარაუდი ფუჭი აღმოჩნდა. გუშინ გაირკვა, რომ ნიჰათს ვარჯიშის გასაახლებლად მინიმუმ ხუთი კვირა დასჭირდება. გამორიცხული არ არის, სარეაბილიტაციო დრომ ორ თვესაც გასტანოს. ექიმებმა საგულდაგულო კომპიუტერული გამოკვლევისას დაადგინეს, რომ ფორვარდს მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები დაეჭიმა და სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს. ამ სიტუაციაში გარისკვა დამღუპველი იქნება. შეიძლება, მყესი გაწყდეს და ნიჰათი მინიმუმ ნახევარწლიან იძულებით შვებულებაში გავიდეს.

დასასრულს, ორიოდ სიტყვით „ვალენსიიდან" მიღებულ ახალ ამბავსაც გაგაცნობთ. მოგეხსენებათ, „ღამურები" პრიმერა დივიზიონის ლიდერები არიან და პირველი ადგილის შესანარჩუნებლად სრული სერიოზულობით ემზადებიან. სამწუხაროდ, **უნაი ემერის** უეფას თასზე „მარიტიმუს" წინააღმდეგ გამართულმა მატჩმა დიდი პრობლემა შეუქმნა. **რაულ ალბიოლმა** ტრავმა მიიღო. მართალია, სერიოზული არაფერია, თუმცა ექიმები მწვრთნელს ურჩევენ, რომ ფეხბურთელი ვალიადოლიდში არ წაიყვანოს. ემერი აცხადებს, რომ ექიმებს აუცილებლად დაუჯერებს, თუმცა ახალგაზრდა სპეციალისტი სინანულით აღნიშნავს, ალბიოლი ძალიან დააკლდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 5 | 4 | 1 | 0 | 12-4 | 13 |
| 2. ვილიარეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 7-2 | 13 |
| 3. რეალი | 5 | 4 | 0 | 1 | 16-7 | 12 |
| 4. სევილია | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 11 |
| 5. ბარსელონა | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| 6. ალმერია | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 7. ატლეტიკო | 5 | 3 | 0 | 2 | 11-4 | 9 |
| 8. ხეტაფე | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 9. მალიორკა | 5 | 2 | 2 | 1 | 5-5 | 8 |
| 10. ესპანიოლი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 11. ვალიადოლიდი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 6 |
| 12. ბილბაო | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 13. დეპორტივო | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 14. ოსასუნა | 5 | 0 | 4 | 1 | 2-3 | 4 |
| 15. ნუმანსია | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 16. რეკრეატივო | 5 | 1 | 1 | 3 | 2-7 | 4 |
| 17. მალაგა | 5 | 1 | 1 | 3 | 2-8 | 4 |
| 18. ბეტისი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-6 | 2 |
| 19. რასინგი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-8 | 2 |
| 20. სპორტინგი | 5 | 0 | 0 | 5 | 6-20 | 0 |



ჯო კინეარი

ნიუკასლი

# კინეარი ჟურნალისტების წინააღმდეგ

## მაიკ ეშლი რვა ფინანსურ ჯგუფს ელაპარაკება, რათა ნიუკასლი სარფიანად გაყიდოს

"ნიუკასლის" დროებითი მწვრთნელი **ჯო კინეარი** ჟურნალისტებს შეხვდა. ეს ერთ-ერთი უჩვეულო პრესკონფერენცია იყო, რომელიც ბოლო წლებში ინგლისში ჩატარებულა. ასეთი აგრესიული კინეარი დიდი ხანია, არ უნახავთ. "გარდიანის" მიმომხილველის მტკიცებით, მწვრთნელმა ზუსტად 52-ჯერ ახსენა ოთხასოიანი უწმაწური სიტყვა. მისი ლანძღვის ადრესატებს შორის პრესკონფერენციაზე მყოფი რამდენიმე ჟურნალისტიც მოხვდა.

61 წლის სპეციალისტი ოთხი წელი უსაქმოდ იყო. "ნოტინგემ ფორესტიდან" წასვლის შემდეგ, ბევრს ეგონა, რომ მან მწვრთნელობას თავი დაანება. ამიტომაც იყო, რომ კინეარის "სენტ ჯეიმსზე" გამოჩენამ ბევრი გააოცა. არა ერთმა მიმომხილველმა მისი კვალიფიკაცია ეჭვქვეშ დააყენა. დამრიგებლის აღშფოთების მიზეზიც ეს იყო.

კინეარის თქმით, ზოგიერთმა ჟურნალისტმა ის მასხრად აიგდო. ზოგ გაზეთში დაიწერა, რომ დროებით მწვრთნელს ორიოდე მატჩის შემდეგ გააძევებდნენ. ვილაც-ვილაცებმა კი იქამდე გადაწყვიტეს კინეარის საფლავში ჩადება, სანამ ის "ნიუკასლში" მუშაობას დაიწყებდა. ამიტომ კინეარმა გადაწყვიტა, რომ სანამ ჯორდების დამრიგებელი ჰქვია, რამდენიმე ჟურნალისტს მის პრესკონფერენციებზე დასწრება აუკრძალოს.

კინეარი: *"ეჭვი არავის შეეპაროს, რომ საკუთარ ღირსებას ყველგან დავიცავ. ვერავინ შემაშინებს. რა სათაურიც უნდა დაბეჭდოთ, როგორი ლვარძლიანი სტატიაც არ უნდა მომიძღვნათ, მე ვერ დამთრგუნავთ. აქ თქვენთან საკამათოდ არ მოვსულვარ. მოვედი, რომ ვიმუშაო, ამიტომ თავი დამანებეთ და მომეცით მუშაობის საშუალება."*

როდესაც დამშვიდდა, კინეარმა გაამხილა, რომ დღევანდელ სამუშაოზე დიდხანს დარჩენას არ აპირებს: *"ჩემი ხელშეკრულება ოქტომბრის ბოლოს იწურება. მალე მაიკ ეშლი ყველაფერს შეგატყობინებთ... ზედმეტი ლაპარაკი არ მინდა. წინ რვა დაძაბული მატჩი მელოდება, თუმცა არაა გამორიცხული, ჩემი ნიუკასლური მივლინება კიდევ სამი ან ოთხი მატჩით გაგრძელდეს."*

რამდენიმე დღის წინათ „ნიუკასლის" ბოსი **მაიკ ეშლი** პოტენციურ ინვესტორებს შეხვდა. როგორც ირკვევა, მისტერ ეშლი პარალელურად რვა ფინანსურ ჯგუფთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ის ცდილობს, "ნიუკასლი", რაც შეიძლება, სარფიანად გაყიდოს. დადიოდა ხმები, თითქოს "ნიუკასლს" ნიგერიელი ნავთობმაგნატები ყიდულობდნენ, მაგრამ შეთანხმება არ შედგა. ეშლიმ კლუბში 400 მილიონი გირვანქა მოითხოვა. შემდეგ მიხვდა, რომ აღნიშნული თანხა არაადეკვატური იყო და ფასი 280-300 მილიონამდე შეამცირა. რაკი მომდევნო დღეებში "ნიუკასლის" ოფისთან მყიდველთა რიგი დადგა, პროდუქტის ფასი ისევ გაიზარდა. ახლა "ნიუკასლი" დაახლოებით 350 მილიონი გირვანქა ღირს.

მოსალოდნელი გარიგება

# ევერტონი შეიძლება გაიყიდოს

ბრიტანელ სპორტულ ჟურნალისტებს ინდოელი მილიარდერის **ანილ ამბანის** სახელი პირზე აკერიათ. პირველად მისი გვარი ივლისის შუა რიცხვებში გახმოვანდა – მაშინ, როცა პრესა **მაიკ ეშლის** მიერ "ნიუკასლის" შესაძლო გაყიდვაზე ალაპარაკდა. ინვესტორთა შორის ეს ადამიანიც დასახელდა. თავდაპირველად, მისი კომპანიის პრესსამსახურმა აღნიშნული ინფორმაცია უარყო, მაგრამ... მალე თავად გაავრცელა განცხადება, რომ ამბანის წარმომადგენლები ნისლიან ალბიონს კონკრეტული წინადადებით ესტუმრებოდნენ. აზიელი მულტიმილიარდერის პირველმა მცდელობამ, დაუფლებოდა ბრიტანულ საფეხბურთო კლუბს, წარუმატებლად ჩაიარა. ინდოელი არ შედრკა და როგორც გუშინდელი "დეილი მირორი" გვამცნობს, მოლაპარაკება "ევერტონის" მფლობელ **ბილ კენტრაიტთან** წამოიწყო.

მოგეხსენებათ, "ლივერპულის" მესაკუთრეებს, **ჯორჯ ჯილეტსა** და **ტომ ჰიკსს** შორის სულ ცოტა ხნის წინ კლუბის მომავალთან დაკავშირებით გაუგებრობა წარმოიშვა. ლაპარაკობენ, რომ ამბანი, პირველ რიგში, სწორედ "ლივერპულის" შეძენას შეეცდებაო, მაგრამ იქამდე, ვიდრე ამერიკელი ბიზნესმენები ერთმანეთში ურთიერთობას მოაგვარებენ, შეიძლება დიდი დრო გავიდეს. ხოლო ალბათობა იმისა, რომ ინდოელმა "გუდისონ პარკის" ბინადარი კლუბი შეიძინოს, უფრო მეტია. მით უფრო, რომ ზემოხსენებულმა "დეილი მირორმა" რამდენიმე დღის წინათ სწორედ კარტრაიტის პრესკონფერენცია გააშუქა, სადაც მან თქვა: *"საფეხბურთო ბიზნესში დარჩენა მომავალი წლისთვის უკვე აღარ მინდა. ჩვენ გასულ სეზონშიც ძალზე დიდი ფინანსური პრობლემა გვქონდა. აღარ მინდა, მუდამ თავს ვიმართლებდე გულშემატკივრების წინაშე... უკვე აღარ ვიცი, საიდან მოვიტანო დამატებითი სახსრები. სასოწარკვეთილი ვარ. კლუბის გაყიდვა საბოლოოდ გადავწყვიტე."*

ანილ ამბანის აქვს საამისო რესურსი, რომ სწორედ ეს "დამატებითი სახსრები" ჩადოს კლუბში. მისი ქონება გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებამდე 42 მილიარდი დოლარი იყო. სავარაუდოდ ეს რიცხვი გარკვეულწილად შემცირდებოდა, მაგრამ იმდენად ნამდვილად არა, რომ "ევერტონის" კეთილდღეობას არ ეყოს. ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესმენია არათუ ინდოეთში, არამედ მთელ მსოფლიოში (გასულ წელს ის ინდოეთის წლის ბიზნესმენად დასახელდა) და გაუთვლელ ბიზნესრისკზე, რა თქმა უნდა, არ წავა.

მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, შარშან კლუბმა ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა და "დიდ ოთხეულს" სერიოზული კონკურენცია გაუწია. თვალში საცემია, რომ "ევერტონის" უკეთესი ფეხბურთელებით დაკომპლექტების გარეშე ისეთი ძლიერი ტაქტიკოსიც კი, როგორიც **დევიდ მოიესია**, მეტს უბრალოდ ველარ გასწვდება. წლეულს, მერსისაიდელები ბევრად უფრო სუსტად გამოიყურებიან. პრემიერლიგაში მათ უკვე 3 შეხვედრა წააგეს. გუშინწინ კი უეფას თასიდანაც გამოვარდნენ.

"ევერტონის" თავკაცმა ბელგიურ "სტანდარდთან" ორი მატჩის ჯამში დამარცხების შემდეგ (მოიესის გუნდი პირველი ინგლისური კლუბია, რომელიც წელს ევროთასებს გამოეთიშა) შექმნილ მდგომარეობაზე მცირე კომენტარი გააკეთა: *"ჩვენ უმკაცრესი გამოცდის ჩაბარება გვევალებოდა... მაგრამ ჩავიჭერით. იცით, ყველა მწვრთნელს აქვს კარიერის მძიმე პერიოდი და როგორც ჩანს, ჩემი დროც დადგა. მესმის, რომ ყველა შეხვედრაში გამარჯვება არავის ძალუძს, მესმის ისიც, რომ გამარჯვებას ბრძოლა და დამსახურება უნდა. ეტყობა, ჩვენ, მე და მთლიანად გუნდმა, საქმეს რაღაც დავაკელით. სწორედ ახლა ვდგავართ გზაგასაყარზე და ერთი შეცდომაც დამღუპველი იქნება. ჩვენ სრული სიმშვიდე გვჭირდება. ეს პრობლემები ჩვენივე გადასაჭრელია, ამიტომ პირადად მე "გუდისონ პარკზე" დარჩენასა და ბრძოლას ვაპირებ."*



ედვინ ვან დერ სარი ნაკრებს მხოლოდ ორი მატჩით დაუბრუნდა

მუნდიალი 2010. შესარჩევი მატჩების წინ

**ჰოლანდია**

## ვან დერ სარი დაბრუნდა, ოღონდ დროებით

### ვან მარვიიკმა გამოჯანმრთელებულ სნეიდერსაც უხმო

**ედვინ ვან დერ სარი** ჰოლანდიის ნაკრებს უბრუნდება. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ვეტერანი მეკარე ეროვნულ გუნდს დაემშვიდობა. ტრავმების ეპიდემიის გამო **ბერტ ვან მარვიიკი** გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ვან დერ სარს დაურეკა. ედვინი მწვრთნელის თხოვნას უყოყმანოდ დათანხმდა. აიაქსელი **მაარტენ სტეკელენბურგი** და ფეიენოორდელი **ჰენკ ტიმერი** დაშავებულები არიან. მათ ოთხიდან ექვსი კვირა გაუცდებათ. ვან დერ სარი გუნდს მხოლოდ ოქტომბრის მატჩებში დაეხმარება. ის ზაფხულში მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. ედვინს ნაკრებში 128 მატჩი აქვს ჩატარებული.

ორთვიანი პაუზის შემდეგ ჰოლანდიელთა შემადგენლობაში **ვესლი სნეიდერიც** ითამაშებს. ის "რეალისა" და "არსენალის" წინასასეზონო მატჩისას დაშავდა. ფეხბურთელმა მუხლის ტრავმა მოიშუშა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ვან მარვიიკმა სნეიდერის გამოძახების ნებართვა პირადად **ბერნდ შუსტერისაგან** აიღო.

11 ოქტომბერს ჰოლანდიელები ისლანდიას შეხვდებიან. ოთხი დღის შემდეგ - ნორვეგიას. ბერტ ვან მარვიიკის 22-კაციანი შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები** - ედვინ ვან დერ სარი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჰენკ ტიმერი (ფეიენოორდი), მიხელ ვორმი (უტრეხტი);

**მცველები** - ტიმ დე კლერი (ფეიენოორდი), ჯონ ჰეიტინგა (ატლეტიკო), იორის მატიისენი (ჰამბურგი), ანდრე ოოიერი (ბლექბერნი), დირკ მარსელისი (ეინდჰოვენი);

**ნახევარმცველები** - იბრაჰიმ აფელეი (ეინდჰოვენი), მარკ ვან ბომელი (ბაიერნი), ჯოვანი ვან ბრომკჰორსტი (ფეიენოორდი), ორლანდო ენგელაარი (შალკე), ნაიჯელ დე იონგი (ჰამბურგი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (რეალი), დემი დე ზეეუვი (ალკმაარი), ვესლი სნეიდერი (რეალი);

**თავდამსხმელები** - კლაას იან ჰუნტელაარი (აიაქსი), დირკ კუიტი (ლივერპული), რობინ ვან პერსი (არსენალი), არიენ რობენი (რეალი), იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი), რაიან ბაბელი (ლივერპული).

**შოტლანდია**

## 30 წლის დებიუტანტი

შოტლანდიელთა თავკაცმა **ჯორჯ ბარლიმ** ნორვეგიასთან მატჩისათვის 25-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. სიაშია 30 წლის დებიუტანტი - "ვულვერჰემპტონის" თავდამსხმელი **კრის ივველუმო**, რომელმაც ინგლისის მეორე დივიზიონის ბოლო ოთხ ტურში ექვსი გოლი გაიტანა:

**მეკარეები** - კრეიგ გორდონი (სანდერლენდი), ალან მაკგრეგორი (რეინჯერსი), დევიდ მარშალი (ნორვიჩი);

**მცველები** - გრემ ალექსანდერი (ბარნლი), დარენ ბარი (ფალკირკი), კრისტოფერ ბერა (ჰართსი), კერკ ბროუდფუტი (რეინჯერსი), გარი კოლდველი (სელტიკი), ჯეიმი მააკლისტერი (ბრისტოლი), გარი ნეისმითი (შეფილდ იუნაიტედი), დევიდ ვეირი (რეინჯერსი);

**ნახევარმცველები** - სკოტ ბრაუნი (სელტიკი), კრის კომონსი (დერბი ქაუნთი), დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ ჰარტლი (სელტიკი), შონ მელონი (სელტიკი), ჯეიმს მორისონი (ვესტ ბრომვიჩი), ბარი რობსონი (სელტიკი), კევინ ტომპსონი (რეინჯერსი);

**თავდამსხმელები** - კრის ბოიდი (რეინჯერსი), დევიდ კლარკსონი (მოზერველი), სტივ ფლეტჩერი (ჰიბერნიანი), კრის ივველუმო (ვულვერჰემპტონი), ჯეიმს მაკფადენი (ბირმინგემი), კენი მილერი (რეინჯერსი).

**შვედეთი**

## შესუსტებული შემადგენლობით

შვედეთს პორტუგალიასთან 11 ოქტომბრის საშინაო მატჩში **ტობიას ლინდეროტი** ვერ დაეხმარება. სამი კვირის წინათ, "გალათასარაის" ნახევარმცველმა ტერფი იტკინა და გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა მინდორს. დაშავებულები არიან შემტევი ნახევარმცველი **ანდერს სვენსონი**, მცველი **ერიკ ედმანი** და მეორე მეკარე **რამი შააბანი**. შვედების თავკაცმა **ლარს ლაგერბაკმა** 21-კაციანი შემადგენლობა დაასახელა:

**მეკარეები** - ანდრეას ისაკსონი (ეინდჰოვენი), იოჰან ვილანდი (ელფსბორგი);

**მცველები** - ანდრეას გრანკვისტი (გრონინგენი), პეტერ ჰანსონი (რენი), დანიელ მაისტროვიჩი (აეკ), ოლოფ მელბერგი (იუვენტუსი), მიკაელ ნილსონი (პანათინაიკოსი), ბეჰრანგ საფარი (ბაზელი), ფრედრიკ სტოორი (ფულჰემი);

**ნახევარმცველები** - დანიელ ანდერსონი (მალმიო), ვილტორ ელმი (კალმარი), სამუელ ჰოლმენი (ბრონდბიუ), კიმ კალსტრიომი (ლიონი), სებასტიან ლარსონი (ბირმინგემი), კირსტიან ვილჰელმსონი (ალ-ჰილალი), ანდრეას იოჰანსონი (ოლბორგი);

**თავდამსხმელები** - მარკუს ბერგი (გრონინგენი), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), ჰენრიკ ლარსონი (ჰელსინგბორგი), მარკუს როზენბერგი (ვერდერი), იოჰან ელმანდერი (ბოლტონი).

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალვარო არბელოა

კონფლიქტი

# პოლონეთი ევროპის ჩემპიონატს კარგავს?

## იტალია ყოველი შემთხვევისთვის მზადაა...

პოლონურ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენების გამო, არ არის გამორიცხული, ამ ქვეყანამ უკრაინასთან ერთად ევრო 2012-ის მასპინძლობის უფლება დაკარგოს. გუშინ ფიფამ და უეფამ მკაცრად მოსთხოვეს პოლონეთის სპორტის სამინისტროს, ორშაბათამდე გააუქმოს ბრძანებულება, რომლის ძალითაც ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა დროებითმა ადმინისტრაციამ შეცვალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლონურ ფეხბურთს დისკვალიფიკაცია ელოდება.

როგორც ჩანს, ეს ამბები ნეგატიურ გავლენას იქონიებს ევროპის ჩემპიონატის ჩატარების პერსპექტივაზე, მით უმეტეს, რომ პოლონეთსაც და უკრაინასაც უეფამ არაერთხელ მიუთითა, დროულად მოაგვარონ საორგანიზაციო თუ სამშენებლო საკითხები. ამ ვითარებაში, უეფას სერიოზული საფუძველი უჩნდება, პოლონეთს ევრო 2012-ის ჩატარებაზე უარი უთხრას.

იტალიელები პოლონურ სკანდალს გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს. სამი წლის წინ ისინი სწორედ პოლონეთ-უკრაინასთან დამარცხდნენ და ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის პერსპექტივას კარგა ხნით დაემშვიდობნენ. თუმცა ახლა უჩნდებათ შანსი, მღვრიე წყალში თევზი დაიჭირონ. თუმცა თავადაც უხვად აქვთ პრობლემები. იტალიის სტადიონებზე თავაშვებულ ტიფოზთა პარპაში ჯერაც არ არის ალაგმული.

**გიორგი ბელაშვილი**

ბაიერნი

# კლინსმანი: ჩვენ ვეძებთ ფორვარდს!

## პოგრებნიაკი ან პანდევი, ან ორივე ერთად

ეს ინფორმაცია ყველაზე მეტად **ლუკას პოდოლსკის** დაამწუხრებს - „ბაიერნი" ისევ თავდამსხმელის ძებნას შეუდგა. მინიმუმ ზამთარში და არა უგვიანეს ზაფხულისა, რეკორდმაისტერის მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლინსმანს** ახალი ფორვარდის ყიდვა სურს. „ბილდის" ინფორმაციით, ბავარიელთა ინტერესის სფეროში ორი თავდამსხმელია: „ლაციოს" მაკედონიელი გოლეადორი **გორან პანდევი** და „ზენიტის" წინახაზელი **პაველ პოგრებნიაკი**.

„ბაიერნი" პანდევით ამ ზაფხულს დაინტერესდა, მაგრამ გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** მაშინ რატომღაც ხელი ჩაიქნია. მას მერე ბავარიელები პანდევს („ლაციოსთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს) რეგულარულად აკვირდებიან. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მაკედონიელის ფასი 20 მილიონი ევროა. გასულ უქმეებზე მან „ტორინოსაც" გაუტანა და ახლა 5 მატჩში 4 გოლი აქვს.

პოდოლსკისთვის კი ეს მორიგი დარტყმაა. ფაქტია, კლინსმანისთვის პოლდის ფასი აღარ აქვს. იურგენმა „ლიონთან" ის შეცვლაზეც კი არ ათამაშა. როგორც ზემოთ ვთქვით, პანდევის გარდა, „ბაიერნის" სამიზნეში პოგრებნიაკიცაა მოქცეული. მხარეებს შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. (რუსული მხარე ამას კატეგორიულად უარყოფს) „ზენიტი" დაახლოებით 13 მილიონ ევროს ითხოვს.

**გოტფრიდ ლენცი**



გორან პანდევი

ესპანეთი

# დელ ბოსკემ მარჩენა და არბელოა დააბრუნა

პრიმერა დივიზიონის მეექვსე ტურის დასრულების შემდეგ ესპანეთის ნაკრები 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩებისთვის მზადებას შეუდგება. ევროპის ჩემპიონებს ჯერ ესტონეთთან შეხვედრა მოუწევთ, შემდეგ კი ბელგიას დაუპირისპირდებიან.

**ვისენტე დელ ბოსკემ** ბევრი იფიქრა და მისი აზრით, საუკეთესო ფეხბურთელები შეარჩია. მთავარი მწვრთნელის სიის წაკითხვისას მაშინვე თვალში გეცემათ, რომ სენიორ დელ ბოსკემ ნაკრებში **კარლოს მარჩენა** და **ალვარო არბელოა** დააბრუნა. „ვალენსიისა" და „ლივერპულის" ფეხბურთელებს დიდი იმედი აქვთ, რომ შეკრებაზე თავს გამოიჩენენ და ძირითად შემადგენლობაში მოხვდებიან. შესაძლოა, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ სენიორ ვისენტეს სხვა სიახლე არ შემოუთავაზებია. ნაკრების ბირთვი უცვლელი დარჩა.

პირენეელთა სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - კასილიასი (რეალი), რეინა (ლივერპული);

**მცველები** - ალბიოლი (ვალენსია), არბელოა (ლივერპული), კაპდევილა (ვილიარეალი), ხუანიტო (ბეტისი), მარჩენა (ვალენსია), ფერნანდო ნავარო (სევილია), პუიოლი (ბარსელონა), რამოსი (რეალი), ირაოლა (ბილბაო);

**ნახევარმცველები** - ჩაბი ალონსო (ლივერპული), დიეგო კაპელი (სევილია), კასორლა (ვილიარეალი), ფაბრეგასი (არსენალი), ჩავი (ბარსელონა), ინიესტა (ბარსელონა), სენა (ვილიარეალი);

**თავდამსხმელები** - ვილია (ვალენსია), დანიელ გუისა (ფენერბაჰჩე), ფერნანდო ტორესი (ლივერპული);

ალსანიშნავია, რომ **ალბიოლმა** „მარიტიმუსთან" უეფას თასის შეხვედრაში ტრავმა მიიღო, მაგრამ მიუხედავად ამისა, დელ ბოსკემ ის განაცხადში მაინც შეიყვანა. ვალენსიელი ექიმების მტკიცებით, ტრავმა უმნიშვნელოა და ალბიოლი სამშაბათისთვის 100 პროცენტით მზად იქნება.

**ილია ნიკოლაიშვილი**




მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლარსონი ეინდჰოვენში?

37 წლის შვედი, ვეტერანი **ჰენრიკ ლარსონი** შეიძლება ერედივიზიონში გამოჩნდეს. ასეთი ინიციატივით "ეინდჰოვენის" თავკაცი **ჰუუბ სტევენსი** გამოვიდა. "ფილიპსის" გუნდი ჩემპიონატში ოთხი ტურის შემდეგ 10 ქულით მეორე ადგილზეა. მისი ბურთების ბალანსი ასეთია - 7 გატანილი, 2 გაშვებული. ჩემპიონთა ლიგაში გუნდის ასპარეზობას შეუძლებელია, კატასტროფულზე რბილი შეფასება მოეძებნოს.

სტევენსის ბიჭებმა "ატლეტიკოსთან" შინ 3:0 წააგეს, ხოლო "ლივერპულთან" - 3:1. აშკარაა, რომ გუნდს გაძლიერება სჭირდება. საამისოდ "შალკესა" და "ჰამბურგის" ყოფილმა დამრიგებელმა სწორედ ზემოხსენებული გადაწყვეტილება მიიღო. ლარსონის კონტრაქტი შვედურ "ჰელსინგბორგთან " ერთ თვეში, 9 ნოემბერს იწურება, რის შემდეგაც ვარსკვლავი თავისუფალი აგენტის სტატუსს შეიძენს. ეინდჰოვენელებს უმალვე შეეძლებათ ფეხბურთელის გადაბირება. გუნდის თავკაცი ლარსონს უკვე ელაპარაკა და ჰოლანდიაში გადაბარგება შესთავაზა. ვეტერანის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია.

შეგახსენებთ, რომ თუკი ლარსონი წინადადებაზე ყაბულს იქნება, მისთვის ეს მეორე ჰოლანდიური თავგადასავალი იქნება. 1993-97 წლებში ის "ფეიენოორდის" ღირსებას იცავდა, სადაც მარჯვენა თავდამსხმელის პოზიციაზე ასპარეზობდა და 101 შეხვედრაში 26 გოლის გატანა შეძლო. ასაკის მიუხედავად, ფეხბურთელს მაღალ დონეზე ასპარეზობა ჯერ კიდევ რომ შეუძლია, მან ეს შარშან "მანჩესტერ

გერმანია. ბუნდესლიგა. VII ტურის წინ

# ბეკენბაუერმა კლინსმანს მუშტი მოუღერა

## მიონხენგლადბახში თორმეტს ხუთი უკლია

| | |
|---|---|
| **გუშინ** | |
| არმინია-კარლსრუე | 1:2 |
| **დღეს** | |
| ბაიერნი-ბოხუმი | 17:30 |
| შტუტგარტი-ვერდერი | 17:30 |
| ლევერკუზენი-ჰერტა | 17:30 |
| ბორუსია (მ)-კიოლნი | 17:30 |
| ჰოფენჰაიმი-აინტრახტი | 17:30 |
| **ხვალ** | |
| შალკე-ვოლფსბურგი | 19:00 |
| ბორუსია (დ)-ჰანოვერი | 19:00 |
| კოტბუსი-ჰამბურგი | 19:00 |

ტურის ცენტრალურ მატჩს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ძალიან დამაინტრიგებელია მიონხენგლადბახის „ბორუსიისა“ და „კიოლნის“ დერბი. „გლადბახი“ ბოლო ადგილზეა და როგორც ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **პატრიკ პააუვე** ამბობს, მიონხენგლადბახში უკვე 12-ს 5 უკლია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბორუსიამ“ უნდა მოიგოს. ან ახლა, ან არასდროს - დაახლოებით ასეთია **იოს ლუჰუკაის** დევიზი, მწვრთნელისა, რომლის სკამიც ძალზე მორყეულია. თუკი „ბორუსია“ „კიოლნთანაც“ წაიფორხილებს, დიდი შანსია, რომ ლუჰუკაი პირველი მწვრთნელი აღმოჩნდეს, რომელსაც ამ სეზონში დაითხოვენ. ის ქომაგებს ჰპირდება, რომ გუნდი შემტევ ფეხბურთს ითამაშებს და მხოლოდ 3 ქულის მოპოვებაზე იქნება ორიენტირებული. მოწდომებულია „კიოლნის“ თავკაცი **კრისტოფ დაუმიც**, რომელიც ამ შეხვედრას „განსაკუთრებულს“ უწოდებს.

არეულობაა მიუნხენშიც. „ლიონთან“ მიღწეულმა ფრემ რეკორდმაისტერი, რა თქმა უნდა, ვერ დაამშვიდა. მართალია, მიუნხენური გრანდის ბოსებს მატჩის შემდგომი კომენტარებიდან ეტყობოდათ, რომ კმაყოფილები არიან, მაგრამ გვერწმუნეთ, ეს მხოლოდ მოჩვენებითი კმაყოფილება იყო. დიდი შანსია, რომ ჯიუტმა **იურგენ კლინსმანმა** კაპიტანი **მარკ ვან ბომელი** „ბოხუმთანაც“ სათადარიგოთა სკამზე დატოვოს. ასეა, კლინსის დანებება არ სჩვევია. „ბაიერნის“ თვით ყველაზე დიპლომატი ფეხბურთელი **მიროსლავ კლოზეც** კი აღიარებს, რომ გუნდში მცირე ქაოსია. საინტერესოა, როგორ ითამაშებენ (თუკი საერთოდ ითამაშებენ) **ლუსიო** და **მარტინ დემიკელისი**, რომლებიც „ლიონთან“ საკუთარ თავს არ ჰგავდნენ. ეს ყველაფერი ბოხუმელებს ნაკლებად ადარდებთ. მათ იციან, რომ „ბაიერნთან“ მატჩის წინ წნეხის ქვეშ არ არიან და შეხვედრისთვის მშვიდად ემზადებიან. თუმცა გარკვეული პრობლემები „ბოხუმსაც“ აქვს: ტრავმირებულ **მავრაის იაია** შეცვლის, **უდებელს** კი **შრიოდერი**.

ამასობაში, „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** კლინსმანზე ზეწოლა გააძლიერა. *„იმედი მაქვს, კლინსმანის კონცეფცია და პრინციპები შედეგებს მოიტანს. მაგრამ ეს - მომავალში, დღეს კი მხოლოდ ერთი რამ ვიცი: „ბაიერნს“ ქულების განიავების უფლება აღარ აქვს, მოგებების დროა!“* - განაცხადა კაიზერმა და იქვე დასძინა, რომ კლინსმანს სრული თავისუფლება აქვს - შეუძლია აკეთოს ის, რაც უნდა, მაგრამ შედეგზეც პასუხისმგებელი მხოლოდ იურგენიაო. ბეკენბაუერმა, ცხადია, როტაცია იგულისხმა, რის გამოც კლინსის ბოლო დღეებში ხშირად აკრიტიკებენ. ამასთან, პრეზიდენტი, რომლის სიტყვაც ძალიან ძვირად ფასობს, აცხადებს, რომ ყოველი მარცხის შემდეგ გუნდში უკმაყოფილება და ქაოსი მატულობს.

ბეკენბაუერი: *„ზოგადად, ვფიქრობ, რომ კლინსმანის კონცეფცია გაამართლებს და არ მგონია, რომ მასსა და გუნდს შორის კომუნიკაცია დარღვეულია“* - ასეთი ეჭვი მას შემდეგ გაჩნდა, რაც კლინსიმ კაპიტანი ვან ბომელი ძირითადი შემადგენლობიდან სათადარიგოთა სკამზე გადაიყვანა.

„გლადბახის“ არ იყოს, საკმაოდ მძიმე დღეშია „აინტრახტიც“, რომელსაც გაცილებით დიდი ამბიციები აქვს, ვიდრე ბუნდესლიგაში დარჩენაა - „არწივები“ ბოლოსწინა ადგილს ტკეპნიან. დღეს ფრანკფურტელები მეტად საშიშ გუნდს, „ჰოფენჰაიმს“ მასპინძლობენ. ამასთან, „აინტრახტი“ ერთადერთი კლუბია ბუნდესლიგაში, რომელსაც ამ სეზონში ჯერ არ გაუმარჯვია. შედარება არაა გასულ ჩემპიონატთან, როცა ეს გუნდი 6 ტურის შემდეგ მეოთხე ადგილზე იყო. **ფრიდჰელმ ფუნკელის** მთავარი იმედი თავდამსხმელი და კაპიტანი **იოანის ამანატიდისია**, რომელიც ლაზარეთიდან, წესით, დღეს უნდა დაბრუნდეს. **რალფ რანგნიკს** კი ბევრი ასეთი „იმედი“ ჰყავს - **იბიშევიჩი** (7 გოლი, 3 პასი), **სალიჰოვიჩი** (3/2), **დემბა ბა** (2/2).

„ლევერკუზენმა“ გასულ უქმეებზე პირადი რეკორდი დაამყარა - 18 გატანილი გოლი 6 თამაშში! **ბრუნო ლაბადიას** გუნდი შემტევ და თვალსასეირო ფეხბურთს თამაშობს, რასაც ვერ ვიტყვით მის დღევანდელ მეტოქეზე. დიახ, „ჰერტა“ ტრადიციულად წვალობს. ბერლინელთა ახალწვეული **ანდრეი ვორონინიც** ჯერჯერობით უგოლოდაა. აღსანიშნავია, რომ უკრაინელი 2004-დან 2007 წლამდე სწორედ „ლევერკუზენში“ თამაშობდა და იქნებ, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მაინც მოახერხოს „ჰერტას“ მაისურით პირველი გოლის გატანა. ბერლინელები **პიუჩეკს** ვერ დაიხმარენ. პოლონელი ტრავმირებულია.

„ლევერკუზენის“ დარად 18 გოლი აქვს გატანილი „ვერდერსაც“. თუმცა „მუსიკოსებს“ გაშვებულიც ბლომად აქვთ - 12. დღეს **თომას შააფის** მილანმოვლილი (1:1 „ინტერთან“) გუნდი შტუტგარტში ჩადის. ვნახოთ, რას დაუპირისპირებენ გადაღლილი „შვაბები“ (ხუთშაბათს უეფას თასზე მძიმე მატჩი ჰქონდათ) „ვერდერს“. თანაც, **არმინ ფეეს** რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლია: **ბულარუზი, ბაშთურქი, შიმაკი, პარდო.**

უეფას თასის გამო ხვალ სამი მატჩი გაიმართება. დორტმუნდის „ბორუსია“, რომელმაც უდინეში იბრძოლა, 2:0 მოიგო და მხოლოდ თერთმეტმეტრიანების სერიაში დამარცხდა, დღეს „ჰანოვერს“ მასპინძლობს. თუმცა ვესტფალიელთა მწვრთნელი **იურგენ კლოპი** ხომ ის კაცია, რომელსაც გუნდის მოტივირება და ხმალივით ალესვა არ უჭირს. „ჰანოვერს“ კი დაცვაში აქვს პრობლემები. გარკვეულია, რომ ტრავმირებული **ვალერიან ისმაელი** რამდენიმე კვირის განმავლობაში დაისვენებს. ტკივილები აწუხებს კიდევ ერთ უკანახაზელ **ვინისიუშსაც**. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს **ფრანკ ფარენჰორსტი** და „წითლებს“ შეუძლიათ, ამ უკანასკნელის იმედად იყვნენ.

„კოტბუსი“, რომელმაც წინა ტურში „ჰერტას“ მოუგო (აბა, სხვას ვის მოუგებდა?), „ჰამბურგს“ ხვდება. აღმოსავლეთის წარმომადგენლებს **კუკიელკა** და **კვიტანოვიჩი** უბრუნდებიან. ხვალვე, ტურის ცენტრალურ დაპირისპირებაში **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** „შალკე“ **ფელიქს მაგათის** „ვოლფსბურგს“ დაუპირისპირდება. გავიხსენოთ, რომ „მგლებმა“ წინა ტურში **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუესთან“ წააგეს. ეს ამ გუნდის პირველი მარცხი იყო მიმდინარე სეზონში. ცხადია, „დესპოტ ფელიქსს“ ზედიზედ მეორე წაგება ძალიან არ ესიამოვნება. „შალკესთან“ მაგათი **გრაფიტეს** ვერ დაიხმარს. ბრაზილიელი ფორვარდი დისკვალიფიცირებულია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-10 | 13 |
| 2. ლევერკუზენი | 6 | 4 | 0 | 2 | 18-10 | 12 |
| 3. ვერდერი | 6 | 3 | 2 | 1 | 18-12 | 11 |
| 4. შალკე | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| 5. ბორუსია (დ) | 6 | 3 | 2 | 1 | 12-10 | 11 |
| 6. ჰოფენჰაიმი | 6 | 3 | 1 | 2 | 14-11 | 10 |
| 7. შტუტგარტი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 8. ვოლფსბურგი | 6 | 2 | 3 | 1 | 12-9 | 9 |
| 9. კარლსრუე | 6 | 3 | 0 | 3 | 7-9 | 9 |
| 10. ბაიერნი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-10 | 8 |
| 11. ჰერტა | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| 12. კიოლნი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | 7 |
| 13. ჰანოვერი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| 14. არმინია | 7 | 1 | 3 | 3 | 9-12 | 6 |
| 15. ბოხუმი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-8 | 5 |
| 16. კოტბუსი | 6 | 1 | 2 | 3 | 2-8 | 5 |
| 17. აინტრახტი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-7 | 3 |
| 18. ბორუსია (მ) | 6 | 1 | 0 | 5 | 5-13 | 3 |


ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ ჯოვანი ელბერთან

# ბაიერნი თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის

**ჯოვანი ელბერი ბუნდესლიგაში პირველად 1994 წელს გამოჩნდა. ჯერ „შტუტგარტში“ თამაშობდა (3 წელი), მერე კი „ბაიერნში“ (6 წელი). 2005 წელს, მცირე ხნით მიონხენგლადბახის „ბორუსიაშიც“ იასპარეზა. საერთო ჯამში მან გერმანიის მთავარ დივიზიონში 260 მატჩი ჩაატარა და 133 გოლი გაიტანა, რითიც ბუნდესლიგის ყველა დროის ლეგიონერს შორის საუკეთესო ბომბარდირია. 2006 წლის იანვარში ბრაზილიელი სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ მძიმე ტრავმის გამო კარიერა დაასრულა. 2007 წლის სექტემბრიდან ელბერი „ბაიერნის“ სკაუტია. ბუნდესლიგის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში ჯოვანი „ბაიერნის“ კრიზისსა და იურგენ კლინსმანზე საუბრობს. ის დარწმუნებულია, რომ მიუხედავად ლიდერთან ამჟამინდელი ხუთქულიანი ჩამორჩენისა, რეკორდმაისტერი ჩემპიონის ტიტულს აუცილებლად შეინარჩუნებს.**

**- ჰერ ელბერ, რას იტყოდით იმაზე, რომ „ბაიერნმა“ ბუნდესლიგაში ზედიზედ ორი თამაში წააგო?**

- რას ვიზამთ, სეზონის სტარტი ისეთი არ გამოვიდა, როგორსაც ამ გუნდის გულშემატკივრები ინატრებდნენ. სიმართლე გითხრათ, ველოდი, რომ ასეც მოხდებოდა. გუნდში მოვიდა ახალი მწვრთნელი, დაამკვიდრა ახალი სისტემა და ახალი მეთოდები. იმისთვის, რომ „ბაიერნი“ ახალ სისტემას მოერგოს და შეეჩვიოს, დროა საჭირო. ჩვეულებრივი ამბავია და ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ.

**- კი, მაგრამ „ბაიერნში“ „ამ დროს“ არავინ მოგცემს, ქულების განიავებას აქ არავის პატიობენ...**

- დიახ და სწორედ ეს არის პრობლემა. „ბაიერნი“ ისეთი გუნდია, სადაც ყველაფერი ძალიან სწრაფად უნდა მოხდეს, სადაც ორი მატჩის ჩაგდება უკვე კატასტროფად აღიქმება და ა.შ. დარწმუნებული ვარ, ული ჰიონესი და სხვა ხელმძღვანელები კლინსმანს აცლიან. ახლა ყველაზე მთავარი სწორედ ესაა. იურგენმა მშვიდ ატმოსფეროში უნდა იმუშაოს. თუმცა წარმატებებიც აუცილებელია. განსაკუთრებით, ეს ჩემპიონთა ლიგას ეხება, სადაც რეკორდმაისტერი ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. შესაბამისად, „ბაიერნი“ ვალდებულია, ევროსარბიელზე თავისი სიტყვა თქვას და ისე სამარცხვინოდ არ გამოვიდეს, როგორც შარშან უეფას თასზე.

**- როგორ გგონიათ, რას მიაღწევენ მიუნხენელები ჩემპიონთა ლიგაში?**

- ვფიქრობ, მეოთხედფინალში გასვლაც წარმატება იქნება. ამაზე უარესი შედეგი ჩავარდნად ჩაითვლება, უკეთესი კი სასწაულად.

**- „ბაიერნი“ მეცხრე ადგილზეა. კლინსმანი ხშირ როტაციას მიმართავს, რის გამოც ბევრს აკრიტიკებენ...**

- ბუნდესლიგის გამო ოდნავადაც არ ვნერვიულობ, რადგან „ბაიერნს“ სამ კვირაში შეუძლია მდგომარეობის იმ დონეზე გამოსწორება, რომ მერე ეს კრიზისი აღარავის ახსოვდეს. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. „ბაიერნის“ ფეხბურთელს არასდროს აქვს იმის გარანტია, რომ მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, რადგან ამ გუნდში უდიდესი კონკურენციაა. შესაძლოა, დღეს სასტარტოში იყო, ხვალ კი სკამზე მოგიხდეს გადანაცვლება. ვფიქრობ, იურგენი სწორად იქცევა, როცა როტაციას მიმართავს.

**- თქვენ რომ მის ადგილზე ყოფილიყავით, „ვერდერთან“ 2:5-ის შემდეგ ძირითად შემადგენლობას ასე შეცვლიდით?**

- მეც ვფიქრობ, რომ კლინსმანმა, ცოტა არ იყოს, ავანტიურისტული გადაწყვეტილება მიიღო. რა გამოვიდა აქედან, ეს უკვე ცალკე სასაუბრო თემაა.

**- კლინსის ტაქტიკა 3-5-2-ია. ამაზე რას იტყვით?**

- როცა გუნდი კარგადაა შეთამაშებული, ნებისმიერი ტაქტიკა გაამართლებს. შესაბამისად, მწვრთნელმა, ჩემი აზრით, როტაციას მხოლოდ მაშინ უნდა მიმართოს, როცა გუნდი შეთამაშებულია.

**- როგორ ფიქრობთ, კლინსმანზე კრიტიკა და წნეხი დადებითად იმოქმედებს?**

- იურგენი საკმარისად გამოცდილია იმისთვის, რომ კრიტიკამ და წნეხმა არ გატეხოს. წესით, მას ძალიან კარგად უნდა სცოდნოდა. რაც ელოდა „ბაიერნში“. ეს არის გუნდი, რომელიც ყოველთვის ყურადღების ცენტრშია.

**- თქვენი აზრით, კლინსმანის გუნდი კვლავ ბუნდესლიგის ტოპფავორიტია?**

- ფაქტი ერთია: ამ გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს და ამ პოტენციალს ჯერჯერობით ვერ იყენებს. პრობლემაა ისიც, რომ არაერთმა ფეხბურთელმა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. მაგალითისთვის ლუკა ტონიც გამოდგება, რომელმაც ევრო 2008-ზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვა და კლუბშიც ფორმიდან ამოვარდნილი, მოუმზადებელი დაბრუნდა. საკმარისია, „ბაიერნმა“ ზედიზედ სამი-ოთხი მატჩი მოიგოს, რომ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. სწორედ ამიტომ, ჩემთვის რეკორდმაისტერი კვლავინდებურად ბუნდესლიგის ტოპფავორიტია. „ჰამბურგთან“ ხუთქულიანი ჩამორჩენა ბევრი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქართულ-აზერბაიჯანული გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში

# ნუგზარ კანდელაკის მიზანი: ჯერ პლეი ოფი, შემდეგ...


ნუგზარ კანდელაკი

საქართველოს კარსმომდგარ ჩემპიონატში დებიუტანტი გუნდი გამოჩნდება - ქართულ-აზერბაიჯანული "ნტდ-თბილისი". მას ბათუმის "ბასკოს" ყოფილი მწვრთნელი **ნუგზარ კანდელაკი** უხელმძღვანელებს.

მოდი, ჯერ ის მიზეზები განვმარტოთ, რამაც აზერებს საქართველოში ჩამოსვლა გადააწყვეტინა და შემდეგ ნუგზარ კანდელაკის ინტერვიუს გავეცნოთ.

დიდი ხანია მიდის ლაპარაკი კავკასიის ლიგის შექმნაზე. იდეა კარგია, მაგრამ, სამწუხაროდ, არარეალურად ჩანს: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყარაბახის გამო აზერბაიჯანელები და სომხები ერთმანეთში არ ითამაშებდნენ და მეორეც – სომხებს პროფესიული კალათბურთი არ გააჩნიათ.

აზერბაიჯანში სხვა ვითარებაა, 5 წლის წინათ ქვეყნის პრეზიდენტმა ბაქოში უხმო ოლიმპიურ ჩემპიონ **რიმას კურტინაიტისს** რომელიც აზერთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და კლუბ "გალაში" არაერთი მაღალი კლასის ლეგიონერი ჩამოიყვანა. თუმცა, იმავე კურტინაიტისის ინიციატივით ნაკრებს B დივიზიონში ერთხელაც არ უთამაშია, ხოლო "გალა" ხუთი წლის განმავლობაში ერთადერთხელ გავიდა ევროტურნირზე...

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ აზერებმა ბოლო 5 წელი ტყუილუბრალოდ დაკარგეს. ამას, ალბათ, თვითონაც მიხვდნენ და წლეულს ქართულ-აზერბაიჯანული კლუბის შექმნა გადაწყვიტეს. საქართველოს მომავალ ჩემპიონატში ითამაშებს 4 აზერბაიჯანელით გაძლიერებული "ნტდ-თბილისი", რომლის სპონსორიც აზერბაიჯანულ-ქართული საწარმო იქნება. გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტი ნუგზარ კანდელაკია, რომელიც 2005-06 წლებში აზერბაიჯანულ "გიარბ უნივერსიტეტში" მუშაობდა და რიმას კურტინაიტისის "გალას" ჩემპიონობა არ დაანება – იქაური ფედერაციის გადაწყვეტილებით, ჩემპიონად ორივე გუნდი გამოცხადდა.

ნუგზარ კანდელაკს დაეხმარება "ბასკოში" მისი თანაშემწე **დავით რიბაშვილი.**

თუკი შეკრებილი კონტინგენტით ვიმსჯელებთ, "ნტდ-თბილისი" საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კლუბი იქნება, შესაბამისი მიზნებით. მასში ხომ აზერბაიჯანის ნაკრების ოთხი წამყვანი კალათბურთელი ითამაშებს, მათ დაემატება **პლასიდე როდუმტა, ირაკლი კეიდია,** ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი **მიხეილ ჩიტაშვილი...** მოკლედ, სჯობს გუნდის შემადგენლობასა და სხვა საინტერესო საკითხებზე უშუალოდ მწვრთნელ-კონსულტანტის, ნუგზარ კანდელაკის ნაუბარი მოვისმინოთ.

**- ჯერ გუნდის დამფუძნებელთა შესახებ ვთქვათ.**

- "ნტდ-თბილისს" ქართულ-აზერბაიჯანული ფირმა აფინანსებს. შემადგენლობაში ქართველების გვერდით ოთხი აზერბაიჯანელი ირიცხება. ისინი ლეგიონერების სტატუსით ითამაშებენ.

**- იქნებ ამ ოთხეულის გვარებიც გვითხრათ.**

- დღესდღეობით აზერბაიჯანში ოთხი შედარებით მაღალი კლასის კალათბურთელია, რომლებიც იქაური ნაკრების ღირსებას იცავენ. ფუად ნიფტალიევი და ზაურ ფაშაევი უკანახაზელები არიან, ხოლო ანარ სარიევი და ტახირ ბახშიევი – ფორვარდები.

**- მათ ქართველთაგან ვინ შეუწყვილდება?**

- უკვე დავიმატეთ გამთამაშებლები მიხეილ ჩიტაშვილი და გიორგი მამაცაშვილი. გვყავს ორი მეფარე - კამერუნელი პლასიდე როდუმტა და ლადო სუხიშვილი. მათ გვერდით, გადაწყვეტილია ფორვარდ ირაკლი კეიდიას "ნტდ-თბილისში" თამაში. ვაპირებთ კიდევ ერთი კალათბურთელის დამატებას, მაგრამ მისი საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის და ვინაობასაც ვერ დავასახელებ. გამოცდილ მოთამაშეებთან ერთად ვარჯიშებზე გვეხმარება ორი ახალგაზრდა – ტეტელაშვილი და ქარსელაძე.

**- შარშან დუბლების ჩემპიონატში გამოდიოდა გუნდი სახელწოდებით "თბილისი", რომელსაც თქვენ წვრთნიდით...**

- ამჟამინდელ კლუბ "ნტდ-თბილისს" დუბლებში მოასპარეზე "თბილისთან" საერთო არა აქვს...

**- კლუბის ხელმძღვანელობა მომავალ ჩემპიონატში რა მიზნებს გისახავთ?**

- საწყის ეტაპზე ჩვენი მიზანი პლეი ოფში გასვლა იქნება. დანარჩენზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, რადგან გუნდი ჯერაც არ შეკრულა – პირველი ვარჯიში ორიოდე დღის წინ გავმართეთ.

**- "ნტდ-თბილისის" ბაზა სად იქნება?**

- ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. ახლა თბილისის ვერის ბაღში, მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზში ვვარჯიშობთ. დუდუ დადიანის მემორიალამდე იქ მოვემზადებით, შემდეგ დარბაზში სარემონტო სამუშაოები დაიწყება და სად გავაგრძელებთ ვარჯიშს, მერე გავარკვევთ.

ვაჟა სიმონიშვილი.

მძლეოსნობა. ვიქტორ სანეევის პრიზი

# სეზონი სანეევის პრიზითა და რეკორდით დასრულდა

მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენს, ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონსა და ვერცხლის პრიზიორს, ევროპის ჩემპიონატების რვაგზის გამარჯვებულს, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების რეკორდსმენს სამხტომში, ოლიმპიური და ღირსების ორდენების კავალერს, ლეგენდარულ ვიქტორ სანეევს.





გამარჯვებულები საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ დააჯილდოვა

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის - **ვიქტორ სანეევის** პრიზის გათამაშება გაიმართა.

მეოცე საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის სახელობის ტრადიციულ ტურნირზე თბილისის, ქუთაისის, მარტვილისა და ახმეტის 8 მძლეოსანი (სამხტომელი) ასპარეზობდა. ჩემპიონებისთვის დაწესებული იყო ფულადი პრიზი 500 ლარის ოდენობით, მეორე-მესამე ადგილებზე გასულ სპორტსმენებს კი შესაბამისად, 400 და 300 ლარი ელოდათ.

ვაჟებს შორის ჩემპიონობა არავის დაანება თბილისელმა **ბოლესლავ სხირტლაძემ** (14,82 მეტრი). მეორე ადგილზე ახმეტელი, პერსპექტიული ჭაბუკი **ლაშა ღულელაური** გავიდა, რომელიც 14,48 მეტრზე გადახტა და 16-წლამდელებში საქართველოს რეკორდი დაამყარა. მესამე პოზიცია კი ქუთაისელმა **ვახტანგ ჯინჭველაშვილმა** (13,87) დაიკავა.

რაც შეეხება გოგონებს, აქ მხოლოდ ორი მონაწილე იყო. თბილისელმა **ლიკა დვალიშვილმა** (12,08) ქუთაისელ **ქრისტინა შალამბერიძეს** (11,87) აჯობა. სხვათა შორის, ლიკა ოლიმპიური ჩემპიონის - ნადეჟდა ხრიკინა-დვალიშვილის შვილიშვილია.

ამ შეჯიბრებით საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ 2008 წლის სეზონი დაასრულა.

კობა ხატისაშვილი

ხელბურთი

ინტერვიუ ელზა მერაბიშვილთან

# მეტი ფული და მეტი თამაში გვჭირდება



**ელზა მერაბიშვილი პოსტსაბჭოურ ეპოქაში, თბილისის „ბურევესტნიკის" ძირითადი მეკარე იყო. კარიერა 30 წლის ასაკში დაამთავრა და ბავშვთა ხელბურთში მწვრთნელად მოღვაწეობა დაიწყო. მთელი 24 წელიწდია, გლდანის ხელბურთის ცენტრში ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს. ძველ თაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამჟამად საქართველოს ეროვნული ნაკრების კარს იცავენ მერაბაშვილის აღზრდილი მეკარეები - შოთა თევზაძე და კორნელი ანდრიაძე. ასევე მან შეასწავლა ხელბურთის ანაბანა ნაკრების კიდევ ერთ წევრ გიორგი წივწივაძეს.**

**დღეს ქალბატონი ელზა ჩვენი სტუმარია და ბავშვთა ხელბურთში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრება.**

- სამწუხაროდ, ბოლო წლებში ბავშვთა ხელბურთში მომუშავე მწვრთნელებს უამრავი პრობლემა გვხვდება. არაერთი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორის გამო მუშაობა გვირთულდება.

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში ხელბურთმა კარგა ხანია დაკარგა პრესტიჟი. შესაბამისად, მშობლებს შვილები უფრო პერსპექტიულ და ფულიან სახეობებში მიჰყავთ - ფეხბურთში, ჭიდაობაში, რაგბიში, კალათბურთსა თუ ძიუდოში...

*ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის ამბავი, რომ საჯარო სკოლებში ტალანტების საძებნად სიარულის უფლებას აღარ გვაძლევენ. სკოლაში რომ შევიშვან, ან დირექტორთან უნდა იყო შინაურულად, ანდა რომელიმე პედაგოგთან. ჰოდა, თუკი მშობელი არ მოიყვანს ბავშვს ხელბურთზე, არც სკოლებში შეგვიშვებენ ტალანტების აღმოსაჩენად, აბა საიდან უნდა მივიღოთ ახალი თაობა?*

არასწორ ნაბიჯად მიმაჩნია სპორტსკოლების თვითდაფინანსებაზე გადასვლა. ბევრი ნიჭიერი, მაგრამ გადახდისუუნარო ბავშვი გვყავს. ამიტომაც, მწვრთნელები იძულებული ვართ, რომ ხელფასები მოვიკლოთ და ისინი უფასოდ ვავარჯიშოთ. ასე რომ არ გავაკეთოთ, ელემენტარულად, ჯგუფებსაც ვერ შევავსებთ.

ბავშვებს ვავარჯიშებთ დარბაზებში, სადაც არაა გათბობა და ცხელი წყალი. მე გლდანის ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრში ვამზადებ ახალგაზრდა ხელბურთელებს. იქ გვაქვს ერთი სტანდარტული და ორი პატარა დარბაზი. სტანდარტულ მოედანზე ახლა „მხიარულ სტარტებს"ატარებენ და იქ ვარჯიშისა თუ თამაშის საშუალება აღარ გვაქვს, პატარა დარბაზებში კი მინებია ჩამსხვრეული და შიგნით ისე ცივა და წვიმს, როგორც ქუჩაში. ყოველი ზამთარი კოშმარია ხოლმე. წარმოიდგინეთ, 10-15 წლის ბავშვი რომ ივარჯიშებს გაყინულ დარბაზში და მერე გაოფლილი გამოვა გარეთ, რა დაემართება?

ასევე დიდად საფიქრალია მატჩების სიმწირე. საერთაშორისო ტურნირებზე სიარულის ფული არ გვაქვს. ამიტომ, მხოლოდ საქართველოს პირველობაზე გამოსვლას ვჯერდებით, სადაც წელიწადში ოთხიოდე ტური ტარდება და სულ ესაა. არადა, მოზარდ ხელბურთელს გაცილებით მეტი თამაში სჭირდება. როგორ გინდა ჩამოაყალიბო ბავშვი ძლიერ ხელბურთელად ამ გაყინულ, მოძველებულ დარბაზებში წელიწადში 10-15 თამაშის ამარა?

პერსპექტივა საკმაოდ დიდია, კარგი სპეციალისტებიც გვყავს, მაგრამ უფულობა გვარიან სირთულეებს უქმნის ქართული ხელბურთის მომავალს.

**- სპონსორები არ მოდიან?**

- ვინ უნდა მოვიდეს? სპონსორმა შენკენ რომ გამოიხედოს, ჩადებული თანხის ამოღების პერსპექტივას უნდა ხედავდეს. ჩვენგან კი რა ფული უნდა ამოიღოს? ამიტომაცაა, რომ საქართველოში ბიზნესმენები ხელბურთს არ წყალობენ. სანამ წელში არ გავიმართებით, სულ ასე იქნება. ერთადერთ გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ სახელმწიფომ მოგვხედოს, მოვღონიერდეთ და მერე უკვე სპონსორებიც დაინტერესდებიან ხელბურთით.

ჩვენი ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმუმს კი აკეთებს ბავშვთა ხელბურთისთვის, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, გაცილებით მეტია საჭირო.

ცუდია ისიც, რომ ეროვნული ჩემპიონატიდან სისტემატურად ხდება ნიჭიერ ხელბურთელთა საზღვარგარეთ გადინება, არის კარიერის ნაადრევად დამთავრების ფაქტები. 18-20 წლის ხელბურთელი ჯერაც ახლა იწყებს ყველაფერს და სანამ უცხოეთში წავა, სამშობლოში უნდა მოღონიერდეს. ამით მოთამაშეც მოიგებს და საქართველოს ჩემპიონატიც.

**- გლდანის ხელბურთის ცენტრი ინვესტორს უნდა გადასცემოდა...**

- დიახ, ცენტრი უკვე გადავიდა ახალი მეპატრონის ხელში, რომელმაც მისი რესტავრაციის ვალდებულება აიღო. თუმცა ჯერჯერობით სარემონტო სამუშაოები არ დაწყებულა.

როგორც იცით, ცენტრის ბაზაზე ხელბურთის კლუბი „ქარიშხალა" ფუნქციონირებს, რომელმაც უფულობის გამო, ორი წლის წინათ დატოვა ეროვნული ჩემპიონატი და ახლა მხოლოდ უმცროსი ასაკის გუნდი გვყავს. შარშან ვაპირებდით გაძლიერებასა და ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნებას, მაგრამ სპონსორი არ გამოჩნდა. ჯერჯერობით, იგივე ვითარებაა წლეულსაც.

კობა ხატისაშვილი

ციგურაობა

# შანყულაშვილი თავისუფალი პროგრამის იმედად

გუშინ, ციგურაობის საერთაშორისო კავშირის (ISU) ახალგაზრდულ გრანპრიში ქართველი **ბექა შანყულაშვილი** ჩაერთო. ტურნირი ბელარუსში, ქალაქ გომელში 1-5 ოქტომბერს იმართება. გუშინ ერთეულებში მოკლე პროგრამის დრო იყო, შეჯიბრებას სწორედ ბექა შანყულაშვილი ხსნიდა. ქართველი ურიგოდ არ გამოსულა, მაგრამ დავარდა და ამისთვის სამი ქულა ჩამოაკლდა, საბოლოო ჯამში შანყულაშვილს მსაჯებმა 42,45 ქულა დაუწერეს, რაც 27 მონაწილეს შორის მე-18 შედეგია. დღეს თავისუფალი პროგრამის ჯერია და, იმედია, ბექა უკეთ ისრიალებს. კენჭისყრამ ის მეორე ჯგუფში მოახვედრა, შანყულაშვილი რიგით მეათე გამოვა გომელის ყინულზე.

ბექა შანყულაშვილი 18 წლის მოციგურავეა, ის ამერიკაში ცხოვრობს, სადაც ახლო წარსულში ცნობილი ქართველი მოციგურავის, ახლა კი მწვრთნელის **ვახტანგ მურვანიძის** მეთვალყურეობის ქვეშ ვარჯიშობს. წლეულს ის ერთადერთი ქართველია, რომელიც ISU-ს ახალგაზრდულ გრანპრიში მონაწილეობს. რვა ეტაპიდან, თითოეული სპორტსმენი ორში ასპარეზობს. შანყულაშვილმა სეზონი უკვე გახსნა ოსტრავას (ჩეხეთი) გრანპრიზე, სადაც საკმაოდ ნორმალური, მე-13 ადგილი დაიკავა. მან მოკლე პროგრამაში 45, ხოლო თავისუფალში – 81 ქულა მიიღო.

ISU-ს გრანპრიზე (დიდებში) კი **ელენე გედევანიშვილი** გამოვა. გრანპრი 6-ეტაპიანია, ფინალი კორეაში, გოიან სიტიში გაიმართება 10-14 დეკემბერს. ელენე მხოლოდ ერთ ეტაპზე, 14-16 ნოემბერს პარიზში იასპარეზებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# ოლიმპიელები და რუსული აგრესია

ზემოთ, კედელზე ახალი ქართველი ოლიმპიელების ფოტოებია გამოფენილი... **ირაკლი ცირეკიძე** თავისი ცნობილი ჟესტით, **მანუჩარ კვირკველია** ოლიმპიური მედლით მკერდდამშვენებული, **რევაზ მინდორაშვილი** ზეაღმართული ხელებით... ქვემოთ სპეციალურად მომზადებულ მაგიდაზე კი 500 კგ-იანი ჭურვების ნამსხვრევები, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, მსხვილკალიბრიანი იარაღის ტყვიები, ოკუპანტი მებრძოლის ჩაფხუტი... დარბაზში ავტომატის ჯერის შემაძრწუნებელი ხმა ისმის და ამ სპეციალურად მოწყობილ კუთხესთან ხალხი ირევა...

ყოველივე ეს, 2 ოქტომბერს, ქუთაისის სპორტულ მუზეუმში ხდებოდა, სადაც მუზეუმის დამფუძნებლის **ზურაბ ჯავახაძის** ინიციატივით მოეწყო გამოფენა თემაზე „ოლიმპიელები და რუსული აგრესია“. ღონისძიებას ცნობილი ვეტერანი სპორტსმენები, ქალაქის ხელმძღვანელები და სხვა დაინტერესებული პირები დაესწრნენ.

პეკინის ოლიმპიადა, სადაც საქართველომ 3 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული რუსული აგრესიის გამო გარკვეულწილად დაიჩრდილა, თუმცა ამ გამარჯვებებმა ქართველ ხალხს ომით გამოწვეული ტრავმა მცირედით მაინც შეუმსუბუქა. ქუთაისელებისთვის ორმაგად სასიხარულო იყო ირაკლი ცირეკიძის გამარჯვება, რადგანაც 1992 წლის შემდეგ, როცა ბარსელონის ოლიმპიადაზე **დავით ხახალეიშვილი** გახდა ჩემპიონი, რიონისპირა ქალაქიდან ოლიმპიური ოქრო არავის მოუპოვებია. ეს გუშინდელ ღონისძიებაზე თავად ვეტერანმა ძიუდოისტმა დავით ხახალეიშვილმაც აღნიშნა: *„მიხარია, რომ 16 წლის შემდეს ჩვენს ქალქს ოლიმპიური ოქრო კვლავ ძიუდოისტმა მოუპოვა. ირაკლი ცირეკიძემ დაამტკიცა, რომ ქუთაისში ძიუდოს განვითარება არ შეწყვეტილა და სპორტის ეს სახეობა ჩვენთან კვლავ მაღალ დონეზე დგას. ომმა და საქართველოში დატრიალებულმა უბედურებამ ოლიმპიადა მნიშვნელოვნად დაჩრდილა, სხვა ვითარებაში ჩვენი ჩემპიონების გამარჯვებას დღეების განმავლობაში ვიზეიმებდით. ახლა კი ზეიმისა და სიხარულის გამოხატვის თავი ალარავის ჰქონდა. დღევანდელ გამოფენაშიც სწორედ ესაა ასახული. მაშინ, როცა ქართველი ოლიმპიელები ქვეყნის სპორტული პრესტიჟისთვის იბრძოდნენ, ჩვენს ქვეყანაში დამპყრობლები დაბოგინობდნენ და ყველა მხრიდან გვბომბავდნენ...“*

გამოფენის ორგანიზატორმა და სპორტული მუზეუმის დამფუძნებელმა ზურაბ ჯავახაძემ აღნიშნა: *„ სპეციალურად ამ გამოფენისთვის გორიდან და სენაკიდან ნახევარტონიანი ჭურვების ნამსხვრევები და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები ჩამოვიტანე. მინდოდა მეჩვენებინა ის მძაფრი შეგრძნება, რაც ომს ახლავს თან, თანაც იმ ბიჭების ვაჟკაცობაზეც მინდოდა ყურადღება გამემახვილებინა, რომლებმაც ამ ძნელბედობის ჟამს თავიანთ თავში ძალები გამონახეს და ჩემპიონობით სამშობლოს ტკივილი შეუმსუბუქეს.“*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

რაგბი

# ნოემბერში შოტლანდიაში



საქართველოს მორაგბეთა ნაკრები საწვრთნელ შეხვედრას შოტლანდიის A ნაკრებთან, სტუმრად 14 ნოემბერს გამართავს. ეს მატჩი წესით თბილისში უნდა ჩატარებულიყო. ივლისში თბილისში შოტლანდიელი ემისრებიც გვსტუმრობდნენ, რათა ადგოლზე ენახათ სპორტული არენა და გუნდის საცხოვრებელი პირობები. ცნობილი მოვლენების გამო სქოთებმა თბილისში სტუმრობაზე უარი განაცხადეს. თუმცა მატჩის აუცილებლად გამართვასა და ჩვენი გუნდის შოტლანდიაში სტუმრობას მაინც დაჰყაბულდნენ.

*„საქართველოს ნაკრები 9 ნოემბერს საფრანგეთში შეიკრიბება. შოტლანდიაში ბორჯღალოსნები თამაშის წინა დღეს ჩავლენ და 14 ნოემბერს ითამაშებენ. მეორე დღეს კი შოტლანდიისა და სამხრეთი აფრიკის გუნდების ტესტმატჩს დაესწრებიან. ამჟამად მოლაპარაკებას ვაწარმოებთ უელსის რაგბის კავშირთანაც. თუ თანხმობა მივიღეთ, მაშინ შოტლანდიიდან ჩვენი ნაკრები უელსში გადაინაცვლებს და ამ ქვეყნის A ნაკრებს, სავარაუდოდ 21 ნოემბერს დაუპირისპირდება.“* - გვითხრა რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ**.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები

# თემურ სოხაძე საუკეთესოა



რუსეთის სარაგბო ჩემპიონატის სუპერლიგის გათამაშებაში პლეი ოფის ნახევარფინალური სერიის მეორე შეხვედრები გაიმართა. სამწუხაროდ, ქართველ მორაგბეთა ორივე კრასნოიარსკულმა გუნდმა მარცხი იწვნია.

**რატი ურუშაძისა და დავით კაჭარავას** „ენისეიმ“ სტუმრად გამართა შეხვედრა მონინოში ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის ვვა-ს წინააღმდეგ და-13:15 დამარცხდა. აღსანიშნავია, კრასნოიარსკელები მატჩის ბოლო წუთამდე მინიმალური ანგარიშით-13:12 იგებდნენ. რადგან პირველ შეხვედრაში გამარჯვება „ენისეის“ მხარეს იყო, საჭირო გახდა კიდევ ერთი, გადამწყვეტი მატჩის გამართვა. შეხვედრა 6 ოქტომბერს ისევ მონინოში გაიმართება.

დრამატული გამოდგა განმეორებითი შეხვედრა კრასნოიარსკში „კრასნი იარსა“ და მოსკოვის „სლავას“ შორის. **თემურ სოხაძის, გიორგი ელიზბარაშვილის, გიორგი სანიკიძისა და არჩილ კოპალეიშვილის** გუნდი შინ მინიმალური ანგარიშით 26:27 დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ ოცდაექვსივე ქულა ქართველი მორაგბეების ანგარიშზეა. სოხაძემ გუნდს 21 ქულა შესძინა - ერთი ლელო, ორი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო. ერთი ლელო მატჩის პირველ ნახევარში ელიზბარაშვილმა მიითვალა.

გათამაშების ფინალისტის გამოსავლენად ამ წყვილშიც მესამე, გადამწყვეტი შეხვედრის გამართვა გახდა საჭირო. 6 ოქტომბერს ეს გუნდები ისევ კრასნოიარსკში ითამაშებენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

ინტერვიუ სოფიო შაფათავასთან

# დამიძახონ ნაკრებში და ვითამაშებ

**19 წლის სოფიო შაფათავა ნელ-ნელა წინ მიიწევს მსოფლიო რეიტინგში, მისი ტემპი დაახლოებით ორი ასეული ადგილია სეზონში. სოფიო ქართველთა შორის მესამე ადგილზეა ანა ტატიშვილისა და მაკა ჩახნაშვილის შემდეგ. დღესთვის ქართველი მსოფლიოს 277-ე ჩოგანია და მას გარანტირებული აქვს მორიგი წინსვლა – კარიერაში პირველად WTA-ს ტურნირის მერვედფინალში გავიდა და 15 სარეიტინგო ქულა მოიპოვა, რომელიც ორშაბათს დაერიცხება. სოფიომ ტაშკენტში ისასპარეზა 145-ათასიან ტურნირში, სადაც ფრანგი კინი ლაისნე დაამარცხა და მერვედფინალში წააგო პოლონელ ურსულა რადვანსკასთან. ქართველი ჩოგბურთელი თბილისში დაბრუნდა და მასთან გასაუბრებაც ამის შემდეგ შევძელით:**



**- პირველად WTA-ს ტურნირის ძირითად ბადეში თამაში, ალბათ, განსაკუთრებული გრძნობაა?**

- ის, რომ ჩემთვის პირველი სერიოზული ტურნირი იყო ძალზე მოქმედებდა, ვნერვიულობდი და პირველ ორ სეტში შებოჭილი ვთამაშობდი, შეცდომაც ბევრი დავუშვი. საბედნიეროდ, მესამე სეტისთვის შევძელი ძალების მოკრეფა და ჩვეულად ათამაშება, შესაბამისად - მოგებაც.

**- მერვედფინალში პოლონელ რადვანსკასთან დამარცხდით. როგორ ფიქრობთ, არ გქონდათ გამარჯვების შანსი?**

- როგორ არა, მოგების კარგი შანსი იყო – პირველ სეტში სულ წინ ვიყავი, 1:0, 2:1, 3:2, 4:3, 5:4. ბოლოსკენ მისი მოწოდების მოგების შანსიც გამიჩნდა, მაგრამ ვერ შევძელი. ამ მომენტიდან მატჩის სადავეები ხელიდან გავუშვი, მეორე სეტი კი გაცილებით უარესად ვითამაშე.

**- რადვანსკა ახალგაზრდებში პირველი ჩოგანი იყო, ამ ტურნირის შემდეგ ის უკვე ასეულში შევა. როგორ ფიქრობთ, მიაღწევს უფროსი დის დონეს?**

- ურსულა კარგი მოთამაშეა, ძალიან ნიჭიერი, მაგრამ მისი უფროსი და უფრო გაწონასწორებული ჩოგბურთელია, უნაკლო. ასე რომ, არა მგონია ურსულამ აგნიეშკას სიმაღლეს მიაღწიოს მსოფლიო ჩოგბურთში.

**- სამშობლოში დაბრუნდით. უახლოეს მომავალში რას გეგმავთ?**

- ახლა ერთი კვირით ვისვენებ ჩოგბურთისგან, შემდეგ კი ვიწყებ ვარჯიშს განახლებული ძალებით. ჩემთვის უახლოესი საერთაშორისო ტურნირი, ალბათ, პოლონეთის 100-ათასიანი იქნება.

**- ეგ ტურნირი როდის იმართება? გამოდის მცირე პაუზას იღებთ?**

- პოლონური ტურნირი ოქტომბრის ბოლოს გაიმართება. მართალი ბრძანდებით, ტურნირებს შორის მცირე პაუზა მექნება.

**- ხომ არ სჯობდა, ახლა სარეიტინგო ქულების დაგროვებაზე გეზრუნათ, ჯერ მოწინავე ორასეულში შეგეღწიათ და მერე დაგესვენათ?**

- ქულების დაგროვებას წლის ბოლომდე კიდევ მოვასწრებ, საკმაოდ ბევრი ტურნირია დარჩენილი. დასვენება კი ძალიან მჭირდება, რადგან გადაღლილი ვარ და ასი პროცენტით ვერ ვიხარჯები კორტზე. სჯობს ახლა დავისვენო და მერე განახლებული ძალებით შევუტიო მეტოქეებს. დამეთანხმებით, მთავარი ხარისხია და არა რაოდენობა.

**- წლეულს თქვენ მნიშვნელოვნად წაიწიეთ წინ რეიტინგში და ბევრისთვის მოულოდნელადაც. რითი ხსნით ამ პროგრესს?**

- ძალიან მონადინებული ვარ – ბევრს ვშრომობ, ვვარჯიშობ. ისიც კარგად ვიცი, რომ კიდევ მეტი მუშაობა მჭირდება საკუთარ თავზე. არ მივიჩნევ, რომ რაღაც განსაკუთრებული პროგრესი მაქვს კარიერაში – უბრალოდ, ნელ-ნელა სტაბილურად მივიწევ წინ და ვიმედოვნებ, რომ ეს პროგრესი კიდევ გაგრძელდება. ყოველი შემთხვევისთვის, ამისთვის ყველაფერს გავიღებ, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული.

**- წლის ბოლომდე რეიტინგში სადამდე აპირებთ ასვლას?**

- წლის ბოლომდე მინდა მოწინავე ორასეულის ჩოგბურთელად დავმკვიდრდე. ეს უკვე ძლიერ ტურნირებში თამაშის საშუალებას მომცემს, თუნდაც საკვალიფიკაციო ბადეში. იანვარში მინდა ავსტრალიის ღია პირველობაზე მოვხვდე, „დიდ სლემზე“ თამაში მსურს.

**- უფრო შორეულ გეგმებში რა გაქვთ?**

- WTA-ს ტურნირებში სტაბილურად თამაში, მსოფლიოს საუკეთესო ასეულში შესვლა და იქ რაც შეიძლება წინ წასვლა. მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ჩოგბურთელთა აბსოლუტურ უმრავლესობას სურს.

**- თბილისში სად ვარჯიშობთ და ვისთან, ტურნირებზე თუ დაგყვებიან მწვრთნელები?**

- დიღომში, „იან ჰომერის კლუბში“ ვვარჯიშობ, მარინა მალაციძესთან და მაია სხიერელთან. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ტურნირებზე მარტო დავდივარ, ჩოგბურთი ძვირი სიამოვნებაა, მე კიდევ სპონსორი არ მყავს, რაც ძალიან სასარგებლო იქნებოდა ჩემთვის და მეტის მიღწევასაც შევძლებდი.

**- ეროვნულ ნაკრებში არ თამაშობთ, არადა, რეიტინგით მესამე ჩოგანი ხართ..**

- ჯერ ჩემთვის ეროვნულ ნაკრებში თამაში არავის შემოუთავაზებია და თუ დამიძახებენ, რა თქმა უნდა, ვითამაშებ.

**- საოცარია პირდაპირ, თუ მომავალ წელსაც არ დაგიძახეს, მართლაც გაუგებარი იქნება**

- მე ვერაფერს ვილონებ - ჩოგბურთელის ნაკრებში გამოძახება ჩოგბურთის ფედერაციისა და ნაკრების მწვრთნელის ნებაა.

**- თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებად რას მიიჩნევთ ჩოგბურთში?**

- ძირითადად შემტევ ჩოგბურთს ვთამაშობ, ხშირად გავდივარ ბადესთან. ვცდილობ, მუდამ აქტიური ვიყო, რომ მოწინააღმდეგეს ინიციატივის ხელში ჩაგდება არ დავანებო. ეს ჩემი ძლიერი მხარეა. სისუსტედ კი არასტაბილურ თამაშს მივიჩნევ. ვმუშაობ საკუთარ თავზე და ვცდილობ ყველა ასპექტში მოვუმატო და უკეთესი ჩოგბურთელი გავხდე.

**- კორტის როგორი საფარი და „დიდი სლემის“ რომელი ტურნირი მოგწონთ?**

- კორტის საფარი „სწრაფი“ მომწონს, „დიდი სლემის“ ტურნირებიდან უპირატესობას ამერიკის ღია პირველობას ვანიჭებ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ტატიშვილი წინ მიიწევს

საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (188) კვლავ კარგად ათამაშდა. 18 წლის ქართველი, სავარაუდოდ, ისევ წაიწევს წინ რეიტინგში – ამის წინაპირობა ამერიკის ქალაქ ტროაში წარმატებული თამაშია. შეჯიბრების საპრიზო ფონდი 50 ათასი ამერიკული დოლარია, ანა განუთესავი იყო. პირველ წრეში მე-7 ნომრად განთესილი უკრაინელი **ტატიანა ლუჟანსკას** (177) გაგდების შემდეგ, ტატიშვილმა საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსული სლოვენიელი **პეტრა რამპრე** (392) დაამარცხა ორ სეტში – 6:1, 7:6 (9). მატჩის ბედი ტაი-ბრეიკში გადაწყდა, რომელიც მომქანცველი აღმოჩნდა – 11:9 ანას სასარგებლოდ.

ტროას ტურნირის მეოთხედფინალში ანა ტატიშვილის მეტოქე 18 წლის ხორვატი **ანა სავიჩია** (389). ეს შეხვედრა წუხელ, საქართველოს დროით გვიან ღამით გაიმართებოდა. ანამ **მედისონ ბრენგლთან** (აშშ) ერთად მოიგო წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალური მატჩი, ამერიკელების **ბრიტენი ოუგუსტინის** და **ჯენიფერ ელის** წინააღმდეგ – 6:7 (4), 6:2, 10:7. ნახევარფინალში მე-4 ნომრად განთესილ ქართულ-ამერიკულ დუეტს ასევე ინტერნაციონალური წყვილი, მეორე ნომრად განთესილი ამერიკელი **ანჯელა ჰეინესი** და ინდოელი **სუნიტა რაო**, შეხვდება.

ესპანურ ლეს ფრანკეს დელ ვალესში მიმდინარე ტურნირის (10 ათასი დოლარი) მერვედფინალში დამარცხდა 20 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (731). ჩვენებური მეორე ნომრად განთესილ იტალიელ **ელიზა ბალზამოს** (384) ხვდებოდა, 2:6, 1:2-ის შემდეგ ქართველმა ტრავმის გამო მატჩის დასრულება ვერ შეძლო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სეოკ. წინასაარჩევნო კამპანია

# ვეტერანებიც დაფასდებიან

სეოკ-ის არჩევნებამდე დიდი დრო აღარაა და სულ სამიოდ ფედერაციასთან შეხვედრა დარჩა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატ **გია ნაცვლიშვილს**. რატომღაც ასეთი აქტიურები სხვა კანდიდატები არ არიან - ან არ მიაჩნიათ საჭიროდ.

გუშინ ნაცვლიშვილი ვეტერან ოლიმპიელებს შეხვდა. ვეტერან ოლიმპიელთა კავშირს ბატონი **რომან რურუა** ხელმძღვანელობს. სათქმელი რომ ყველას და თანაც ბევრი ექნებოდა, რა გასაკვირი იყო - დღევანდელ საქართველოში უჭირთ ვეტერან სპორტსმენებსაც, მაგრამ არ ნებდებიან, პირიქით, სხვებს აძლევენ სიმტკიცის მაგალითს.

შეხვედრაზე მოვიდნენ **რაფაელ ჩიმიშკიანი, რობერტ შავლაყაძე, მზია ჯუღელი, ქეთევან ლოსაბერიძე, ვაჟა კაჭარავა, დიტო შანიძე, გურამ მინაშვილი,** ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **იური ოსიპოვი** და ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი **დავით კინწურაშვილი**.

თავიდან რომან რურუამ თქვა სათქმელი - სპორტს საოცრად უჭირს და ეგებ დაგვეხმაროთ ამ გასაჭირშიო, თანაც პრობლემათა გადაწყვეტის მისეული გზები დაუსახა სტუმარს. მერე კი პრეზიდენტობის კანდიდატმა თქვა ის, რასაც ყველა შეხვედრაზე ამბობს, მაგრამ აქცენტი ამჯერად ძირითადად იმ პრობლემებზე გააკეთა, რაც ვეტერანებს აწუხებთ. აღინიშნა, რომ ჯეროვნად არ ფასდება მათი ღვაწლი და თუკი გაიმარჯვებს, ყურადღება გაათკეცდება.

ისაუბრეს ქართული სპორტის მომავალზეც - პრობლემათა არსი ორივე მხარეს კარგად ესმის. ბატონი გიას ერუდიციამ მასპინძელთა დიდი მოწონება დაიმსახურა, - არც დაუმალავთ ჩემპიონებს სიმპათიები და კანდიდატს გვერდში დგომა აღუთქვეს.

**ზვიად შათირიშვილი**

# სპორტული სკივრი

## სპორტი და მმართველები



ეტლებით რბოლა რომის დიდ ცირკში. I საუკუნე, რომი

დასაწყისი ლელო, №88

**კარგი** სპორტული მომზადება ბევრ მონარქ-მხედართმთავრს საშუალებას აძლევდა არამარტო სასახლიდან ეხელმძღვანელა ბრძოლისთვის. **რამზეს II** საბრძოლო ეტლიდან განაგებდა ბრძოლას, ლამის 90 (!) წლის ასაკში. და ეს იმიტომ, რომ ყმაწვილობიდან ჩინებული მეეტლე და მოისარი იყო.

**ინგლისში** ყველა მონარქი **რიჩარდ ლომგულით** დაწყებული, **ჰენრიხ VIII**-ით დამთავრებული, უბადლო მოისარი იყო.

**დიდ მოგოლს აქბარს** ძალიან უყვარდა... სპილოებურთის თამაში (არის ასეთიც). თავად ძლიერი მოთამაშე იყო და ქვეშევრდომების ფრიად მკაცრი მწვრთნელიც. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ნაწყენი, საბრძოლო სულისკვეთების ასაღადგენად... მეტეში გაუგზავნია, რომელიც 4 000 კილომეტრით იყო დაშორებული დამარცხებულის სპორტულ მოედანს. თავისი მმართველობის ორიოჯერ კი მხოლოდ მაშინ დაამტკიცა ტახტზე, როდესაც მან სპილობურთის მოჯირითის ამპლუაში ტურნირი მოიგო. ამაზე იტყვიან - სპორტმა ტახტისკენ გზა გაუხსნაო!

**აი, რას სწერენ** საიდუმლო მოხსენებაში **პეტერბურგს** ქართლ-კახეთის მეფე **ერეკლე II** ბაგრატიონზე: „ასაკის მიუხედავად მეფე ირაკლი ჭკვიანია, ცბიერი და უბადლო მოჯირითე."

კრწანისის ომში 75 წლის მოხუცი, ხმლით ხელში, ცხენოსანთა ჩეხვაში იღებდა მონაწილეობას, სადაც მტერთა უდიდესი ნაწილი ასაკით შვილიშვილად (!) ეკუთვნოდა.

**პირველი ოლიმპიადა** 1896 წელს შემდეგნაირად გაიხსნა. 25 მარტს, აღდგომის მეორე დღეს, დღის 3 საათზე, ათენის 60 000-იანი მარმარილოს სტადიონზე, გენერალის მუნდირში გამოწყობილმა **მეფე გიორგიოსმა**, რომელიც საზეიმო ცერემონიის თავმჯდომარე გახლდათ, სიტყვა წარმოთქვა. მან აღნიშნა, რომ „პირველი საერთაშორისო ოლიმპიური თამაშები ხელს შეუწყობს ბერძენი ხალხის დანარჩენ მსოფლიოსთან დაახლოებას." მონარქმა სიტყვა შემდეგნაირად დაამთავრა: „გაუმარჯოს საბერძნეთს! გაუმარჯოს ერს!" საყურადღებოა შემდეგი - ოლიმპიადა საბერძნეთის დამპყრობლებისგან განთავისუფლების 150-ე წლისთავს დაამთხვიეს და სტადიონზე უმაღლესი რანგის სასულიერო პირებიც ბრძანდებოდნენ. თუმცა არც ისე დიდი ხნის წინ ბევრი მათგანი ოლიმპიურ შეჯიბრებებს კერპთაყვანისმცემლების გართობად მიიჩნევდა.

**ძველი საფეხბურთო** გადმოცემის მიხედვით ინგლის-შოტლანდიის მატჩის დროს, როდესაც სკოტებმა ინგლისელთა კარში ბურთი გაიტანეს, მონარქმა რეფერის უთხრა: „სერ, მე მგონი ბურთი ოფსაიდიდან გავიდა." მსაჯი მონარქის წინ მოიხარა. „თქვენო უდიდებულესობავ, მოედანზე მეფე მე გახლავართ." ისევ თავი დაუკრა გვირგვინოსანს მსაჯმა და მოედანზე გაბრუნდა.

**მოგეხსენებათ,** ჩოგბურთელები ყოველთვის სათანადო ფორმით თამაშობდნენ. გამონაკლისს რუსეთი წარმოადგენდა: კორტებზე სისტემატურად გამოდიოდა კაცი, რომელსაც ამხანის პოლკოვნიკის ფორმა ეცვა. ეს სპორტსმენი რუსეთის მეფე **ნიკოლოზ მეორე** იყო.

**საფეხბურთო** მწვრთნელის ფუნქციის შესრულება ფრონტზე ფრიად უჩვეულოა. ასეთი რამ იკისრა პირველი მსოფლიო ომის დროს, ცხენოსანთა დივიზიის მეთაურმა. ბრძოლების შემდეგ, შესვენებისას, იგი ფეხბურთის თამაშს ასწავლიდა მთელ ცხენოსნებს. ეს მწვრთნელი რუსეთის იმპერატორის ღვიძლი ძმა, დიდი მთავარი **მიხეილ ალექსანდრეს ძე რომანოვი** გახლდათ. მწვრთნელ-მხედრიდების გარჯის მიუხედავად, საქმე ცუდად დამთავრდა: ჯარმა ომი წააგო, რომანოვებმა კი, თავიც... ფეხბურთი ვისღა ახსოვდა!

**ფარიკაობის** კარგმა ცოდნამ, სიკვდილისგან იხსნა იუგოსლავიის მომავალი დიქტატორი **იოსიფ ბროზი** (შემდგომში **ტიტო**). პირველი მსოფლიო ომის დროს ავსტრია-უნგრეთის ჯარში ყოფნისას, ბრძოლაში, რუსთა „ველური დივიზიის" ცხენოსანმა შუბით დააპირა მისი განადგურება. ჭაბუკმა იოზიფმა, ხიშტის მარჯვე ილეთით შუბი უკუაგდო და ცოცხალი გადარჩა, თუმცა მაინც შეიპყრეს. ტყვეობაში კი იგი სოციალიზმის იდეებს ეზიარა.

**გაუგონარი** რამ მოხდა **ელისაბედ II**-ის მეუღლის **ჰერცოგ ედინბურგელის** ბრაზილიაში მოგზაურობის დროს. მაღალმა სტუმარმა მოისურვა ფეხბურთის მეფის **პელეს** ოსტატობის ხილვა. სასწრაფოდ ორგანიზებულ იქნა „სანტოსის" თამაში და თეთრმაისურიანი გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი საგანგებოდ... წითელი ფერის ფორმაში გამოაწყვეს - ჰერცოგს სხვაში რომ არ შეშლოდა.

**1934 წელს** იტალიელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ, **ბენიტო მუსოლინის** არ მოეწონა... ჟიულ რიმეს თასი. მატჩის შემდეგ მან მოგებულებს გადასცა ახალი ჯილდო - უფრო დიდი და მძიმე. ბევრმა „ტიფოზიმ" თასი თავად დუჩეს მიამსგავსა...

**თურმე** ირანის შაჰს **მუჰამედ რეზა ფეჰლევისაც** უყვარდა ფეხბურთის თამაში. ოღონდ თამაშისას მისი მოწინააღმდეგე-ქვეშევრდომნი ბურთისთვის ბრძოლისას მბრძანებელთან... კონტაქტში არ შედიოდნენ.

**მოსკოვის** ოლიმპიადის პროგრამაში უნდა შეეტანათ სამბო (მოგეხსენებათ მასში ილეთების ძალიან დიდი რაოდენობა ქართული ჭიდაობიდანაა ნასესხები), მაგრამ ყველაფერი ჩაშალა... **ინდირა განდიმ**. ინდოეთის ლიდერმა **ბრეჟნევს** თხოვნით მიმართა, ქალთა ბალახის ჰოკეის მივხედოთო. ლიონია დაფიქრდა და... სამბო პროგრამიდან გაქრა.

**არგენტინაში** თამაშობდა გუნდი, რომლის შემადგენლობაში გახლდათ ფეხბურთელი **მენემი**. მერე რა მოხდაო? იტყვის მავანი, ეგეც მარადონა იყო! მარადონა არა, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტი ნამდვილად იყო!

**საფეხბურთო** მოედნის ხელოვნური საფარი დღეს ჩვეულებრივი ამბავია. არადა, გასული საუკუნის 30-იან წლებშიც უთამაშიათ ფეხბურთი ხელოვნურ მინდორზე. თანაც სად... წითელ მოედანზე, მოსკოვში. მშრომელთა ტრადიციული დემონსტრაციის დროს **სტალინის** საამებლად კრემლის წინ გაუშლიათ ფეხბურთელთა ნოხი-საფარი-საფეხბურთო მოედანი. ბელადს თამაში იმდენად მოსწონებია, ნაცვლად 10 წუთისა ფეხბურთი ნახევარ საათს გაგრძელებულა...

**გავრცელებული** აზრი იმის შესახებ, რომ სტალინი არასპორტული პიროვნება იყო, უარყვეს სპორტის სპეციალისტებმა. მათი აზრით, სათანადო ფიზიკური კონდიციების არმქონე ადამიანი კურეიკის კატორღიდან თხილამურებით გაქცევას, თანაც სტრაჟნიკების დევნის პირობებში, ვერ მოახერხებდა.

*გაგრძელება იქნება*

**ალექსანდრე ჯინორია**

### იყო ასეთი შემთხვევა

„თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელია ე.წ. „ანთროპოლოგიური დღეები", რომლის ორგანიზატორებიც ამერიკელები იყვნენ. 1904 წელს სანტ-ლუისის თამაშებში ამერიკელმა რასისტებმა სცადეს ცალკე შეჯიბრებების მოწყობა ფერადკანიანი სპორტსმენებისთვის. მაგრამ პიერ დე კუბერტენის კატეგორიული პროტესტის შედეგად რასისტების ცდა ჩაიფუშა."

*ნ. გუგუშვილის წიგნიდან „ოლიმპიური ემბლემით სამყაროს გარშემო".*

### კვიმატი ობიექტივი



### ოქტომბერი მსოფლიო სპორტის ისტორიაში

**6 ოქტომბერი. 1978 წელი.** 30 წლის წინათ, თბილისში, ცენტრალურ ველოდრომზე დამყარდა ახალი მსოფლიო რეკორდი ქალთათვის 500 მ-ზე ჰიტში სვლით. რუსეთელმა **გალინა ცარიოვამ** ეს მანძილი 31,70 წამში დაფარა.

**7 ოქტომბერი. 1973 წელი.** ამ დღეს კარიერა დაასრულა შოტლანდიელმა **ჯეკი სტიუარტმა**. წასვლის შესახებ მან ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონის წოდების მესამედ მოპოვებისთანავე განაცხადა.

**8 ოქტომბერი. 1965 წელი.** საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მადრიდში გამართულ სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება 1968 წლიდან ოლიმპიურ თამაშებში გერმანიის ფედერაციული და დემოკრატიული რესპუბლიკების დელეგაციების ცალ-ცალკე მონაწილეობის შესახებ.

**8 ოქტომბერი. 1954 წელი.** ამ დღეს ვენაში **რაფაელ ჩიმიშკიანმა** საქართველოდან პირველმა მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ძალოსნობაში.

**8 ოქტომბერი. 1900 წელი.** „დევისის თასის" გათამაშების პირველ მატჩში ამერიკელმა ჩოგბურთელებმა მშრალი ანგარიშით 3:0 დაამარცხეს დიდი ბრიტანეთის ნაკრები.

**9 ოქტომბერი. 1978 წელი.** უიმბლდონის ტურნირი მესამედ მოიგო **ბიორნ ბორგმა**. იმავე დღეს ქალებში პირველად იზეიმა ჩემპიონობა **მარტინა ნავრატილოვამ**.

**9 ოქტომბერი. 1991 წელი.** პირველად ამ დღეს, იაპონური სუმოს 1500-წლიან ისტრიაში, სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრება ჩატარდა იაპონიის ფარგლებს გარეთ. ტურნირი, ლონდონში უძლიერესი სუმისტების მონაწილეობით, 5 დღე გაგრძელდა „როიალ ალბერტ ჰოლში".

**10 ოქტომბერი. 1991 წელი.** ამ დღეს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე, ქართველი მთამსვლელებიდან, ფეხი პირველმა შედგა **რომა გიუტაშვილმა**.

### ვიქტორინა

**ექლვნება ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებს**

1. რომელ წელს ჩატარდა ტოკიოს ოლიმპიური თამაშები?

ა - 1960 წელს
ბ - 1964 წელს
გ - 1968 წელს

2. რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა საქართველოდან თამაშებში სსრკ დელეგაციის შემადგენლობაში?

ა - 14
ბ - 16
გ - 18

3. ვინ გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები ტოკიოში საქართველოდან?

ა - ნუგზარ ასათიანი და ვაჟა კაჭარავა
ბ - რომან რურუა და ნუგზარ ასათიანი
გ - არც ერთი

4. რამდენი მეორე და მესამე პრიზიორი გვყავდა ტოკიოში?

ა - 3 და 6
ბ - 4 და 5
გ - 5 და 3

5. რომელმა ქვეყანამ მოიპოვა ყველაზე მეტი ოქროს მედალი ტოკიოში?

ა - აშშ-მა
ბ - სსრკ კავშირმა
გ - იაპონიამ

პასუხები: 1-ბ, 2-3, 3-ა, 4-ბ, 5-1

ფორმულა 1

## ალონსო რენოში დარჩება

„რენოს“ მთავარმა ინჟინერმა დენის ჩევრიერმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო**, სავარაუდოდ, მომავალ სეზონშიც „რენოს“ ბოლიდით იასპარეზებს.

*„75 პროცენტია იმის შანსი, რომ ალონსო სხვა გუნდში არ გადავა და კონტრაქტით გათვალისწინებულ კიდევ ერთ სეზონს „რენოში“ გაატარებს. ესპანელი პილოტი წელს ბრწყინვალედ ასპარეზობს. ფორმულა 1-ში ასეთი ავტომრბოლეები ერთეულები არიან. ამიტომაც მინდა, რომ გაისად ის ჩვენს რიგებში იყოს“*, - აცხადებს ჩევრიერი.

გოლფი

## ვუდსი 18 თვე ვერ ითამაშებს

ამერიკელმა გოლფისტმა **ტაიგერ ვუდსმა** განაცხადა, რომ უახლოესი 18 თვის განმავლობაში პროფესიულ ტურნირებში მონაწილეობას არ მიიღებს.

*„მუხლზე ოპერაციის შემდეგ აღდგენითი პროცესი თითქმის ორი წელი გაგრძელდება. არ მინდა პროცესის ხელოვნურად დაჩქარება. სავარაუდოდ, იანვარში მსუბუქ ვარჯიშებს დავიწყებ. დასანანი იყო ამ მომენტში ასეთი ტრავმის მიღება, რადგან ოპერაციამდე ჩემს კარიერაში საუკეთესო გოლფს ვაჩვენებდი“*, - ამბობს ვუდსი.

ჰოკეი

## ჩელიოსი რეგულარულის სტარტს გამოტოვებს

დღეს ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალი რეგულარული სეზონი იწყება. გუნდები მზად არიან შვიდთვიანი მარათონის გასავლელად, თუმცა ზოგიერთი ჰოკეისტი ტრავმის გამო დააკლდება ახალი სეზონის სტარტს.

ერთ-ერთი მათგანია „დეტროიტ რედ უინგზის“ 46 წლის ვეტერანი **კრის ჩელიოსი**. ამ მცველმა „მონრეალთან“ საწვრთნელი შეხვედრა ვერ დაასრულა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლიგის ყველაზე ხანდაზმულ ჰოკეისტს ფეხი აქვს დაზიანებული და ჯერჯერობით უცნობია, როდის დაუბრუნდება ყინულს.

შეგახსენებთ, რომ ჩელიოსმა სექტემბერში ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა სტენლის თასის მფლობელთან.

ოლიმპიზმი

## ბილეთები იყიდება

დღეიდან ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი ბილეთების რეალიზაციას იწყებს. ნავარაუდევია 1.6 მილიონი ბილეთის გაყიდვა - ეს საერთო რიცხვის დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენს. სხვადასხვა სტარტზე ყველაზე იაფი ბილეთი 25 ამერიკული დოლარი ეღირება, ყველაზე ძვირი (გახსნის ცერემონიაზე) - 1100 დოლარი.

საორგანიზაციო კომიტეტმა სერიოზული ბრძოლა გამოუცხადა, ე. წ. „შავ ბაზარს“ და ამ მიზნით რეალიზაციის სპეციალური სქემა შეიმუშავა: ოთხიდან შვიდ ოქტომბრამდე, ვებგვერდ vancouver2010.com-ზე ბილეთების მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყება. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტენ ორგანიზატორები, დააკმაყოფილონ თუ არა ესა თუ ის მოთხოვნა. თუ „ლეგიტიმური“ განაცხადი 1.6 მილიონზე მეტი აღმოჩნდება, ბილეთების მფლობელები სპეციალური ლატარიის მეშვეობით გამოვლინდებიან. პრეტენდენტები ნოემბრის ბოლოს - დეკემბრის დასაწყისში გაიგებენ, დაკმაყოფილდა თუ არა მათი განაცხადი.

რაც შეეხება ბილეთების დარჩენილ 30 პროცენტს, მისი მფლობელები ე. წ. ოლიმპიური ოჯახის წევრები გახდებიან - სპონსორები, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხვა პარტნიორები და აგრეთვე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები.

## ალმატი ოლიმპიადისთვის ემზადება

ყაზახეთის ქალაქი ალმატი 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობაზე აპირებს ოფიციალური განაცხადის შეტანას. ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნის მთავრობამ უნდა მიიღოს, მაგრამ ყაზახეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას ეჭვი არ ეპარება, რომ მთავრობა პროექტს მხარს დაუჭერს.

აქვე შეგახსენებთ, რომ 2011 წელს, ალმატი ასტანასთან ერთად აზიის ზამთრის თამაშებს უმასპინძლებს.

ველოსპორტი

## რიკო ორი წლით დაისაჯა

იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა ველომრბოლი **რიკარდო რიკო**. ეს სპორტსმენი დოპინგზე წლევანდელი ტურ დე ფრანსის დროს გამოიჭირეს. მას ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის, ერითროპოეტინის კვალი აღმოაჩნდა.

ვარაუდობდნენ, რომ რიკოს მხრიდან აღიარებითი ჩვენების გათვალისწინებით, სასჯელის ხანგრძლივობა 20 თვემდე დაიკლებდა, მაგრამ ოლიმპიურმა კომიტეტმა ველომრბოლის მიმართ შეღავათის გაკეთება საჭიროდ არ ჩათვალა.

კალათბურთი

## დიკაუ მეომარი გახდა

„გოლდენ სტეიტ უორიორზმა“ ვეტერან ფორვარდთან **დენ დიკაუსთან** გააფორმა კონტრაქტი. ამერიკელი კალათბურთელი ახალი სეზონისთვის იტალიის „აველინოში“ ემზადებოდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ, კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით კონტრაქტი გაწყვიტა.

დიკაუ 2002 წლის დრაფტზე „საკრამენტომ“ 28-ე ნომრად აირჩია. მას შემდეგ, ფორვარდმა NBA-ში რვა კლუბი გამოიცვალა. ბოლო სეზონში ის „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ ღირსებას იცავდა და 67 მატჩში დიკაუს საშუალო მონაგარმა 5.3 ქულა, 2.6 პასი და 1.4 მოხსნა შეადგინა.

ჩოგბურთი

## გერმანიამ შემადგენლობა დაასახელა

ტრადიციისამებრ, ჩოგბურთში ახალი სეზონი ჰოფმანის თასის გათამაშებით იხსნება. ეს არის გუნდური ტურნირი, რომელშიც ნაკრებები თითო ქალი და მამაკაცი ჩოგბურთელებით არიან დაკომპლექტებულნი.

2009 წელს ჰოფმანის თასი ავსტრალიაში 3 იანვარს დაიწყება. ტურნირის ერთ-ერთმა მონაწილემ გერმანიის ნაკრებმა გუშინ დაასახელა შემადგენლობა - საპატიო პრიზისთვის ვეტერანი **ნიკოლას კიფერი** და გერმანული ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული, 19 წლის **საბინ ლისიცკი** იბრძოლებენ.

უფრო ადრე, ჰოფმანის თასისთვის შემადგენლობები სხვა გუნდებმაც დაასახელეს. ფრანგებს **ალიზ კორნე** და **ჟილ სიმონი** წარმოადგენენ, მასპინძელ ავსტრალიას - **კეისი დელაკუა** და **ლეიტონ ჰიუიტი**, რუსებს - და-ძმა **მარატ** და **დინარა საფინები**.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ჰოფმანის თასის მფლობელი ამერიკა გახდა, რომლის შემადგენლობაშიც **სერენა უილიამსი** და **მარდი ფიში** თამაშობდნენ. ფინალში მათ სერბების წყვილი - **ელენა იანკოვიჩი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დაამარცხეს.

კრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ოქტომბრის მთავარი ბრძოლები

# აბრაჰამი, კლიჩკო, პავლიკი...

**ოქტომბერში კრივის მოყვარულებს საკმაოდ ბევრი საინტერესო ბრძოლა ელით, მაგრამ ამათგან ჩვენ ოთხი შეხვედრა გამოვარჩიეთ, რომელთა შედეგებიც სერიოზულ ძალთა გადანაწილებას გამოიწვევს პროფესიული კრივის სამყაროში.**

### არტურ აბრაჰამი VS რაულ მარკესი
4 ოქტომბერი. ბამბერგი (გერმანია)

**ედისონ მირანდასთან** მატჩ-რევანშის შემდეგ (რომელიც სატიტულო ბრძოლად არ ითვლებოდა), სომხური წარმოშობის გერმანელი **არტურ აბრაჰამი** მერვედ შეეცდება 72.6 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში IBF-ის ტიტულის დაცვას. მისი მეტოქე რინგის ვეტერანი, ჯერ კიდევ 90-იან წლებში პირველ საშუალო წონაში გაჩემპიონებული **რაულ მარკესი** (აშშ) იქნება.

არავის ეპარება ეჭვი, რომ აბრაჰამი პროფესიული კრივიდან წასულ და შემდეგ დაბრუნებულ მარკესს დაამარცხებს. გერმანელისთვის ერთადერთი პრობლემა ის შეიძლება გახდეს, რომ მას დიდი ხანია არ უჩხუბია ცაცია მეტოქესთან. უკანასკნელად მემარცხენე მოწინააღმდეგე 2005 წლის თებერვალში, კანადელი **იან გარდნერის** სახით ჰყავდა. მაშინ არტური დიდი გაჭირვებით შეეგუა მეტოქის სტილს, მაგრამ, როცა სიტუაციას მოერგო, ორჯერ ნოკდაუნში გაგზავნა კანადელი. ასე რომ, მარკესსაც აუღებს ალღოს.

ვარაუდობენ, რომ ამ იოლი ბრძოლის შემდეგ, აბრაჰამის გუნდი უფრო სერიოზულ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის ორგანიზებაზე დაიწყებს ზრუნვას. აქ იგულისხმება **ვინკი რაიტის** ან **კელი პავლიკის** დონის მეტოქეები.

### ვიტალი კლიჩკო VS სამუელ პიტერი
11 ოქტომბერი. ბერლინი (გერმანია)

ტრავმებით გამოწვეული ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, **ვიტალი კლიჩკო** კიდევ ერთხელ ეცდება დიდ კრივში დაბრუნებას. ნიგერიელი **სამუელ პიტერისთვის** ეს არის სუპერმძიმე წონაში WBC-ის ტიტულის პირველი დაცვა. მან საჩემპიონო ქამარი ამა წლის მარტში, რუსი **ოლეგ მასკაევის** ტექნიკური ნოკაუტით დამარცხების შემდეგ მოიპოვა.

2005 წელს, ნიგერიელმა ქულებით წააგო ვიტალის ძმასთან - **ვლადიმერ კლიჩკოსთან** და ახლა უკრაინელთა ოჯახზე ერთგვარი რევანშის აღებას ეცდება. ბუკმეიკერების აზრით, შანსები თითქმის თანაბარია, მხოლოდ ოდნავი უპირატესობა აქვს უკრაინელ მოკრივეს. მთავარია, ბრძოლა კიდევ ერთხელ არ ჩაიშალოს.

### ანტონიო ტარვერი VS ჩედ დოუსონი
11 ოქტომბერი. ლას-ვეგასი (აშშ)

79,4 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში IBF-ის ჩემპიონი, ამერიკელი **ანტონიო ტარვერი** შეეცდება, კარიერაში პირველი მარცხი აგემოს თანამემამულე **ჩედ დოუსონს**.

პრაქტიკულად, ეს არის ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლა, რადგან დოუსონი ცოტა ხნის წინ, WBC-ის ვერსიით საჩემპიონო ქამარს ფლობდა. მან ეს ტიტული მაშინ დაკარგა, როცა კანადაში რუმინელი **ადრიან დიაკონის** წინააღმდეგ ჩხუბი არ მოისურვა. საბოლოოდ, ჩემპიონად დიაკონი დაასახელეს, დოუსონი კი ფორმალურად აღარ ითვლება ტიტულის მატარებლად.

ცხადია, რომ ჩედმა ნაკლებად ცნობილ რუმინელთან ბრძოლას ვარსკვლავურ ვეტერანთან შერკინება ამჯობინა. კრივის მოყვარულები ტარვერს **როი ჯონსთან** სამი ბრძოლით იცნობენ. ტარვერმა IBF-ის ტიტული გასულ წელს, ბრიტანელ **კლინტონ ვუდსთან** შეხვედრაში მოიპოვა.

ბუკმეიკერები ამ ბრძოლაში დოუსონს ანიჭებენ უპირატესობას - მისი კოეფიციენტი 3.0-ს შეადგენს.

### კელი პავლიკი VS ბერნარდ ჰოპკინსი
18 ოქტომბერი. ატლანტიკ-სიტი (აშშ)

ეს არის არასატიტულო ბრძოლა, რომელშიც საშუალო წონაში WBC-ისა და WBO-ის ამერიკელი ჩემპიონი **კელი პავლიკი** თავის უკვდავ თანამემამულე **ბერნარდ ჰოპკინსს** დაუპირისპირდება.

43 წლის ჰოპკინსი 72,6 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი 1995 წელს გახდა და უკვე მაშინ 30 წლის იყო. მას შემდეგ, ამერიკელმა 20-ჯერ დაიცვა ტიტული და ის მხოლოდ იმიტომ დაკარგა, რომ მსაჯებმა გადაწყვიტეს, ახალგაზრდა **ჯერმეინ ტეილორისთვის** გაეხსნათ გზა. ასევე არადამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ჰოპკინსზე 76,2-კილოგრამამდე წონითი კატეგორიის მეფემ, ბრიტანელმა **ჯო კალზაგემ**.

18 ოქტომბერს დანიშნული ბრძოლისთვის საშუალოწონოსან პავლიკს ნახევრად მძიმე წონაში გადასვლა მოუწევს. ამ ამერიკელმა ვარსკვლავური სტატუსი ჰოპკინსის მძლეველ ჯერმეინ ტეილორის ორჯერ დამარცხებით მოიპოვა.

ბუკმეიკერების ფავორიტი პავლიკია - მასზე ფსონის დამდებს თანხა გაუოთხმაგდება.

ბრძოლის ორგანიზატორია ორი დიდი პრომოუტერული კომპანია - **ბობ არუმის** Top Rank და **ოსკარ დე ლა ჰოიას** Golden Boy Promotions. როგორც გითხარით, ბრძოლა არასატიტულოა და კომერციული მიზნებით ტარდება. ორი ვარსკვლავის დაპირისპირება ტელეარხ HBO-ზე ფასიანი ტელევიზიის სისტემით გადაიცემა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# სამართალი 100 წლის შემდეგ

ამერიკის წარმომადგენლობითმა პალატამ ხმათა უმრავლესობით გააუქმა სასამართლოს განაჩენი, რომელიც 1913 წელს, მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონ **ჯეკ ჯონსონის** წინააღმდეგ იქნა გამოტანილი. თავის დროზე, კრივის ისტორიაში პირველი აფროამერიკელი ჩემპიონი „ამორალური მიზნით“ საზღვარზე თეთრკანიანი ქალბატონის გადაყვანისთვის გაასამართლეს და ერთი წლით ციხეში ჩასვეს.

საკითხი განსახილველად კონგრესმენმა **პიტერ კინგმა** გამოიტანა. მისი აზრით, ეს განაჩენი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ უნდა გაუქმებულიყო: *„ყველამ ვიცით, რომ ჯეკ ჯონსონს უსამართლოდ მოექცნენ. ის მხოლოდ იმ მიზეზით გაასამართლეს, რომ აფროამერიკელი იყო. ჯეკი იმ დროის მსხვერპლია და დროა, მისი სახელის რეაბილიტაცია მოვახდინოთ“*.




განაჩენის გასაუქმებლად წარმომადგენლობითი პალატის გადაწყვეტილებას მხარი ამერიკის სენატმა უნდა დაუჭიროს, საბოლოო სიტყვა კი ქვეყნის პრეზიდენტს ეკუთვნის.

თუ გადაწყვეტილება დადებითი იქნება, ჯონსონი მეორე ადამიანი გახდება ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, რომელსაც განაჩენს სიკვდილის შემდეგ გაუუქმებენ. ჯეკ ჯონსონის გამართლების ინიციატორი პირველ საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი **ვერნონ ფორესტი** გახლავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# ლენსმა შანსი არ გამოიყენა

ლეგენდარულმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** უარი განაცხადა იმ დოპინგტესტების ხელახლა შემოწმებაზე, რომელიც მან 1999 წლის ტურ დე ფრანსის დროს ჩააბარა. ანალიზების ხელმეორედ გამოკვლევის ინიციატორი საფრანგეთის ანტისადოპინგო სააგენტო იყო. მან შესთავაზა სპორტსმენს გაექარწყლებინა ჭორები იმის შესახებ, რომ ცხრა წლის წინ, არმსტრონგის ექვსმა დოპინგტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა.

*„სამი წლის წინ დამოუკიდებელი კომისია შეიქმნა, რომელმაც 1998 და 1999 წლებში ჩემი დოპინგტესტები შეამოწმა. მან დაასკვნა, რომ ანალიზები საიმედოდ არ იყო შენახული და დაინტერესებულ პირებს თავისუფლად შეეძლოთ ამ ტესტების შედეგების გაყალბება. კომისიამ ისიც განაცხადა, რომ სხვა წესებიც უხეშად იყო დარღვეული. ამიტომაც მსგავსი შემოწმების ხელახლა ჩატარებაზე თანხმობას არ ვიძლევი“*, - განუცხადა სააგენტო „როიტერს“ ლენს არმსტრონგმა.

ამერიკელი ველომრბოლის უარს მაშინვე გამოეხმაურა საფრანგეთის ანტისადოპინგო სააგენტოს თავმჯდომარე **პიერ ბორდრი**. ის თვლის, რომ ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი უნდა დათანხმებულიყო 1999 წლის ანალიზების შემოწმებას.

*„არმსტრონგს შეეძლო პასუხი გაეცა იმ კრიტიკოსებისთვის, რომლებიც მას აკრძალული პრეპარატების მიღებაში ადანაშაულებენ. თუ მაშინდელი ტესტები „სუფთა“ აღმოჩნდებოდა, ველარავინ გაბედავდა ლენსის პატიოსან გამარჯვებებში ეჭვის შეტანას. მაგრამ მან უარი განაცხადა და ეს მისი პრობლემაა“*, - მოჰყავს ბორდრის სიტყვები ტელეკომპანია BBC-ის.



# ოპერასიონ პუერტა დაიხურა

ესპანეთში გახმაურებული დოპინგსკანდალი - „ოპერასიონ პუერტა“ დასრულდა. მადრიდულმა სასამართლომ საქმე ისე დახურა, რომ ვერც ერთ სპორტსმენს ვერ დაუმტკიცა დოპინგის მიღების ფაქტი, შესაბამისად, ეჭვმიტანილი ველომრბოლისთვის განაჩენი არ გამოუტანია.

თავდაპირველად ეს საქმე 2007 წლის მარტში დაიხურა, მაგრამ თებერვალში სასამართლომ გამოძიება განაგრძო, რადგან საქმეში მონაწილე ექიმები ჯანმრთელობისთვის საზიანო მოქმედებაში დაადანაშაულეს.

თუმცა ესპანეთის ტოქსიკოლოგიურმა ინსტიტუტმა ვერ მოახერხა იმის დამტკიცება, რომ ექიმებს ველომრბოლელთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება შეეძლოთ. ამის შემდეგ, მოსამართლე **ანტონიო სერანომ** პროცესი შეაჩერა, რადგან გამოძიებას საკმარისი მტკიცებულებები არ აღმოაჩნდა კონკრეტული ბრალდებების გამოსატანად.

თავის დროზე, 99 ანალიზიდან რვაში აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატი - ერითროპოეტინი. მაგრამ გამოძიების დაწყების მომენტიდან (2006 წლის მაისი), ესპანეთის კანონმდებლობა ამ პრეპარატის გამოყენებისთვის არანაირ სასჯელს არ ითვალისწინებდა. „ოპერასიონ პუერტას“ ეგიდით მადრიდისა და სარაგოსას კლინიკებში განხორციელებული რეიდებისას აკრძალული პრეპარატები, სისხლის გადასხმის სისტემები და 200-მდე დაკონსერვებული სისხლის ნიმუში იპოვეს. თითოეულს კოდირებული სახელები ჰქონდა მიწერილი, რომელთაგანაც, სავარაუდოდ, რამდენიმე ცნობილი ველომრბოლის გვარსა და სახელს შეესაბამებოდა.

ესპანური პოლიციის მონაცემებით, საქმეში დაახლოებით 50 ველომრბოლი გადიოდა, მათ შორის ტურ დე ფრანსის ტრიუმფატორი **იან ულრიხი**, ვუელტას გამარჯვებული **რობერტო ერასი** და ჯირო დ'იტალიას ჩემპიონი **ივან ბასო**.

დოპინგი

# როგე კმაყოფილია

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პეკინის ოლიმპიადაზე დოპინგთან ბრძოლის შედეგები შეაჯამა.

*„მას შემდეგ, რაც პეკინში დოპინგის მიღების რვა შემთხვევა დაფიქსირდა, ჩვენი ორგანიზაციის მიმართ ნდობა უფრო მეტად გაიზარდა. კიდევ სამი დოპინგტესტი გამოკვლევის პროცესშია. გარდა ამისა, ოთხ ცხენს აღმოაჩნდა სისხლში აკრძალული პრეპარატი. ჯამში დოპინგის მიღების 15 შემთხვევა გამოდის, ჩვენ კი ოლიმპიადამდე დაახლოებით 30-40 სკანდალს ველოდით. ასე რომ, თამამად შეიძლება თქვა - დოპინგის წინააღმდეგ ჩვენმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. სპორტსმენებს სულ უფრო უჭირთ აკრძალული პრეპარატების მიღება.*

*დოპინგი სპორტიდან არასოდეს გაქრება, ისევე როგორც, დანაშაული არ აღმოიფხვრება საზოგადოებაში. ყველგან არის საჭირო პოლიცია, კანონი და ციხე. ასეა დოპინგიც. ჩვენ ვებრძვით მას და გვინდა, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ მისი მიღების ფაქტები“*, - ამბობს ჟაკ როგე.

სულ პეკინში 4500 დოპინგტესტი ჩატარდა. ოლიმპიადის წინ დაახლოებით 40 სპორტსმენს არ დართეს პეკინში გამგზავრების უფლება.

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

| I ლიგა | |
|---|---|
| ჰარტლპული-სუინდონი | 3:3 |
| სტოკპორტი-ოლდჰემი | 3:1 |

### იტალია

| სერია B | |
|---|---|
| ბარი-მანტოვა | 1:0 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| არმინია-კარლსრუე | 1:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფრაიბურგი-დუისბურგი | 2:0 |
| აინტრახტი-მიუნხენი | 0:3 |
| ობერჰაუზენი-აუგსბურგი | 2:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| შტუტგარტი A-პადერბორნი | 1:2 |
| ვუპერტალი-კარლ ცაისი | 0:1 |

### საფრანგეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| აიაჩო-ლანსი | 1:2 |
| ამიენი-ვანი | 0:2 |
| ანჟერსი-ტრუა | 0:0 |
| გინგამი-კლერმონი | 2:1 |
| რეიმსი-დიჟონი | 1:4 |
| ტური-ბრესტი | 2:0 |
| ბულონი-შატორუ | 2:1 |
| მეცი-სედანი | 2:0 |
| მონპელიე-ბასტია | 2:1 |

### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ალკმაარი-სპარტა | 6:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ჰაარლემი | 3:2 |
| ემენი-ომნივორლდი | 2:1 |
| ექსელსიორი-დენ ბოში | 2:1 |
| ჰელმონდი-ფორტუნა | 2:2 |
| მაასტრიხტი-ვეენდამი | 1:2 |
| როსენდალი-ვენლო | 1:4 |
| ვაალვიკი-აპელდორნი | 3:1 |
| ტელსტარი-ეინდჰოვენი A | 1:1 |
| ტოპ ოსი-დორდრეხტი | 0:0 |

### ბელგია

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-მუსკრონი | 2:1 |

### ავსტრია

| | |
|---|---|
| რიდი-მატერსბურგი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-სტ. პოლტენი | 1:3 |
| ტიროლი-ფოკლაბრუკი | 2:1 |
| ლეობენი-ლუსტენაუ | 3:2 |
| ზალცბურგი A-ავსტრია A | 3:4 |
| გრიოდიგი-გრატკორნი | 3:2 |

### შვეიცარია

| ჩელენჯლიგა | |
|---|---|
| კონკორდია-ვოლენი | 3:2 |

### ირლანდია

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-ბრეი | 2:1 |
| ფინ ჰარპსი-სტ. პატსი | 0:1 |
| დერი-სლიგო | 1:1 |
| გალვეი-კორკი | 3:2 |
| უნივერსიტი-დროგედა | 1:0 |

### ჩეხეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| დუკლა-ოლომოუცი | 1:0 |
| იჰლავა-მოსტი | 1:0 |

### უკრაინა

| | |
|---|---|
| არსენალი-დნიპრო | 0:1 |
| მეტალურგი (დ)-ილიჩივეცი | 2:0 |

### პოლონეთი

| | |
|---|---|
| იაგელონია-შლიონსკი | 2:2 |
| არკა-ლეხია | 0:1 |
| კრაკოვია-პოლონია (ბ) | 0:1 |

### უნგრეთი

| | |
|---|---|
| შიოფოკი-ჰონვედი | 0:1 |

### რუმინეთი

| | |
|---|---|
| გაზ მეთანი-გლორია (ბუზ) | 2:0 |
| არჯესი-უნივერსიტატეა | 1:1 |

### ბულგარეთი

| | |
|---|---|
| ლოკომოტ. (პ)-ლოკომოტ. (ს) | 3:2 |

## კალათბურთი

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ნანსი-ვილერბანი | 76:73 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ატლანტი | 3:3 |
| აკ ბარსი-ამური | 4:2 |
| დინამო (მნ)-დინამო (მ) | 0:2 |
| ლადა-სიბირი | 2:2 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (ნ) | 3:2 |
| ხიმიკი-მვდ | 1:3 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| აისბარგენი-ვოლფსბურგი | 6:2 |
| ჰამბურგი-შტრაუბინგი | 5:2 |
| იზერლონი-დიუსელდორფი | 1:3 |
| კასელი-დუისბურგი | 2:3 |
| კიოლნი-კრეფელდი | 1:6 |
| ნიურნბერგი-მანჰაიმი | 4:3 |
| ფრანქფურტი-ჰანოვერი | 2:2 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| კეჟმაროკი-სლოვაკეთი (U20) | 4:5 |
| კოშიცე-პოპრადი | 4:2 |
| მარტინი-ჟილინა | 3:3 |
| ნიტრა-ზვოლენი | 2:4 |
| ტრენჩინი-სკალიცა | 4:1 |
| სლოვანი-მიკულაში | 8:1 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| ილვესი-ტპს | 4:1 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-სლავია | 3:3 |
| ზნოიმო-პლზენი | 3:2 |
| კლადნო-ვიტკოვიცე | 2:3 |
| ბუდეიოვიცე-ბოლესლავი | 2:4 |
| პარდუბიცე-ულინი | 4:2 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ამბრი-რაპერსვილი | 1:3 |
| ბერნი-ლუგანო | 2:5 |
| დავოსი-ბილი | 6:6 |
| ჟენევა-კლოტენი | 4:3 |
| ცუგი-ფრიბურგი | 6:4 |
| ციურიხი-ლანგნაუ | 5:1 |

## ჩოგბურთი

### ATP. მეცი

| | |
|---|---|
| შტეპანეკი-შვანკი | 3:6, 7:6, 6:4 |
| ჟიკელი-მანარინო | 4:6, 6:7 |
| ტურსუნოვი-მოია | 6:3, 6:3 |
| მატიო-ტიპსარევიჩი | 7:6, 6:3 |

### ATP. ტოკიო

| | |
|---|---|
| დელ პოტრო-ფერერი | 6:1, 7:5 |
| გასკე-შუტლერი | 6:3, 6:2 |
| როდიკი-ტროიცკი | 6:3, 6:4 |
| ბერდიხი-გონსალესი | 6:0, 6:4 |

### WTA. შტუტგარტი

| | |
|---|---|
| დემენტიევა-აზარენკა | 6:7, 6:3, 1:6 |
| პეტროვა-ნა ლი | 6:2, 6:3 |
| ვ. უილიამსი-საფინა | 6:4, 6:2 |
| იანკოვიჩი-ზვონარევა | 7:6, 7:6 |

### WTA. ტაშკენტი

| | |
|---|---|
| ლისიცკი-უ. რადვანსკა | 3:6, 7:5, 7:6 |
| რიბარიკოვა-ოლარუ | 6:1, 6:2 |
| კირსტეა-ლარშერდ ბრიტუ | 6:2, 6:4 |
| პენგი-ნიკულესკუ | 6:7, 6:2, 6:4 |

### WTA. ტოკიო

| | |
|---|---|
| ვოზნიაჩკი-ტანასუგარნი | 6:4, 6:1 |
| კანეპი-პავლიუჩენკოვა | 7:6, 7:6 |
| გაიდოშოვა-ზაკოპალოვა | 7:5, 7:5 |
| ვოზნიაკი-სტოსური | 7:5, 6:3 |

TV სპორტი

## 4 ოქტომბერი. შაბათი

### იმედი

00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო (LIVE).

### I არხი

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. გაგრა-სიონი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

11:10 საფეხბურთო კლუბი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 პლაჟის ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი (LIVE).
13:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
13:55 პლაჟის ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი (LIVE).
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-კარლსრუე.
17:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-არსენალი (LIVE).
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:25 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
22:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ვალანსი (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-კაენი.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. რივერ პლეიტი-დეფენსორი.
08:45 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
08:55 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
09:25 სპორტკლუბი.
10:25 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. II მატჩი. ციურიხი-მილანი.
12:15 სპორტის სამყარო.
12:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
16:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-არსენალი (LIVE).
20:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-რეინჯერსი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ბოლონია (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
01:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ატლეტიკო.
02:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. კლუჟი-ჩელსი.
04:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბაიერნი-ლიონი.
06:20 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. II მატჩი. ციურიხი-მილანი.

### EUROSPORT

07:45 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთის რალი.
11:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:30 სნუკერი. მასტერსი. 1/2 ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
14:15 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრანპრი. პაკუბა. იაპონია. ჩინეთი (LIVE).
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრანპრი. HS 131. პაკუბა. იაპონია.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრანპრი. HS 140. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
21:45 სნუკერი. მასტერსი. 1/2 ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
00:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთის რალი.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე. იაპონია.

### EUROSPORT-2

09:00 ახალი ამბები.
09:30 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
10:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ტოკიო-შიმიცუ (LIVE).
12:00 ექსტრემალური სპორტი.
12:30 მაუნტინბაიკი. შვედეთი.
13:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
13:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ლიბია-ესპანეთი. ბრაზილია.
14:30 ახალი ამბები.
15:00 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი.
16:00 ავტოსპორტი. სეატის ევროთასი. I რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
16:45 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. მონცა. იტალია (LIVE).
17:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-რუსეთი. ბრაზილია (LIVE).
19:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სუპერპოული. საფრანგეთი.
19:30 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
19:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური (LIVE).
21:15 ახალი ამბები.
21:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
22:00 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-პორტუგალია. ბრაზილია.
22:45 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. აშშ.
01:00 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-რუსეთი. ბრაზილია.
02:00 ახალი ამბები.

## 5 ოქტომბერი. კვირა

### I არხი

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ზესტაფონი-დინამო (თბ) (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 პლაჟის ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. მე-3 ადგილისთვის (LIVE).
13:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
13:55 პლაჟის ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი (LIVE).
15:15 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი.
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა (LIVE).
19:55 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალიადოლიდი-ვალენსია (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-პსჟ.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:05 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
08:30 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ლიგა დე კიტო-ბოკა ხუნიორსი.
10:15 სპორტის სამყარო.
10:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ.
12:30 ფეხბურთელთა ცხოვრება.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
15:25 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
15:55 წლის სამყარო. ტელეჟურნალი.
16:25 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ნაპოლი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლფსბურგი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალიადოლიდი-ვალენსია (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი (LIVE).
00:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ოტავა.
02:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ.
04:30 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ლიგა დე კიტო-ბოკა ხუნიორსი.
06:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფენერბაჰჩე-დინამო.
06:35 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.

### EUROSPORT

05:45 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. (LIVE).
10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთის რალი.
11:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მონცა. იტალია (LIVE).
11:30 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
14:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრანპრი. HS 140. ლიბერეცი. ჩეხეთი.
17:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
18:30 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
18:45 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი.
19:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-უკრაინა. ბრაზილია (LIVE).
21:00 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
00:45 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
01:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთის რალი.
01:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. საფრანგეთი.
02:15 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. საფრანგეთი.
03:00 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საფრანგეთი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
12:00 მაუნტინბაიკი. შვედეთი.
12:30 სუპერსტოკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საფრანგეთი.
13:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:15 ავტოსპორტი. სეატის ევროთასი. II რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
16:00 ავტოსპორტი. ახალი სარბოლო სერია - „ფორმულა სუპერლიგა“. II რბოლა. ცოლდერი. ბელგია (LIVE).
17:00 მოტორბოლა. GSX-ის თასი. მანიკური. საფრანგეთი.
17:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ჩეხეთი. ბრაზილია (LIVE).
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური (LIVE).
20:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. მონცა. იტალია.
21:30 ახალი ამბები.
21:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
22:00 სუპერმოტო. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
23:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. მონცა. იტალია.
23:45 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ჩეხეთი. ბრაზილია.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ვესპრემი (უნგრეთი)-ფლენსბურგი (გერმანია).
02:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიადი ლოთის ოდისეა



(დასასრული)

**პოლ გასკოინის** მთავარი ნაკლი, რამაც ნიჭიერი ფეხბურთელის კარიერის კრახი გამოიწვია, ალკოჰოლისადმი მიდრეკილება იყო. *„ფეხბურთის ისტორიას არ ჰყოლია ისეთი მოთამაშე, რომელიც ყოველი მატჩის წინ თვრებოდა და მაინც ინარჩუნებდა წონასწორობას“*, - ამბობდა ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი **მარიო ბასლერი**. ამიტომაც, გასაკვირი არ იყო, რომ სულ უფრო და უფრო ხშირად, გასკოინი საშინელ ფიზიკურ ფორმაში ხვდებოდა მატჩებს. ამის გამო, მას მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა ინგლისის ნაკრების მაშინდელ მთავარ მწვრთნელთან.

ინგლისელები დღემდე იხსენებენ ერთ შემთხვევას, რომელიც პრესის საშუალებით გახდა ცნობილი. მორიგი მნიშვნელოვანი მატჩის წინ, გაზა მეგობრებთან ერთად ლონდონის ერთ-ერთ ბარში ერთობოდა. გაზეთებში გაჩნდა ფოტოები, რომელზეც ალბეჭდილი იყო, თუ როგორ ეხვევა პოლი ცნობილ როკმომღერალ **როდ სტიუარტს** და მასთან ერთად მღეტის. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ასეთი „ვარჯიშების“ შემდეგ, ის მინდორზე საშინლად გამოიყურებოდა. შეიძლება კიდევ ერთი ისტორიის გახსენება - რა ხდებოდა იმ დღეს, როცა ევროპის ჩემპიონატის წინ ინგლისის ნაკრები ჰონგკონგთან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად გაემგზავრა. *„თვითმფრინავის სალონში ფეხბურთელები გააფთრებულ ცხოველებს მოგაგონებდათ. ყველაფერს ანადგურებდნენ. დაამსხვრიეს სკამები, ტელევიზორები...“* - იხსენებდა ერთ-ერთი ბორტგამცილებელი. *„უბრალოდ ჩემს დაბადების დღეზე გავერთეთ*, - თავი იმართლა გაზამ. - *რა? აკრძალული გვაქვს გართობა?“*

ერთი მომენტი პოლი საერთოდ არ ექვემდებარებოდა კონტროლს. მის ლექსიკონში აღარ არსებობდა სიტყვა - „არა“. ზედიზედ ჭამდა ყველაფერს, შემდეგ შოკოლადს აყოლებდა და ბოლოს ლუდით ამთავრებდა სუფრას. *„პოლი ღორივით გასივებულია, მაგრამ ეს მას დიდად არ ანაღვლებს. გაუთავებელი ჭამისა და სმის გამო, მინდორზე სირბილსაც ველარ ახერხებს“*, - ჩიოდა გასკოინის მეუღლე. ფეხბურთელის ამაზრზენი გარეგნობა გულშემატკივრებს იმდენად აღიზიანებდა, რომ ტრიბუნებიდან ხშირად ისმოდა ასეთი ფრაზები: *„ღორმუცელა, გაეთრიე მინდვრიდან!“* გასკოინი კი დამცინავი ღიმილით მაისურში იდებდა ბურთს, ლოყებს ბერავდა და საკუთარ თავს ყვითელ ბარათებს უჩვენებდა, რითაც მსაჯს აჯავრებდა. *„ვიცი, რომ ჩემი გარეგნობა ზიზღს იწვევს. მერე რა? პირიქით, ეს ყველაფერი კარგია. ეს იმას ნიშნავს, რომ გარშემომყოფთა შორის კვლავ ვიწვევ ემოციებს“*, - დაცინვით ასკვნიდა გასკოინი, რომლისთვისაც სკანდალის გარეშე ცხოვრებამ აზრი დაკარგა.

სწორედ იმ პერიოდში, გაზამ შოტლანდიის ჩემპიონატის დატოვება და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. კერძოდ, პოლი ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით „მიდლსბროში“ გაემგზავრა. მაგრამ მისთვის ამ დაბრუნებასაც არ მოუტანია ბედნიერება. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, **გლენ ჰოდლმა** გასუქებული და ფორმიდან ამოვარდნილი ფეხბურთელი ნაკრების შემადგენლობიდან მოკვეთა...

რა თქმა უნდა, ჟურნალისტები, რომლებსაც გაზა ურჩხულად გამოჰყავდათ, ბოლომდე მართლები არ იყვნენ. გასკოინი - კეთილი ადამიანია, რომელიც ყოველთვის მზად არის მეგობარს დაეხმაროს ან გარკვეული თანხა გადარიცხოს უსახლკარო ბავშვთა ფონდში. ამ გადასახედიდან ის უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს, ვიდრე მისი უფრო მდიდარი კოლეგები. პოლის მეგობრები აუცილებლად მოგიყვებიან იმის შესახებ, რომ გაზა ურთიერთობაში თბილი ადამიანია, იუმორის შესანიშნავი გრძნობა გააჩნია და ნებისმიერის კარგ ხასიათზე მოყვანა შეუძლია. მაგრამ ბოლო დროს, მას თავად სჭირდება კარგ ხასიათზე დაყენება და შველა, რადგან დეპრესიამ და ალკოჰოლმა კატასტროფის ზღვარზე მიიყვანა.

საბედნიეროდ, გაზასთვის ასეთ რთულ მომენტში „მიდლსბრომ“ ზურგი არ შეაქცია ფეხბურთელს. გასკოინს მხარში ედგა მთავარი მწვრთნელი **ბრაიან რობსონი**, რომელიც ჯერ კიდევ ნაკრებში ერთად თამაშის დროს გაიცნო.

■ ■ ■

როცა „მიდლსბროს“ ბოსმა საბოლოოდ გადაწყვიტა გაზას გაშვება და ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა (კონტრაქტის ამოწურვამდე კიდევ ერთი წელი რჩებოდა), „რეინჯერსში“ პოლის ყოფილმა შეფმა და შემდგომში კარგმა მეგობარმა, იმ დროს „ევერტონის“ მთავარმა მწვრთნელმა **უოლტერ სმიტმა** ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელსაც თავად გაზამ „სასწაული“ უწოდა - სმიტმა თავისთან მიიპატიჟა ინგლისის ნაკრების 32 წლის ყოფილი ვარსკვლავი. პოლმა „ევერტონთან“ კონტრაქტს 2000 წლის 17 ივლისს მოაწერა ხელი. პრესა პესიმისტურად იყო განწყობილი. ჟურნალისტები მიიჩნევდნენ, რომ გაზას ძირითადში მოხვედრის შანსიც კი არ ჰქონდა. ძველებური თამაშის ჩვენებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. უოლტერ სმიტმა გაზას პირდაპირ უთხრა - ძალიან ბევრი მუშაობა მოგიწევს იმისთვის, რომ თუნდაც სათადარიგოთა სკამზე დაიკავო ადგილიო. არავინ იცის, იყო თუ არა ეს გაზას მოსათვინიერებლად უოლტერ სმიტის მიერ წინასწარ მომზადებული გეგმის ნაწილი, მაგრამ ფაქტია, რომ სეზონის სტარტზე პოლმა რამდენიმე ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და ვილაცები გასკოინის ნაკრებში დაბრუნების შესაძლებლობაზე ალაპარაკდნენ. მაშინ ეროვნულ გუნდს „ნიუკასლის“ ყოფილი ბოსი **კევინ კიგანი** ავარჯიშებდა.

■ ■ ■

გაზამ სულ მალე დაკარგა „ევერტონის“ ძირითად შემადგენლობაში ბრძოლით მოპოვებული ადგილი. პოლს ისევ ტრავმები მიეძალა. ერთ-ერთი დაზიანება მან „ასტონ ვილასთან“ მატჩში მიიღო. გაზა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოს ასრულებდა. დარტყმის შემდეგ, საშინელი ტკივილისგან ძირს დაეცა და იმ მატჩში და მთლიანად სეზონის დარჩენილ შეხვედრებში მინდორზე აღარ გამოჩენილა.

გაზას რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს და სავარაუდოდ, ის ველარ შეძლებდა ფეხბურთში დაბრუნებას. მაგრამ ეს არ იყო ყველაზე უარესი... 2001 წლის 4 ივნისს, გასკოინი უოლტერ სმიტის დაჟინებული მოთხოვნით ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილების სამკურნალოდ არიზონას ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსეს. საბოლოოდ, ფეხბურთელმა მთელი მსოფლიოს გასაგონად აღიარა - ჩამოყალიბებული ლოთი ვარო. პოლი 28-დღიან სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩაერთო და მონდომებით ებრძოდა მავნე ჩვევას.

2001-02 წლების სეზონში გუნდში დაბრუნების შემდეგ, გაზამ პასუხი გასცა ყველას, ვინც პოლს, როგორც ფეხბურთელს, გარდაცვლილად მიიჩნევდა. გასკოინი დაბრუნდა და რამდენიმე ბრწყინვალე მატჩიც ჩაატარა.

პოლმა მორიგი ტრავმა „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ „ევერტონისთვის“ დიდი ანგარიშით (5:0) მოგებული მატჩის დასაწყისში მიიღო. ამჯერადაც დაზიანება წარუმატებლად შესრულებულმა ფეხებში ვარდნამ გამოიწვია, მაგრამ ტრავმა არასერიოზული გამოდგა.

გაზას ნამდვილი გულშემატკივრები და „ევერტონის“ ფანები ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ, რომ პოლი ათამაშდებოდა და სწორედ იმ გაზად გადაიქცეოდა, რომელსაც, თავის დროზე, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში აღმერთებდნენ. მაგრამ პოლი ყოველთვის ვერ ხვდებოდა „ევერტონის“ ძირითადში და როგორც წესი, მატჩის ბოლოს შედიოდა მინდორზე. 2001 წლის ბოლოს სიტუაცია გამოსწორდა და ძირითადს გაუშინაურდა, ერთხელ გოლიც კი გაუტანა „ბოლტონს“. პოლს იმედი ჰქონდა, რომ „ევერტონი“ მომდევნო სეზონისთვის კონტრაქტს გაუგრძელებდა.

## გაზას კეთილშობილური საქციელი

2001 წლის დეკემბერში, პოლ გასკოინმა იმ კუთხით გამოიჩინა თავი, რაზეც საინფორმაციო საშუალებები ჩვეულებრივ თვალს ხუჭავენ ხოლმე. პოლმა 10 ათასი ფუნტი აჩუქა თავისი მშობლიური ქალაქის კლუბ „გეიტშედს“. გუნდი გაკოტრების პირას იყო მისული. ამის მიზეზი გახდა ის, რომ სეზონის შუაში კლუბს სპონსორმა გაუწყვიტა კონტრაქტი. „გეიტშედს“ გადასარჩენად 60 ათასი ფუნტი სჭირდებოდა. მაშინ გაზამ თქვა: *„ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გუნდს დავეხმარო. ჩვენი დიდი სირცხვილი იქნება თუ „გეიტშედს“ დავკარგავთ. რამდენი სჭირდებათ მათ - 60 ათასი? დაახლოებით 10 ათასის შეტანა შემიძლია. მე ხომ გეიტშედელი ბიჭი ვარ. და კარგად მახსოვს, მის რიგებში როგორ ვთამაშობდი ახალგაზრდული ტურნირების ფინალში“.*

კლუბის მწვრთნელმა გაზას ამ ნაბიჯზე ასეთი კომენტარი გააკეთა: *„უბრალოდ, აღფრთოვანებულნი ვართ პოლის კეთილშობილური საქციელით. ის გეიტშედში გაიზარდა და ბევრი მისი ნათესავი დღემდე ამ ქალაქში ცხოვრობს. მიუხედავად პოლის კარიერაში არსებული მრავალი პრობლემისა, ფეხბურთის მოყვარული ბევრი ადამიანი ვიცი, ვინც გაზას დღემდე ძალიან აფასებს. მშობლიური ქალაქის გუნდისთვის ასეთ რთულ დროს დახმარება, გასკოინს დადებითად ახასიათებს“.*

## ისევ საქმეში

მას შემდეგ, რაც პოლმა ამაოდ იბრძოლა „ევერტონის“ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად, 2002 წლის დასაწყისში თავის მდიდარ და სკანდალურ კარიერაში ახალი თავი ჩაწერა. 2002 წლის 26 მარტს, სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი პირველი დივიზიონის ბინადარ „ბარნლისთან“. ამ ნაბიჯით პოლმა ერთგვარად გააპროტესტა „ევერტონიდან“ უოლტერ სმიტის დათხოვნა. გაზა შოტლანდიელის ახლო მეგობარი იყო და კარგად ხვდებოდა, რომ სმიტის არყოფნაში თავის შესაძლებლობებს ვერ წარმოაჩენდა.

უოლტერი ენდობოდა პოლს. შოტლანდიელმა ორჯერ გადაარჩინა ფეხბურთელი იმ დროს, როცა გაზა კატასტროფის ზღვარზე იმყოფებოდა. „ბარნლიში“ ტრანსფერი კიდევ იმით იყო განპირობებული, რომ გასკოინს არ უნდოდა ზედმეტად თავის გამოჩენა და „ევერტონის“ ახალი მწვრთნელისთვის იმის დამტკიცება, რომ ძირითადში მოხვედრას იმსახურებდა. ამას მან პირველ დივიზიონში დაქვეითება და იქ „პატარა ტბაში დიდ თევზად“ გადაქცევა ამჯობინა.

იქნებ გაზასთვის უკეთესი იყო „ევერტონში“ დარჩენა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, ახალ მწვრთნელს თავისი გეგმები აქვს და პოლისთვის, ალბათ, ვერ მოინახებოდა ადგილი შემადგენლობაში. მართალია, კლუბის ხელმძღვანელობამ სცადა ფეხბურთელის შენარჩუნება, მაგრამ გაზამ სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფალი აგენტის სტატუსის მიღება არჩია. მას მიაჩნდა, რომ კიდევ ერთი-ორი წელი ითამაშებდა და შემდეგ დამსახურებულ პენსიაში გავიდოდა. გაზას პრემიერლიგის ორი კლუბიდან ჰქონდა მიპატიჟება, აგრეთვე წინადადებები დუბაიდან და ამერიკიდან. მაგრამ გაზამ ზაფხულამდე გადადო სატრანსფერო საკითხების განხილვა. პოლმა ისიც ახსნა, თუ რა უშლიდა ხელს „გუდისონ პარკზე“ დარჩენას:

*„ევერტონის“ რიგებიდან ვილაცას არ სურს ჩემი აქ დარჩენა, თუმცა არ ვაპირებ ამ ადამიანის დასახელებას. მაგრამ თუ კლუბის მფლობელი დამირეკავს, მას სიმართლეს პირდაპირ სახეში მივახლი. ახლა რომ მკითხონ, რა ორი სურვილის შესრულება გამიხარდება, ვიტყოდი, რომ „ბარნლი“ გადავიდეს პრემიერლიგაში, „ევერტონი“ კი იქიდან არ გავარდეს. მიუხედავად „ევერტონში“ ჩემი მოღვაწეობის ცუდი დასასრულისა, ამ კლუბს ყველაფერს კარგს ვუსურვებ. არ მინდა ვინმემ იმისთვის დამადანაშაულოს, რომ ჩასაძირად განწირულ ხომალდს ვტოვებ. ლივერპულში ბევრი მეგობარი შევიძინე და ეს ქალაქი ძალიან მიყვარს. მათ პრემიერლიგაში კიდევ ერთხელ თამაშის შანსი მომცეს და მეც, რაც შემეძლო, ყველაფერი გავეცი მათთვის“.*

„ბარნლიში“ კარიერას რაც შეეხება, იქ გასკოინმა სულ ექვსი მატჩი ჩაატარა და საერთოდაც, „ევერტონიდან“ წამოსვლის შემდეგ, მის ანგარიშზე 15 მატჩი და ორი გოლი მოდის. ეს ბურთები მან 2003 წელს ჩინურ „განსუ ტიანმაში“ თამაშის დროს გაიტანა, კარიერა კი მესამე დივიზიონის ბინადარ „ბოსტონ იუნაიტედში“ 2004 წელს დაასრულა.

ამას მოჰყვა ცოტა ხანი სამწვრთნელო მოღვაწეობა და მერე რაც იყო (და რაც ხდება), ეს უკვე ყველას კარგად მოეხსენება...

**ვასო კუჭუხიძე**

